

# სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიაში მომზადებული და განსახილველად შემოტანილი წინადადებები

(2016 წლის 05 თებერვლის მდგომარეობით)

თავი პირველი

ზოგადი დებულებები

## 1. მე-2 მუხლის მეორე პუნქტი

მოქმედი რედაქცია:

საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობა განისაზღვრება კონსტიტუციური კანონით უფლებამოსილებათა გამიჯვნის პრინციპის საფუძველზე ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ.

### 1.1. ავთანდილ დემეტრაშვილი:

მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. უფლებამოსილებათა გამიჯვნის პრინციპის საფუძველზე ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობა საქართველოში განისაზღვრება:

- ა) აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის (ცხინვალის რეგიონის) - შესაბამისი კონსტიტუციური ხელშეკრულებით (კონსტიტუციური შეთანხმებით);
  - ბ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით (კონსტიტუციით და შესაბამისი კონსტიტუციური კანონით);
  - გ) დანარჩენი ტერიტორიული ერთეულების (რეგიონის, მუნიციპალიტეტის) - კონსტიტუციური ან ორგანული კანონით.
2. კონსტიტუციური ხელშეკრულებები (კონსტიტუციური შეთანხმებები) საქართველოს, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კონსტიტუციების განუყოფელი ნაწილია და აისახება მათ ტექსტში.

1.2. საზოგადოებრივი საკონსტიტუციო კომისიის „საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის კონცეფციის“ საფუძველზე ვ. ხმაღამის მიერ მომზადებული წინადადება (შემდეგში - „ვახტანგ ხმაღამე“):

მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობა განისაზღვრება კონსტიტუციური კანონით უფლებამოსილებათა გამიჯვნის პრინციპის საფუძველზე“.

## 2. მეორე მუხლის მე-4 პუნქტი

### მოქმედი რედაქცია:

თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეები ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეებს აწესრიგებენ ადგილობრივი თვითმმართველობის მეშვეობით, სახელმწიფო სუვერენიტეტის შეულახავად, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები ხელს უწყობენ ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებას.

### 2.1. ვახტანგ ნაცვლიშვილი, ვახუშტი მენაბდე, ბესარიონ ლოლაძე, დავით ლოსაბერიძე, კლკა კილურაძე და კოტე ჩოკორაია:

ამოღებულ იქნას საქართველოს კონსტიტუციის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტი.

## 3. მუხლი 3

### 3.1. ვახტანგ ხმალაძე:

მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მხოლოდ საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება:

ა) კანონმდებლობა საქართველოს მოქალაქეობის, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა, ემიგრაციისა და იმიგრაციის, ქვეყანაში შემოსვლისა და გასვლის, საქართველოში სხვა სახელმწიფოების მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა დროებით ან მუდმივად ყოფნის შესახებ;

ბ) სახელმწიფო საზღვრების სტატუსი, რეჟიმი და დაცვა; ტერიტორიული წყლების, საჰაერო სივრცის, კონტინენტური შელფისა და განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის სტატუსი, მათი დაცვა;

გ) სახელმწიფოს თავდაცვა და სახელმწიფო უსაფრთხოება, სამხედრო ძალები, სამხედრო მრეწველობა და სამხედრო დანიშნულების იარაღით ვაჭრობა;

დ) ომისა და ზავის საკითხები; საგანგებო და საომარ მდგომარეობათა სამართლებრივი რეჟიმის დადგენა და შემოღება;

ე) საგარეო პოლიტიკა და სახელმწიფოთაშორისი საერთაშორისო ურთიერთობანი;

ვ) საგარეო ვაჭრობის კანონმდებლობა; საბაჟო კანონმდებლობა და რეჟიმი; სატარიფო რეჟიმი [?];

ზ) სახელმწიფო ფინანსები და სახელმწიფო სესხი; ფულის მოჭრა; საბანკო, საკრედიტო, სადაზღვევო და საგადასახადო კანონმდებლობა;

თ) სტანდარტები და ეტალონები; გეოდეზია და კარტოგრაფია; ზუსტი დროის დადგენა; სახელმწიფო სტატისტიკა;

ი) ერთიანი ენერგეტიკული სისტემა და რეჟიმი; კავშირგაბმულობის კანონმდებლობა; კანონმდებლობა საზღვაო ფლოტისა და გემთა აღმშენებლის შესახებ; საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ნავსადგურები, აეროპორტები და აეროდრომები; საჰაერო სივრცის, ტრანზიტისა და საჰაერო ტრანსპორტის კონტროლი, საჰაერო ტრანსპორტის რეგისტრაცია;

მეტეოროლოგიური სამსახური; გარემოს მდგომარეობაზე დაკვირვების სისტემა;

კ) სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის რკინიგზა და საავტომობილო გზები;

ლ) ოკეანესა და ღია ზღვაში თევზჭერის კანონმდებლობა;

- მ) სასაზღვრო-სანიტარიული კორდონი;
  - ნ) ფარმაცევტული პრეპარატების კანონმდებლობა;
  - ო) საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციისა და აკადემიური ხარისხების კანონმდებლობა;
  - პ) ინტელექტუალური საკუთრების კანონმდებლობა;
  - ჟ) სავაჭრო, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, სისხლის სამართლის, სამოქალაქო სამართლის, ადმინისტრაციული და შრომის სამართლის, სასჯელის აღსრულებისა და საპროცესო კანონმდებლობა;
  - რ) კრიმინალური პოლიცია და გამოძიება;
  - ს) მიწის, წიაღისეულის და ბუნებრივი რესურსების კანონმდებლობა;
2. აჭარისა და აფხაზეთის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოები უფლებამოსილნი არიან, მიიღონ აჭარისა და აფხაზეთის კანონი ნებისმიერ საკითხზე, რომელიც არ მიეკუთვნება საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას, თუ ეს საკითხი მოწესრიგებული არ არის საქართველოს კანონმდებლობით. ასეთი კანონი ან მისი ცალკეული დებულება ძალას კარგავს საქართველოს კანონმდებლობით შესაბამისი საკითხის მოწესრიგებისთანავე, თუ ის სხვაგვარად აწესრიგებს ამ საკითხს.
3. სახელმწიფოსა და საქართველოს ტერიტორიული ერთეულების ერთობლივ გამგებლობას მიკუთვნებული საკითხები კანონით განისაზღვრება.
4. აჭარის სტატუსი განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციით.
5. აფხაზეთის სტატუსი განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციით საქართველოში სათანადო პირობების შექმნის შემდეგ“.

#### 4. მე-3 მუხლის მე-5 პუნქტი

##### მოქმედი რედაქცია:

ქალაქ ლაზიკის სტატუსი და უფლებამოსილებანი განისაზღვრება ორგანული კანონით.

##### 4.1. ავთანდილ ბერიძე: ვახტანგ ხმაღამე:

მე-3 მუხლის მე-5 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

#### 5. მუხლი 4

##### 5.1. ავთანდილ დემეტრაშვილი:

მე-4 მუხლი უნდა გადავიდეს კონსტიტუციის მე-3 თავში (საქართველოს პარლამენტი).

##### 5.2. ვახტანგ ხმაღამე:

მე-4 მუხლის მე-2 – მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. რესპუბლიკის საბჭო შედგება საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით, მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქების მიხედვით პროპორციული წესით არჩეული 150 წევრისაგან.

3. სენატი შედგება აფხაზეთისა და აჭარაში [ვარიანტი: აფხაზეთისა და აჭარის რესპუბლიკებში], საქართველოს სხვა მხარეებსა და ცხინვალის განსაკუთრებულ ოლქში არჩეული წევრებისაგან. სენატის შემადგენლობაში შედიან საქართველოს ყოფილი პრეზიდენტები მათი თანხმობის

შემთხვევაში, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც პრეზიდენტი გადაყენებულ იქნა თანამდებობიდან ან როდესაც ყოფილი პრეზიდენტი სასამართლომ ცნო დამნაშავედ.

4. პალატების შემადგენლობა, უფლებამოსილება და არჩევის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით *[რედაქციული ცვლილება]*.

### **5.3. ურუზმაგ ქარქუსოვი:**

მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს საკანონმდებლო ხელისუფლების შემადგენლობაშია ორი პალატა: დეპუტატთა პარლამენტი და სენატი.

2. დეპუტატთა პარლამენტის წევრები შეირჩევიან მაჟორიტარული და პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე.

3. სენატის შემადგენლობაშია: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან - 4 სენატორი; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკიდან - 4 სენატორი; სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან - 4 სენატორი; სვანეთიდან - 4, სამეგრელოდან - 4, რაჭა-ლეჩხუმიდან - 4, გურიიდან - 4, იმერეთიდან - 4, სამცხე-ჯავახეთიდან - 4, მცხეთა-მთიანეთიდან - 4, შიდა ქართლიდან - 4, ქვემო ქართლიდან - 4, კახეთიდან - 4 და თბილისიდან - 4 სენატორი.

4. თითო სენატორს წარადგენენ საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს მთავრობა, საქართველოს პარლამენტი და პარლამენტში შესული პარტიებიც.

5. 4 რეგიონული სენატორიდან ორი აირჩევა არჩევნების შედეგად, ხოლო დანარჩენ ორს ადგილობრივი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება შეარჩევს“.

## **6. მუხლი 6**

### **6.1. ვახტანგ ხმაღამე:**

მე-6 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

„3. საქართველოში მოქმედი სამართლებრივი აქტების სახეები, მათი იერარქია, სამართლებრივი აქტების მომზადების, მიღებისა და გამოცემის ზოგადი წესები, გამოქვეყნების, ამოქმედებისა და აღრიცხვის წესები განისაზღვრება კონსტიტუციითა და ორგანული კანონით, ხოლო საქართველოს პარლამენტის აქტების მომზადებისა და მიღების წესები – აგრეთვე მისი რეგლამენტით“.

## **თავი მეორე**

საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი

## **7. მუხლი 14**

მოქმედი რედაქცია:

ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა.

### **7.1. პროფ. ჰებერლე:**

მე-14 მუხლს დაემატოს და „დისკრიმინაციის აკრძალული საფუძვლები“ განივრცოს შემდეგი ნიშნებით: „განურჩევლად... სექსუალური ორიენტაციისა, ასაკისა, შეზღუდული შესაძლებლობისა“.

### **7.2. ადამიანის უფლებების ეროვნული ინსტიტუტი:**

„ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა და ნებისმიერი სხვა ნიშნისა“.

### **7.3. თამაზ კრავიშვილი:**

„ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა. არავის შეიძლება მიადგეს ზიანი მისი შეზღუდული შესაძლებლობების გამო“.

## **8. მუხლი 15**

### **მოქმედი რედაქცია:**

1. სიცოცხლე ადამიანის ხელშეუვალი უფლებაა და მას იცავს კანონი.
2. სიკვდილით დასჯა აკრძალულია.

### **8.1. პროფ. ჰებერლე:**

არსებულ რედაქციას დაემატოს მე-3 პუნქტი: „ადამიანის კლონირება აკრძალულია“.

## **9. მუხლი 17**

### **მოქმედი რედაქცია:**

1. ადამიანის პატივი და ღირსება ხელშეუვალია.
2. დაუშვებელია ადამიანის წამება, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობა და სასჯელის გამოყენება.
3. დაუშვებელია დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლება შეზღუდული პირის ფიზიკური ან ფსიქიკური იძულება.

### **9.1. პროფ. ჰებერლე:**

9.1.1. ადამიანის ღირსებისა და პატივის გვერდით ხელშეუვალად უნდა გამოცხადდეს აგრეთვე მისი იდენტობა და მთლიანობა.

9.1.2. მე-2 პუნქტით ცალსახად უნდა აიკრძალოს იძულებითი შრომა, აგრეთვე ადამიანებით ვაჭრობა.

9.1.3. ჩამოყალიბდეს შემდეგი სახის ახალი მე-4 პუნქტი: „გარანტირებულია ადამიანის ღირსების შესატყვისი საარსებო მინიმუმი, რომელიც აუცილებელია პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში თანამონაწილეობისათვის“.

## 10. მე-18 მუხლის მეექვსე პუნქტი

მოქმედი რედაქცია:

ბრალდებულის წინასწარი პატიმრობის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს.

10.1. ადამიანის უფლებების ეროვნული ინსტიტუტი:

მე-18 მუხლის მეექვსე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„წინასწარი პატიმრობის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს“.

## 11. მუხლი 19

მოქმედი რედაქცია:

1. ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება.

2. დაუშვებელია ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, აღმსარებლობის ან რწმენის გამო, აგრეთვე მისი იძულება გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ.

3. დაუშვებელია ამ მუხლში ჩამოთვლილ თავისუფლებათა შეზღუდვა, თუ მათი გამოვლინება არ ლახავს სხვათა უფლებებს.

11.1. პროფ. ჰებერლე:

11.1.1. მე-19 მუხლის პირველ პუნქტს ჩაემატოს სიტყვები: „როგორც ინდივიდუალურად, ისე სხვებთან ერთად, საქვეყნოდ ან განკერძოებით“.

11.1.2. უნდა დაემატოს ახალი პუნქტი ხელოვნებისა და მეცნიერების, კვლევისა და აკადემიური მოძღვრების თავისუფლების შესახებ.

## 12. 22-ე მუხლის მე-4 პუნქტი

მოქმედი რედაქცია:

საქართველოს მოქალაქეს შეუძლია თავისუფლად შემოვიდეს საქართველოში.

**12.1. პროფ. ჰებერლე:**

„საქართველოს მოქალაქეს შეუძლია, თავისუფლად შემოვიდეს საქართველოში და თავისუფლად გავიდეს საქართველოდან“.

**13. 25-ე მუხლის პირველი პუნქტი**

**მოქმედი რედაქცია:**

„ყველას, გარდა იმ პირებისა, რომლებიც არიან სამხედრო ძალებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენლობაში, უფლება აქვს წინასწარი ნებართვის გარეშე შეიკრიბოს საჯაროდ და უიარაღოდ როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ.“

**13.1. ადამიანის უფლებების ეროვნული ინსტიტუტი:**

„ყველას გარდა იმ პირებისა, რომლებიც არიან სამხედრო შემადგენლობაში ან კანონმდებლობით ევალებათ საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა და მართლწესრიგის დაცვა, უფლება აქვს წინასწარი ნებართვის გარეშე შეიკრიბოს საჯაროდ და უიარაღოდ როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ“.

**14.28-ე მუხლის მეორე პუნქტი**

**მოქმედი რედაქცია:**

„არჩევნებსა და რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება არა აქვს მოქალაქეს, რომელიც სასამართლომ ქმედუუნაროდ ცნო ან სასამართლოს განაჩენით იმყოფება სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში, გარდა იმ პირისა, რომელმაც ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაული.“

**14.1. ადამიანის უფლებების ეროვნული ინსტიტუტი:**

„რეფერენდუმსა ან არჩევნებში მონაწილეობის უფლება შეიძლება შეიზღუდოს სასამართლოს გადაწყვეტილებით პირის ქმედუუნარობის ან მსჯავრდების გამო“.

**15. 29-ე მუხლის 1<sup>1</sup> პუნქტი**

**მოქმედი რედაქცია:**

საქართველოს პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრის, პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობა არ შეიძლება ეკავოს საქართველოს იმ მოქალაქეს, რომელიც იმავდროულად უცხო ქვეყნის მოქალაქეა.

**15.1. ადამიანის უფლებების ეროვნული ინსტიტუტი:**

„29-ე მუხლის 1<sup>1</sup> პუნქტი გაუქმდეს და ნებისმიერი სახელმწიფო თანამდებობის დაკავების უფლება საქართველოს ყველა მოქალაქეს მიენიჭოს, განურჩევლად იმისა, არის თუ არა იგი იმავდროულად სხვა ქვეყნის მოქალაქე“.

**15.2. ვახტანგ ხმაღაძე:**



29-ე მუხლის 1<sup>1</sup> პუნქტი ამოღებულ იქნეს.

## 16. 30-ე მუხლის პირველი პუნქტი

მოქმედი რედაქცია:

შრომა თავისუფალია.

### 16.1. პროფ. ჰებერლე:

„შრომა თავისუფალია. ყველას აქვს უფლება შრომაზე. ბავშვების შრომა აკრძალულია.“

## 17. მუხლი 36

მოქმედი რედაქცია:

1. ქორწინება ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას.

2. სახელმწიფო ხელს უწყობს ოჯახის კეთილდღეობას.

3. დედათა და ბავშვთა უფლებები დაცულია კანონით.

### 17.1. მანანა კობახიძე, ზვიად ძიძიგური:

36-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ქორწინება ქალსა და მამაკაცს შორის ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას.“

### 17.2. თამაზ კრავიშვილი:

36-ე მუხლს დაემატოს მე-4 პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„სახელმწიფო უზრუნველყოფს ოჯახში ქალისა და მამაკაცის თანასწორობას“.

### 17.3. ლევან ბოძაშვილი:

„1. ქორწინება არის ოჯახის შექმნის მიზნით, ნებაყოფლობითობაზე, მორალურ და უფლებრივ თანასწორობაზე დაფუძნებული ქალისა და მამაკაცის კავშირი.

2. მშობელთა უფლება-მოვალეობები, ასევე დედათა და ბავშვთა უფლებები განსაზღვრულია და დაცულია კანონით.

3. სახელმწიფო წახალისებს ოჯახის შექმნას, ხელს უწყობს მის კეთილდღეობასა და დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებას.

4. კანონი ადგენს მრავალშვილიანი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური დაცვის გარანტიებს“.

## 18. მუხლი 39

მოქმედი რედაქცია:



საქართველოს კონსტიტუცია არ უარყოფს ადამიანისა და მოქალაქის სხვა საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს, თავისუფლებებსა და გარანტიებს, რომლებიც აქ არ არის მოხსენიებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობენ კონსტიტუციის პრინციპებიდან.

### **18.1. ევა გოცირიძე:**

დაემატოს შემდეგი შინაარსის მეორე პუნქტი:

„საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით უზრუნველყოფილი ადამიანის ძირითადი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებისა და თავისუფლებების შინაარსი განიმარტება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის (ევროპული) კონვენციის, მისი ოქმებისა და სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართლის საფუძველზე“.

## **19. მუხლი 40**

### მოქმედი რედაქცია:

1. ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით.
2. არავინ არ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების მოვალეობა ეკისრება ბრალმდებელს.
3. დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ, საბრალდებო დასკვნა და გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.

### 19.1. ადამიანის უფლებების ეროვნული ინსტიტუტი

მე-40 მუხლის მესამე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ, საბრალდებო დასკვნა და გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებდა პირის ბრალეულობაში. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ“.

### 19.2. არასამთავრობო ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“:

1. ყოველი პირი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით.
2. არავინ არ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების მოვალეობა ეკისრება ბრალმდებელს.
3. არავის არ შეიძლება განმეორებით დაედოს მსჯავრი ერთი და იმავე დანაშაულისათვის.

4. არავინ არ აგებს პასუხს იმ ქმედებისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა. კანონს, თუ ის არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს.
5. არავინ არ არის ვალდებული მისცეს თავისი ან იმ ახლობელთა საწინააღმდეგო ჩვენება, რომელთა წრეც განისაზღვრება კანონით.
6. დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისმგებაში მიცემის შესახებ, საბრალდებო დასკვნა და გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას იურიდიული ძალა არა აქვს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ“.

## 20. მუხლი 42

### მოქმედი რედაქცია:

1. ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს.
2. ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე.
3. დაცვის უფლება გარანტირებულია.
4. არავის არ შეიძლება განმეორებით დაედოს მსჯავრი ერთი და იმავე დანაშაულისათვის.
5. არავინ არ აგებს პასუხს იმ ქმედობისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა. კანონს, თუ ის არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს.
6. ბრალდებულს უფლება აქვს მოითხოვოს თავისი მოწმეების ისეთსავე პირობებში გამოძახება და დაკითხვა, როგორც აქვთ ბრალდების მოწმეებს.
7. კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას იურიდიული ძალა არა აქვს.
8. არავინ არ არის ვალდებული მისცეს თავისი ან იმ ახლობელთა საწინააღმდეგო ჩვენება, რომელთა წრეც განისაზღვრება კანონით.
9. ყველასთვის გარანტირებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება შესაბამისად სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან.

### **20.1. პროფ. ჰებერლე:**

42-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს შესაბამის ორგანოსა და სასამართლოს“.

### **20.2. ადამიანის უფლებების ეროვნული ინსტიტუტი:**

42-ე მუხლის მეხუთე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„არავინ არ აგებს პასუხს იმ ქმედობისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა. კანონს, თუ ის არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს. კანონს, თუ ის ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა აქვს“.

### **20.3. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია:**

„1. ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს.

2. სამართალწარმოება ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე.

3. ყველა ადამიანს აქვს უფლება მისთვის წაყენებული ყოველი სისხლის სამართლის ბრალდების განხილვისას, ან რომელიმე სამოქალაქო/ადმინისტრაციულ პროცესში მისი უფლება-მოვალეობის განსაზღვრისას, მისი საქმე სამართლიანად განიხილოს კანონის საფუძველზე შექმნილმა დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა სასამართლომ. სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული.

4. სამართალწარმოება ხორციელდება სახელმწიფო ენაზე. პირს, რომელმაც სახელმწიფო ენა არ იცის, მიეჩინება თარჯიმანი.

5. ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე.

6. არავის არ შეიძლება განმეორებით დაედოს მსჯავრი ერთი და იმავე დანაშაულისათვის.

7. არავინ არ აგებს პასუხს იმ ქმედობისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა. კანონს, თუ ის არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს.

8. არავინ არ არის ვალდებული მისცეს თავისი ან იმ ახლობელთა საწინააღმდეგო ჩვენება, რომელთა წრეც განისაზღვრება კანონით.

9. კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას იურიდიული ძალა არა აქვს.

10. ყოველ პირს, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, აქვს, სულ მცირე, შემდეგი უფლებები:

ა) მისთვის გასაგებ ენაზე დაუყოვნებლივ და დაწვრილებით ეცნობოს წარდგენილი ბრალდების არსი და საფუძველი;

ბ) ჰქონდეს საკმარისი დრო და შესაძლებლობანი საკუთარი დაცვის მოსამზადებლად;

გ) დაიცვას თავი პირადად ან ადვოკატის მეშვეობით.

დ) ბრალდებულს უფლება აქვს მოითხოვოს თავისი მოწმეების ისეთსავე პირობებში გამომახება და დაკითხვა, როგორც აქვთ ბრალდების მოწმეებს.

11. ყველას აქვს უფლება, მისი საქმე განიხილოს გაუმართლებელი გაჭიანურების გარეშე;

12. სასამართლოში საქმე განიხილება ღია სხდომაზე. დახურულ სხდომაზე საქმის განხილვა დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. სასამართლოს გადაწყვეტილება ცხადდება საქვეყნოდ.

13. ყველა ადამიანს აქვს უფლება, მის საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება და განაჩენი განიხილოს ზემდგომმა სასამართლო ინსტანციამ კანონის შესაბამისად.

14. არასრულწლოვანთა მიმართ პროცესი ისე უნდა წარიმართოს, რომ გაითვალისწინონ მათი ასაკი და მათი რეაბილიტაციის ხელშეწყობის ინტერესები.

15. ყველასთვის გარანტირებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება შესაბამისად სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან“.

#### **20.4. არასამთავრობო ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“:**

„1. ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს, მისი საქმის გონივრულ ვადაში სამართლიანად და საქვეყნოდ განხილვისათვის, კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.

2. ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე.

3. სამართალწარმოება ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე.

4. სასამართლოში საქმე განიხილება ღია სხდომაზე. დახურულ სხდომაზე საქმის განხილვა დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, დემოკრატიულ საზოგადოებაში მორალის, საზოგადოებრივი წესრიგის ან ეროვნული უშიშროების ინტერესებიდან გამომდინარე, აგრეთვე, როდესაც ამას მოითხოვს არასრულწლოვანთა ინტერესები ან მხარეთა პირადი ცხოვრების დაცვის აუცილებლობა, ან რამდენადაც, სასამართლოს შეხედულებით, ეს მკაცრად აუცილებელია განსაკუთრებული გარემოებების არსებობისას, როდესაც საქვეყნო ზიანს მიაყენებდა მართლმსაჯულების ინტერესებს. სასამართლოს გადაწყვეტილება ცხადდება საქვეყნოდ.

5. ყოველ პირს, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, აქვს, სულ მცირე, შემდეგი უფლებები:

ა) მისთვის გასაგებ ენაზე დაუყოვნებლივ და დაწვრილებით ეცნობოს წარდგენილი ბრალდების არსი და საფუძველი;

ბ) ჰქონდეს საკმარისი დრო და შესაძლებლობანი საკუთარი დაცვის მოსამზადებლად;

გ) დაიცვას თავი პირადად ან მის მიერ არჩეული დამცველის მეშვეობით, ან, თუ მას არ გააჩნია საკმარისი საშუალება იურიდიული მომსახურების ასანაზღაურებლად, უფასოდ ისარგებლოს ასეთი მომსახურებით, როდესაც ამას მოითხოვს მართლმსაჯულების ინტერესები;

დ) მოითხოვოს თავისი მოწმეების ისეთსავე პირობებში გამოძახება და დაკითხვა, როგორც აქვთ ბრალდების მოწმეებს;

ე) ისარგებლოს თარჯიმნის უფასო დახმარებით, თუ მან არ იცის სახელმწიფო ენა.

6. ყველასთვის გარანტირებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება შესაბამისად სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან“.

## 21. მუხლი 43

### მოქმედი რედაქცია:

1. საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას ზედამხედველობას უწევს საქართველოს სახალხო დამცველი, რომელსაც 5 წლის ვადით სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს საქართველოს პარლამენტი.

2. სახალხო დამცველი უფლებამოსილია გამოავლინოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის ფაქტები, შეატყობინოს ამის შესახებ შესაბამის ორგანოებსა და პირებს. სახალხო დამცველის საქმიანობისათვის დაბრკოლებათა შექმნა ისჯება კანონით.

3. სახალხო დამცველის უფლებამოსილება განისაზღვრება ორგანული კანონით.

### 21.1. უჩა ნანუაშვილი:

43-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სახალხო დამცველი უფლებამოსილია გამოავლინოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის ფაქტები, მიმართოს ამის შესახებ შესაბამის ორგანოებსა და პირებს. სახალხო დამცველის საქმიანობისათვის დაბრკოლებათა შექმნა ისჯება კანონით.“

43-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 და მე-4 პუნქტები:

„3. სახელმწიფო ბიუჯეტში სახალხო დამცველისთვის განკუთვნილი მიმდინარე ხარჯების შემცირება წინა წლის საბიუჯეტო სახსრების ოდენობასთან შედარებით შეიძლება მხოლოდ სახალხო დამცველის წინასწარი თანხმობით.

4. სახალხო დამცველი ხელშეუხებელია და მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაკავება ან დაპატიმრება, ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი გაჩხრეკა შეიძლება მხოლოდ პარლამენტის თანხმობით. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პარლამენტს. თუ პარლამენტი არ მისცემს თანხმობას, დაკავებული ან დაპატიმრებული სახალხო დამცველი დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს.“

### 21.2. გია გეწაძე:

43-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

„3. სახალხო დამცველის ბიუჯეტი არ შეიძლება იყოს წინა წლის ბიუჯეტზე ნაკლები.“

### 21.3. ავტორთა ჯგუფი: ვახტანგ ნაცვლიშვილი, გიორგი ბურჯანაძე, გიორგი დავითური,

#### ვახუშტი მენაბდე და დავით ზედელაშვილი:

21.3.1. 43-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„1. საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას ზედამხედველობას უწევს საქართველოს სახალხო დამცველი, რომელსაც 5 წლის ვადით ირჩევს საქართველოს პარლამენტი/სენატი. სახალხო დამცველად არ შეიძლება აირჩეს პირი, რომელიც ადრე უკვე იკავებდა ამ თანამდებობას.“

2. სახალხო დამცველი არჩეულად ჩაითვლება თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობა, სადაც უზრუნველყოფილია საპარლამენტო უმრავლესობის მიღმა დარჩენილი დეპუტატების უმრავლესობის მხარდაჭერა.

3. საქართველოს სახალხო დამცველი საკუთარი ინიციატივით, ან მოქალაქის განცხადების საფუძველზე უფლებამოსილია, თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოავლინოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის ფაქტები და გამოიყენოს ეფექტური მექანიზმები მათ აღმოსაფხვრელად. ამ მიზნით შესაბამისი ფორმით და ორგანული კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში მიმართოს სასამართლოს, საჯარო ხელისუფლების ორგანოებსა და სხვა პირებს.

4. საქართველოს სახალხო დამცველის სხვა უფლებამოსილება განისაზღვრება ორგანული კანონით. დაუშვებელია სახალხო დამცველისთვის ისეთი უფლებამოსილების მინიჭება რაც შეუთავსებელია მის ინსტიტუციურ ბუნებასთან.

5. საქართველოს სახალხო დამცველის დაფინანსება უნდა უზრუნველყოფდეს მისი კონსტიტუციური უფლებამოსილებების დამოუკიდებლად და ჯეროვნად განხორციელებას. სახალხო დამცველისთვის განკუთვნილი ბიუჯეტის საერთო ოდენობის შემცირება წინა წლის შესაბამის ოდენობასთან შედარებით დაუშვებელია.

6. საქართველოს სახალხო დამცველის საქმიანობისათვის დაბრკოლებათა შექმნა ისჯება კანონით”.

#### 21.3.2. 43-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„1. საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას ზედამხედველობას უწევს საქართველოს სახალხო დამცველი, რომელსაც 5 წლის ვადით ირჩევს საქართველოს პარლამენტი/სენატი. სახალხო დამცველად არ შეიძლება აირჩეს პირი, რომელიც ადრე უკვე იკავებდა ამ თანამდებობას.

2. სახალხო დამცველი სენატის არჩეულად ჩაითვლება თუ მას მხარს დაუჭერს სენატის სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

3. საქართველოს სახალხო დამცველი საკუთარი ინიციატივით, ან მოქალაქის განცხადების საფუძველზე უფლებამოსილია, თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოავლინოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის ფაქტები და გამოიყენოს ეფექტური მექანიზმები მათ აღმოსაფხვრელად. ამ მიზნით შესაბამისი ფორმით და ორგანული კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში მიმართოს სასამართლოს, საჯარო ხელისუფლების ორგანოებსა და სხვა პირებს.

4. საქართველოს სახალხო დამცველის სხვა უფლებამოსილება განისაზღვრება ორგანული კანონით. დაუშვებელია სახალხო დამცველისთვის ისეთი უფლებამოსილების მინიჭება რაც შეუთავსებელია მის ინსტიტუციურ ბუნებასთან.

5. საქართველოს სახალხო დამცველის დაფინანსება უნდა უზრუნველყოფდეს მისი კონსტიტუციური უფლებამოსილებების დამოუკიდებლად და ჯეროვნად განხორციელებას. სახალხო დამცველისთვის განკუთვნილი ბიუჯეტის საერთო ოდენობის შემცირება წინა წლის შესაბამის ოდენობასთან შედარებით დაუშვებელია.

6. საქართველოს სახალხო დამცველის საქმიანობისათვის დაბრკოლებათა შექმნა ისჯება კანონით”.

## 22. მუხლი 46

### 22.1. ვახტანგ ხმალაძე:

46-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს საქართველოს პრეზიდენტს უფლება აქვს ქვეყანაში ან მის რომელიმე ნაწილში დეკრეტით შეზღუდოს კონსტიტუციის მე-18, მე-20, 21-ე, 22-ე, 24-ე, 25-ე, 30-ე, 33-ე და 41-ე მუხლებში ჩამოთვლილი უფლებანი და თავისუფლებანი. საქართველოს პრეზიდენტი ვალდებულია ეს დეკრეტი დაუყოვნებლივ შეიტანოს პარლამენტში დასამტკიცებლად.“.

## თავი მესამე

საქართველოს პარლამენტი

## 23. მუხლი 48

### 23.1. ვახტანგ ხმალაძე:

48<sup>1</sup> მუხლი ამოღებულ იქნეს.

## 24. 49-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტები

### მოქმედი რედაქცია:

1. საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლით გათვალისწინებული პირობების შექმნამდე საქართველოს პარლამენტი შედგება საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით, 4 წლის ვადით, პროპორციული სისტემით არჩეული 77 და მაჟორიტარული სისტემით არჩეული 73 პარლამენტის წევრისაგან.

2. პარლამენტის წევრად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 21 წლის ასაკიდან.

### 24.1. სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი:

1. „საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლით გათვალისწინებული პირობების შექმნამდე საქართველოს პარლამენტი შედგება საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით, 4 წლის ვადით, პროპორციული საარჩევნო სისტემით არჩეული 150 პარლამენტის წევრისაგან“

2. „პარლამენტის წევრად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 25 წლის ასაკიდან.“

### 24.2. ვახტანგ ხმალაძე:



#### **49-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

- „1. საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლით გათვალისწინებული პირობების შექმნამდე საქართველოს პარლამენტი შედგება საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით, 4 წლის ვადით, მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქების მიხედვით პროპორციული სისტემით არჩეული 150 პარლამენტის წევრისაგან. მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქებს შორის მანდატები განაწილდება ამ ოლქებში ამომრჩეველთა რაოდენობის პროპორციულად ორგანული კანონით დადგენილი წესით. ამავე ორგანული კანონით შეიძლება დადგინდეს ამ წესიდან გამონაკლისი არაუმეტეს ორი საარჩევნო ოლქისთვის.
2. პარლამენტის წევრად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 25 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 5 წელს მაინც და არჩევნების დანიშვნის დღემდე ბოლო 2 წლის განმავლობაში ცხოვრობდა საქართველოში, გარდა პირისა, რომელიც იმავდროულად სხვა ქვეყნის მოქალაქეა“.

## **25. მუხლი 50**

### **25.1 სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი:**

მეორე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„არჩევნების საერთაშორისო პროპორციული სისტემით ჩატარების შემთხვევაში, საარჩევნო ბარიერი არ უნდა აღემატებოდეს 4%-ს“.

### **25.2. ვახტანგ ხმაღამე:**

#### **25.2.1. პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

- „1. არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებულ პოლიტიკურ პარტიას (მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებას), რომლის არჩევნებში მონაწილეობის მხარდაჭერაც დადასტურებულია სულ ცოტა 25 ათასი ამომრჩევლის ხელმოწერით ორგანული კანონით დადგენილი წესით, ან რომლის წარმომადგენელიც არჩეული იყო მოქმედი პარლამენტის წევრად.
2. ყოველ მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქში პარლამენტის წევრთა მანდატები განაწილდება მხოლოდ იმ პოლიტიკურ პარტიებსა და საარჩევნო ბლოკებს შორის, რომლებიც მიიღებენ შესაბამის საარჩევნო ოლქში არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების 4 პროცენტს მაინც. პარლამენტის წევრთა მანდატები განაწილდება მათ მიერ შესაბამის საარჩევნო ოლქში მიღებული ხმების პროპორციულად ორგანული კანონით დადგენილი წესით, საარჩევნო კვოტისა და უდიდესი ნაშთის წესების გამოყენებით“.

#### **25.2.2. 2<sup>1</sup> პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

25.2.2.1. „2<sup>1</sup> [ვარიანტი 1, პრიორიტეტული]. პარლამენტის მორიგი არჩევნები ტარდება მოქმედი პარლამენტის უფლებამოსილების ოთხწლიანი ვადის ამოწურვამდე არაუგვიანეს ერთი თვისა, ხოლო რიგგარეშე არჩევნები – პარლამენტის დათხოვნის გადაწყვეტილებიდან არაუადრეს 45-ე

და არაუგვიანეს მე-60 დღისა. არჩევნების თარიღს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი, მორიგი არჩევნებისას – არჩევნებამდე არაუგვიანეს 60 დღისა, ხოლო რიგგარეშე არჩევნებისას – პარლამენტის დათხოვნის გადაწყვეტილების მიღებისთანავე.“;

25.2.2.2 „2<sup>1</sup> [ვარიანტი 2]. პარლამენტის მორიგი არჩევნები ტარდება მოქმედი პარლამენტის არჩევნებიდან 3 წლის შემდეგ, მეოთხე წლის მაისის თვეში, ხოლო რიგგარეშე არჩევნები – პარლამენტის დათხოვნის გადაწყვეტილებიდან არაუადრეს 45-ე და არაუგვიანეს მე-60 დღისა. რიგგარეშე არჩევნების თარიღს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი პარლამენტის დათხოვნის გადაწყვეტილების მიღებისთანავე”.

### **25.2.3. მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„3. თუ პარლამენტის არჩევნების ვადა დაემთხვა საგანგებო ან საომარ მდგომარეობას, არჩევნები ტარდება ამ მდგომარეობის გაუქმებიდან არაუადრეს 45-ე და არაუგვიანეს მე-60 დღისა. არჩევნების თარიღს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გაუქმებისთანავე”.

### **25.2.4. 3<sup>1</sup> და მე-4 პუნქტები ამოღებულ იქნეს.**

### **25.2.5. მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„5. პარლამენტის წევრთა არჩევის წესი, აგრეთვე არჩევნებთან დაკავშირებული სხვა საკითხები განისაზღვრება კონსტიტუციითა და ორგანული კანონით. არჩევნებში კანდიდატად მონაწილეობის ცენზები განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციით”.

## **26. მუხლი 51**

### **მოქმედი რედაქცია:**

ახალარჩეული პარლამენტის პირველი სხდომა უნდა გაიმართოს არჩევნებიდან 20 დღის განმავლობაში. პირველი სხდომის დღეს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი. პარლამენტი მუშაობას შეუდგება, თუ დადასტურებულია დეპუტატთა არანაკლებ ორი მესამედის უფლებამოსილება.

### **26.1. თამაზ კრავიშვილი:**

„საქართველოს ახალარჩეული პარლამენტის პირველი სხდომა უნდა გაიმართოს არჩევნების შედეგების გამოქვეყნებიდან 20 დღის განმავლობაში. პირველი სხდომის დღეს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი. პარლამენტი მუშაობას შეუდგება, თუ დადასტურებულია დეპუტატთა არანაკლებ ორი მესამედის უფლებამოსილება“.

## **26.2. ვახტანგ ხმალაძე:**

„1. საქართველოს ახალარჩეული პარლამენტის პირველი სხდომა იმართება პარლამენტის სრული შემადგენლობის სულ ცოტა ორი მესამედის არჩეულად ოფიციალური გამოცხადებიდან არაუგვიანეს მეათე დღისა. პირველი სხდომის დღეს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი.

2. პარლამენტის პირველი სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, თუ მას ესწრება პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობა. პარლამენტი სრულ უფლებამოსილებას იძენს მისი სრული შემადგენლობის სულ ცოტა ორი მესამედის უფლებამოსილების ცნობისთანავე.

3. პარლამენტის უფლებამოსილება წყდება ახალარჩეული პარლამენტის პირველი შეკრებისთანავე. პირველი შეკრება შემდგარად მიიჩნევა, თუ მას ესწრება პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობა”.

## **27. მუხლი 51<sup>1</sup>**

### **27.1. ვახტანგ ხმალაძე:**

„1. საქართველოს პრეზიდენტი დაითხოვს პარლამენტს შესაბამისი მდგომარეობის შექმნიდან 1 კვირის ვადაში:

ა) კონსტიტუციის 93-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში;

ბ) თუ მის წევრთა რაოდენობა პარლამენტის სრული შემადგენლობის ნახევრამდე ან მეტად შემცირდა და შეუძლებელია მისი შევსება;

გ) თუ სესიების პერიოდში ზედიზედ ორი თვის განმავლობაში არ გაიმართა პარლამენტის სხდომები ან მან ვერ მიიღო გადაწყვეტილებები.

2. საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია დაითხოვოს პარლამენტი კონსტიტუციის 79-ე მუხლის მე-9 პუნქტით და 81<sup>5</sup> მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მდგომარეობის შექმნისას, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

ა) პარლამენტის მიერ კონსტიტუციის 63-ე და 64-ე მუხლებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისას;

ბ) საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს;

გ) საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ბოლო 3 თვის განმავლობაში.

3. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება პარლამენტის დათხოვნის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში.

4. საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს არა აქვს ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევებში პარლამენტის დათხოვნის უფლება.

5. ვადამდე დათხოვნილ პარლამენტზე ვრცელდება კონსტიტუციის 51-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი დებულება”.

## 28. მუხლი 52

### 28.1. ვახტანგ ხმაღამე:

52-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. პარლამენტის წევრის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაკავება ან დაპატიმრება, მისი საცხოვრებელი და სამუშაო ადგილის, მანქანის ან პირადი გაჩხრეკა, აგრეთვე მისი კორესპონდენციის ამოღება შეიძლება მხოლოდ პარლამენტის წინასწარი თანხმობით.

გამონაკლისია დანაშაულის ჩადენის ადგილზე ნივთიერი სამხილით მისი დაკავების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პარლამენტს. თუ პარლამენტი არ მისცემს თანხმობას, პარლამენტის დაკავებული ან დაპატიმრებული წევრი დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს. ყველა ამ შემთხვევაში თანხმობის მიცემას პარლამენტი კენჭს უყრის შესაბამისი მიმართვის მიღებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა.

3. პარლამენტის წევრს უფლება აქვს ჩვენება არ მისცეს იმ ფაქტის გამო, რომელიც მას გაანდეს, როგორც პარლამენტის წევრს. აკრძალულია ამ საკითხთან დაკავშირებული წერილობითი ან სხვა სახის მასალის დაყადაღება ან ამოღება. ეს უფლება და აკრძალვა მოქმედებს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგაც”.

## 29. მუხლი 53

### 29.1. ვახტანგ ხმაღამე:

29.1.1. პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. პარლამენტის წევრს უფლება არა აქვს ეკავოს რაიმე თანამდებობა სახელმწიფო სამსახურში, გარდა საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანამდებობისა, ან ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას. შეუთავსებლობის შემთხვევებს განსაზღვრავს კანონი.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დარღვევისას პარლამენტის წევრს უფლებამოსილება შეუწყდება.“

29.1.2. მე-3 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი:

„4. პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე მყოფ პარლამენტის წევრს შეუზღუდება პარლამენტის წევრის უფლებამოსილება თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში. იმავდროულად მასზე ვრცელდება ამ მუხლის მე-2 პუნქტის დებულება.“

## 30. მუხლი 54

### 30.1. ვახტანგ ხმაღამე:

30.1.1. მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. პარლამენტის წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება, თუ:

ა) მან უარი განაცხადა პარლამენტის წევრობაზე;

- ბ) პარლამენტი დათხოვნილ იქნა;
- გ) საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო მისი არჩევა, უფლებამოსილების ცნობა ან უფლებამოსილების ვადამდე შეუწყვეტლობა;
- დ) მის მიმართ კანონიერ ძალაში შევიდა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;
- ე) იგი სასამართლომ ცნო ფსიქოსოციალური საჭიროების მქონედ (მხარდაჭერის მიმღებად), უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად;
- ვ) მან დაიკავა პარლამენტის წევრის სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობა, ან ეწევა შეუთავსებელ საქმიანობას;
- ზ) მან დაკარგა საქართველოს მოქალაქეობა ან მიიღო სხვა ქვეყნის მოქალაქეობა;
- თ) იგი არასაკაპიო მიზეზით ორი თვის განმავლობაში არ მონაწილეობდა პარლამენტის მუშაობაში;
- ი) იგი გარდაიცვალა.“

**30.1.2. მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:**

„3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის `ა`, `გ`, `ზ` და `ი` ქვეპუნქტებში აღნიშნულ შემთხვევებში პარლამენტი ამოწმებს შესაბამისი ფაქტის ნამდვილობას და ცნობად იღებს მას.“

**31. მუხლი 56**

**31.1. ვახტანგ ხმალაძე:**

**56-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

1. საკანონმდებლო საკითხების წინასწარი მომზადების, გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის, პარლამენტის მიერ მთავრობისა და მის წინაშე ანგარიშვალდებული სხვა ორგანოების საქმიანობის კონტროლის მიზნით პარლამენტში მისი უფლებამოსილების ვადით იქმნება კომიტეტები, მათ შორის, პეტიციის საკითხთა კომიტეტი.
2. კომიტეტის უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციით, კანონით და პარლამენტის რეგლამენტით.
3. კომიტეტი იქმნება საპარლამენტო ფრაქციების წევრთა და ფრაქციის გარეთ მყოფ პარლამენტართა რაოდენობის პროპორციულობის პრინციპის საფუძველზე, იმ პირობით, რომ ყველა ფრაქციას და ფრაქციის გარეთ მყოფ პარლამენტარებს თითო ადგილი მაინც გამოეყოფა.
4. პარლამენტის რეგლამენტით გათვალისწინებულ შემთხვევებში პარლამენტი უფლებამოსილია, ხოლო პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეოთხედის მოთხოვნით – ვალდებულია, შექმნას დროებითი საგამომიებო კომისია. პარლამენტი უფლებამოსილია, რეგლამენტით გათვალისწინებულ შემთხვევებში შექმნას სხვა დროებითი კომისიები. დროებითი კომისია იქმნება პარლამენტის დადგენილებით რეგლამენტით დადგენილი წესით, ამავე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი პრინციპების დაცვით, იმ პირობით, რომ კომისიაში საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლობა კომისიის წევრთა საერთო რაოდენობის ნახევარს არ აღემატებოდეს.

5. კომიტეტისა და დროებითი კომისიის თავმჯდომარეს პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი წესით ფარული კენჭისყრით ირჩევს პარლამენტი, ამასთანავე, პეტიციის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე არ უნდა წარმოადგენდეს საპარლამენტო უმრავლესობას. კომიტეტი და დროებითი კომისია პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი წესით თავისი შემადგენლობიდან ირჩევენ თავმჯდომარის ორ მოადგილეს, მათ შორის, ერთს მაინც – საპარლამენტო ოპოზიციის წევრთაგან.
6. დროებითი კომისიის მოთხოვნით მის სხდომაზე გამოცხადება, აგრეთვე საკითხის გამოკვლევისათვის აუცილებელი საბუთებისა და ინფორმაციის წარდგენა სავალდებულოა.
7. გამოძიებისა და შემოწმებისას დროებითი საგამოძიებო კომისიის მიერ გამოიყენება სისხლის სამართლის საპროცესო დებულებები.
8. სასამართლო, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ვალდებული არიან სამართლებრივი და ადმინისტრაციული დახმარება გაუწიონ დროებით საგამოძიებო კომისიას.
9. სასამართლო თავისუფალია იმ გარემოებათა განხილვისა და შეფასებისას, რომლებიც საფუძვლად უდევს დროებითი საგამოძიებო კომისიის გადაწყვეტილებას.
10. დროებითი კომისიის შექმნასა და საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა საკითხები განისაზღვრება პარლამენტის რეგლამენტით და კანონით.“

## 32. 56<sup>1</sup> მუხლის დამატება:

### 32.1. ვახტანგ ხმაღამე:

- „1. პარლამენტი უფლებამოსილია, განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხის გამოსაძიებლად, რომელიც შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, მიიღოს გადაწყვეტილება საგანგებო (ad hoc) პროკურორის დანიშვნის შესახებ.
2. საგანგებო პროკურორის დანიშვნას კენჭი ეყრება ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების მიღებიდან არაუადრეს მეშვიდე და არაუგვიანეს მეათე დღისა. მისი დანიშვნისთვის აუცილებელია პარლამენტის სიითი შემადგენლობის უმრავლესობის მხარდაჭერა.
3. საგანგებო პროკურორად შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ პირი, რომელიც აკმაყოფილებს პროკურორად ან მოსამართლედ გამწესების პირობებს. პარლამენტისთვის მისი კანდიდატურის წარდგენის უფლება აქვს პარლამენტის სიითი შემადგენლობის არანაკლებ ერთ მეხუთედს.
4. საგანგებო პროკურორი ანგარიშვალდებულია მხოლოდ პარლამენტის წინაშე. თავისი უფლებამოსილების განხორციელების პერიოდში მას შეუჩერდება ყველა სხვა სამსახურებრივი უფლებამოსილება. საგანგებო პროკურორს უფლებამოსილება შეუწყდება გამოსაძიებელ საქმეზე საბოლოო სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანისთანავე ან თავისი გადაწყვეტილებით გამოძიების შეწყვეტისთანავე.
5. საგანგებო პროკურორი საქმეს გამოიძიებს იმავე უფლებამოსილებითა და შეზღუდვებით, როგორც საგამოძიებო უწყება.

6. სასამართლო, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ვალდებული არიან სამართლებრივი და ადმინისტრაციული დახმარება გაუწიონ საგანგებო პროკურორს.
7. საგანგებო პროკურორის წარდგენით პარლამენტი ამტკიცებს მისი აპარატის რიცხოვნობასა და ბიუჯეტს. შესაბამისი თანხა გამოიყოფა სახელმწიფო ბიუჯეტიდან.
8. საგანგებო პროკურორის დანიშვნასა და საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა საკითხები მოწესრიგებულია პარლამენტის რეგლამენტით.“

### **33. მუხლი 59**

#### **33.1. ვახტანგ ხმალაძე:**

##### 59-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

- „1. პარლამენტი, მისი კომიტეტი და კომისია უფლებამოსილია, მოითხოვოს თავის სხდომაზე საქართველოს მთავრობის წევრის, პარლამენტის მიერ არჩეული, დანიშნული, დამტკიცებული ან მისი თანხმობით დანიშნული თანამდებობის პირის დასწრება. ასეთ შემთხვევაში ეს პირი ვალდებულია დაესწროს სხდომას და პასუხი გასცეს დასმულ შეკითხვებს, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში – წარმოადგინოს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში მოთხოვნის მიღებიდან 2 კვირის ვადაში.
2. საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და მინისტრის ანგარიშის მოსმენისას სხდომას უნდა ესწრებოდეს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორი.
3. პარლამენტის წევრი უფლებამოსილია კითხვით მიმართოს პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოს, მთავრობის წევრს, ყველა დონის ტერიტორიული ერთეულის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხელმძღვანელებს, სახელმწიფო დაწესებულებას და მიიღოს მათგან ამომწურავი პასუხი.
4. საპარლამენტო ფრაქციას, აგრეთვე პარლამენტის წევრთა სულ ცოტა ათკაციან ჯგუფს, უფლება აქვთ შეკითხვით მიმართონ პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოს, მთავრობის წევრს, რომლებიც ვალდებული არიან უპასუხონ დასმულ შეკითხვას პარლამენტის სხდომაზე. საპარლამენტო ფრაქციის, აგრეთვე პარლამენტის წევრთა სულ ცოტა ათკაციანი ჯგუფის მოთხოვნის შემთხვევაში პასუხი უნდა განიხილოს პარლამენტმა.
5. მთავრობის წევრს, პარლამენტის მიერ არჩეულ, დანიშნულ, დამტკიცებულ ან მისი თანხმობით დანიშნულ თანამდებობის პირს, აგრეთვე მათი უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, უფლება აქვთ დაესწრონ პარლამენტის, მისი კომიტეტის და კომისიის სხდომებს. მათ მოთხოვნისთანავე უნდა მოუსმინოს პარლამენტმა, კომიტეტმა და კომისიამ.“

### **34. მუხლი 60**

#### **34.1. ვახტანგ ხმალაძე:**

##### მე-60 მუხლის პირველი – მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

- „1. პარლამენტის სხდომები საჯაროა. პარლამენტი უფლებამოსილია, საპარლამენტო ფრაქციის, პარლამენტის სულ ცოტა 10 წევრის ან მთავრობის წინადადებით, დამსწრეთა ორი მესამედის



უმრავლესობით, ცალკეული საკითხების განხილვისას სხდომა ან მისი ნაწილი დახურულად გამოაცხადოს. ეს გადაწყვეტილება დახურულ სხდომაზე მიიღება.

2. პარლამენტი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ სხდომას ესწრება შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისათვის საკმარისი წევრთა რაოდენობა.

3. პარლამენტის პლენარულ სხდომაზე კენჭისყრა არის ღია ან ფარული. კენჭისყრა ღიაა, გარდა კონსტიტუციით, კანონითა და პარლამენტის რეგლამენტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.“

### **35. მუხლი 61**

#### **35.1. ვახტანგ ხმაღამე:**

მე-2 – მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. პარლამენტის თავმჯდომარე პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეოთხედის, საქართველოს პრეზიდენტის ან საქართველოს პრემიერ-მინისტრის მოთხოვნით პარლამენტის სესიებს შორის პერიოდში იწვევს რიგგარეშე სესიას, ხოლო მორიგი სესიის მიმდინარეობისას – რიგგარეშე სხდომას. თუ წერილობითი მოთხოვნის წარდგენიდან 48 საათის განმავლობაში მოწვევის აქტი არ გამოიცა, პარლამენტი უფლებამოსილია თავისი რეგლამენტის შესაბამისად შეიკრიბოს მომდევნო 48 საათის განმავლობაში.

3. პარლამენტის რიგგარეშე სხდომა ტარდება მხოლოდ სხდომის მოწვევის ინიციატორის მიერ განსაზღვრული დღის წესრიგით და იხურება მისი ამოწურვისთანავე.

4. პარლამენტი ვალდებულია შეიკრიბოს საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადებიდან 24 საათის განმავლობაში და მუშაობა გააგრძელოს ამ მდგომარეობის დამთავრებამდე.“

### **36. მუხლი 63**

#### **36.1. ვახტანგ ხმაღამე:**

63-ე მუხლის პირველი – მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. პარლამენტი უფლებამოსილია, კონსტიტუციის 75-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სრული შემადგენლობის ორი მესამედის უმრავლესობით, იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადააყენოს საქართველოს პრეზიდენტი. თანამდებობიდან გადაყენების საკითხის აღძვრის უფლება აქვს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს. საკითხი დასკვნისათვის გადაეცემა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, რომელმაც დასკვნა 2 კვირის ვადაში უნდა გადასცეს პარლამენტს.

2. თუ საკონსტიტუციო სასამართლომ თავისი დასკვნით დაადასტურა პრეზიდენტის ქმედებაში ან უმოქმედობაში დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების არსებობა ან კონსტიტუციის დარღვევა, პარლამენტი დასკვნის წარდგენიდან 15 დღის ვადაში განიხილავს და კენჭს უყრის პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების საკითხს.

3. თუ პარლამენტმა ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ ვადაში არ მიიღო გადაწყვეტილება პრეზიდენტის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების შესახებ, იმავე საკითხზე იმპიჩმენტის პროცედურის დაწყება დაუშვებელია.

4. თუ დასკვნის მიღების დროისათვის არ მიმდინარეობს პარლამენტის სესია, დასკვნის განხილვა უნდა დაიწყოს უახლოესი, მორიგი ან რიგგარეშე, სესიის პირველსავე სხდომაზე. ასეთ შემთხვევაში ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნული 15-დღიანი ვადა ამ სხდომის დღიდან აითვლება.“

### **37. მუხლი 64**

#### **37.1. ვახტანგ ხმაღამე:**

##### **64-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1. პარლამენტი უფლებამოსილია, სრული შემადგენლობის უმრავლესობით, იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადააყენოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და წევრი, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი, მთავრობის წევრი, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორი და მთავარი აუდიტორი, ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი და მთავარი პროკურორი მათ მიერ კონსტიტუციის დარღვევის ან/და მათ ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების არსებობის შემთხვევაში. თანამდებობიდან გადაყენების საკითხის აღძვრის უფლება აქვს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს.

2. ზემოაღნიშნული პირების თანამდებობიდან გადაყენების პროცედურაზე ვრცელდება კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი \_ მე-4 პუნქტების მოქმედება.“

### **38. მუხლი 65**

#### **38.1. ვახტანგ ხმაღამე:**

##### **38.1.1. მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„3. პარლამენტს უნდა გადაეცეს ყველა სხვა საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება.“

##### **38.1.2. მე-4 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 პუნქტი:**

„5. საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა ის დებულებები, რომლებიც ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, ძალაში შედის მხოლოდ კონსტიტუციაში შესაბამისი ცვლილების შეტანის შემდეგ. დასკვნას, არის თუ არა კონსტიტუციასთან შეუსაბამობა, იძლევა საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციური წარდგინების საფუძველზე.“

### **39. მუხლი 66**

#### **39.1. ვახტანგ ხმაღამე:**

##### **66-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

- „1. კონსტიტუციით მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით პარლამენტი იღებს კანონებს, დადგენილებებსა და პარლამენტის რეგლამენტით გათვალისწინებულ სხვა გადაწყვეტილებებს.
2. საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვთ პარლამენტის წევრს, საპარლამენტო ფრაქციას, პარლამენტის კომიტეტს, საქართველოს მთავრობას, აფხაზეთისა და აჭარის **[ვარიანტი: აფხაზეთისა და აჭარის რესპუბლიკების]** უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოებს, სულ ცოტა 30000 ამომრჩეველს. საქართველოს მთავრობის მიერ წარდგენილ კანონპროექტს მისივე მოთხოვნით პარლამენტი რიგგარეშე განიხილავს.
3. კანონი ან პარლამენტის დადგენილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს დამსწრეთა უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა, თუ კონსტიტუციით კანონის, ხოლო კონსტიტუციით, კანონით ან პარლამენტის რეგლამენტით დადგენილების მიღების სხვა წესი არ არის განსაზღვრული.
4. ორგანული კანონი მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი, მაგრამ არანაკლებ პარლამენტის 70 წევრისა. ორგანულ კანონს უპირატესი იურიდიული ძალა აქვს კანონის მიმართ.
5. კონსტიტუციური კანონი მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს არანაკლებ პარლამენტის სრული შემადგენლობის ორი მესამედისა. კონსტიტუციური კანონი კონსტიტუციის განუყოფელი ნაწილია და მას კონსტიტუციის იურიდიული ძალა აქვს.
6. კონსტიტუციური შეთანხმება დამტკიცებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს არანაკლებ პარლამენტის სრული შემადგენლობის სამი მეხუთედისა. კონსტიტუციურ შეთანხმებას უპირატესი იურიდიული ძალა აქვს ორგანული კანონის მიმართ.
7. საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი დამტკიცებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს დამსწრეთა უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა. პარლამენტი ვალდებულია დეკრეტის დამტკიცებას კენჭი უყაროს პარლამენტისთვის მისი წარდგენიდან 48 საათში. თუ ამ ვადაში კენჭისყრა არ შედგა, დეკრეტი დამტკიცებულად ითვლება, ხოლო თუ კენჭისყრა შედგა, მაგრამ დეკრეტი არ დამტკიცდა, იგი ძალადაკარგულად ითვლება.
8. პარლამენტის რეგლამენტი მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
9. პარლამენტის თანხმობა მიიღება დადგენილების სახით, თუ კონსტიტუციით სხვა წესი არ არის განსაზღვრული.
10. სხვა სახის გადაწყვეტილებათა მიღების წესი განისაზღვრება პარლამენტის რეგლამენტით.“

#### **40. მუხლი 67**

##### **მოქმედი რედაქცია:**

1. საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვთ: საქართველოს მთავრობას, პარლამენტის წევრს, საპარლამენტო ფრაქციას, პარლამენტის კომიტეტს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოებს, არანაკლებ 30000 ამომრჩეველს.

## 2. საქართველოს მთავრობის მიერ წარდგენილ კანონპროექტს მისივე მოთხოვნით პარლამენტი რიგგარეშე განიხილავს.

### 40.1. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია: 67-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„1. საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვთ: საქართველოს მთავრობას, პარლამენტის წევრს, საპარლამენტო ფრაქციას, პარლამენტის კომიტეტს, ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოებს, არანაკლებ 30000 ამომრჩეველს.“

### 40.2. ვახტანგ ხმალამე:

მუხლი 67 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. საქართველოს პრეზიდენტი, მთავრობა, სხვა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, საჯარო ხელისუფლების განმახორციელებელი სხვა დაწესებულებები და თანამდებობის პირები უფლებამოსილი არიან მიიღონ/გამოსცენ ქვეკანონური სამართლებრივი აქტები მხოლოდ კონსტიტუციით ან კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში. ამასთანავე, კანონით უნდა განისაზღვროს ამ უფლებამოსილების მიზანი, შინაარსი და მოცულობა.
2. ზემოაღნიშნული აქტები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონებს.
3. მიღებულ/გამოცემულ აქტში აღინიშნება მისი მიღების/გამოცემის სამართლებრივი საფუძველი.
4. ქვეკანონური სამართლებრივი აქტის მიღების/გამოცემის უფლებამოსილების შემდგომი გადაცემა შეიძლება მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში. უფლებამოსილების გადასაცემად აუცილებელია სათანადო სამართლებრივი აქტის გამოცემა.“

## 41. მუხლი 68

### მოქმედი რედაქცია:

1. პარლამენტის მიერ მიღებული კანონპროექტი 7 დღის ვადაში გადაეცემა საქართველოს პრეზიდენტს.

2. პრეზიდენტი 10 დღის ვადაში ხელს აწერს და აქვეყნებს კანონს ან მოტივირებული შენიშვნებით უბრუნებს პარლამენტს.

3. თუ პრეზიდენტი დააბრუნებს კანონპროექტს, პარლამენტი კენჭს უყრის პრეზიდენტის შენიშვნებს. შენიშვნათა მისაღებად საკმარისია ხმათა იგივე რაოდენობა, რაც ამ სახის კანონპროექტისათვის დადგენილია კონსტიტუციის 66-ე მუხლით. თუ შენიშვნები მიღებულია, კანონპროექტის საბოლოო რედაქცია გადაეცემა პრეზიდენტს, რომელიც 7 დღის ვადაში ხელს აწერს და აქვეყნებს მას.

4. თუ პარლამენტმა არ მიიღო პრეზიდენტის შენიშვნები, კენჭი ეყრება კანონპროექტის პირვანდელ რედაქციას. კანონის პროექტი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. ორგანული კანონის პროექტი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას

მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. კონსტიტუციური კანონის პროექტი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ სამი მეოთხედი.

5. თუ პრეზიდენტმა დადგინილ ვადაში არ გამოაქვეყნა კანონი, მას ხელს აწერს და აქვეყნებს პარლამენტის თავმჯდომარე.

6. კანონი ძალაში შედის მისი ოფიციალურ ორგანოში გამოქვეყნებიდან მე -15 დღეს, თუ სხვა ვადა არ არის დადგენილი.

#### **41.1. კარლო გოდოლაძე:**

დაემატოს მე-3<sup>1</sup> პუნქტი:

„3<sup>1</sup>. თუ პრეზიდენტი დააბრუნებს კანონპროექტს, მოტივირებული შენიშვნით შესაძლო არაკონსტიტუციურობის თაობაზე, საკითხი განხილვისათვის გადაეცემა საკონსტიტუციო სასამართლოს, რომელიც 7 კალენდარული დღის ვადაში წარმოადგენს საბოლოო დასკვნას. დადებითი დასკვნის შემთხვევაში პრეზიდენტი ხელს აწერს და აქვეყნებს კანონპროექტს, უარყოფითი დასკვნა ახდენს კანონპროექტის ანუღირებას.

თუკი საკონსტიტუციო სასამართლო წარმოადგენს დასკვნას კანონპროექტის ნაწილობრივ არაკონსტიტუციურად ცნობის თაობაზე, კანონპროექტი დასკვნასთან შესაბამისობაში მოსაყვანად ეგზავნება პარლამენტს, შესწორებულ კანონპროექტს ხელს აწერს და აქვეყნებს საქართველოს პრეზიდენტი“.

#### **41.2. ვახტანგ ხმალაძე:**

68-ე მუხლის მე-2 – მე-6 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. პრეზიდენტი 10 დღის ვადაში ხელს აწერს და აქვეყნებს კანონს ან მოტივირებული შენიშვნებით უბრუნებს პარლამენტს. პარლამენტისთვის კანონის დაბრუნების უფლება არ ვრცელდება კონსტიტუციურ კანონზე.

3. თუ პრეზიდენტი დააბრუნებს კანონს, პარლამენტი კენჭს უყრის პრეზიდენტის შენიშვნებს. შენიშვნათა მისაღებად საკმარისია ხმათა იგივე რაოდენობა, რაც ამ სახის კანონისათვის დადგენილია კონსტიტუციის 66-ე მუხლით. თუ პარლამენტმა მიიღო შენიშვნები, კანონის საბოლოო რედაქცია 5 დღის ვადაში გადაეცემა პრეზიდენტს, რომელიც 5 დღის ვადაში ხელს აწერს და აქვეყნებს მას.

4. თუ პარლამენტმა არ მიიღო პრეზიდენტის შენიშვნები, კენჭი ეყრება კანონის პირვანდელ რედაქციას. კანონი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. ორგანული კანონი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. კონსტიტუციური კანონი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს არანაკლებ პარლამენტის სრული შემადგენლობის ორი მესამედისა. მიღებული კანონი 3 დღის ვადაში გადაეცემა საქართველოს პრეზიდენტს, რომელიც 5 დღის ვადაში ხელს აწერს და აქვეყნებს მას.

5. თუ პრეზიდენტმა ამ მუხლით დადგინილ ვადაში არ გამოაქვეყნა კანონი, ვადის ამოწურვიდან 5 დღის ვადაში მას ხელს აწერს და აქვეყნებს პარლამენტის თავმჯდომარე.

6. კანონი ძალაში შედის `საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში` გამოქვეყნების შემდეგ, გამოქვეყნებიდან მეთხუთმეტე კალენდარულ დღეს, თუ თავად კანონით სხვა ვადა არ იქნა დადგენილი.“

#### **42. შემოთავაზებულია კონსტიტუციის მესამე თავში შემდეგი შინაარსის მუხლის დამატება:**

##### **42.1. კარლო გოდოლაძე:**

„1. საპარლამენტო ოპოზიცია საკანონმდებლო ორგანოს არსებითი ნაწილია. გარანტირებულია საპარლამენტო ოპოზიციის უფლებამოსილება იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნას მისი შესატყვისი და ეფექტური წარმომადგენლობა ყველა საპარლამენტო ინსტიტუციაში, აგრეთვე პარლამენტის საშინაო და საგარეო ურთიერთობებში.

2. ოპოზიცია ასახელებს მინიმუმ ორი წამყვანი საპარლამენტო კომიტეტის თავჯდომარეს. პროცედურა და არჩევის წესი დგინდება პარლამენტის რეგლამენტით.

3. ოპოზიცია ვალდებულია მიიღოს აქტიური და კონსტრუქციული მონაწილეობა საპარლამენტო საქმიანობაში“.

თავი მეოთხე

საქართველოს პრეზიდენტი

#### **43. მუხლი 69**

##### **43.1. ვახტანგ ხმალაძე:**

##### **43.1.1. 69-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1. საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს სახელმწიფოს მეთაური, ქვეყნის ერთიანობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის გარანტი. საქართველოს პრეზიდენტი ხელს უწყობს სახელმწიფო ორგანოთა ფუნქციონირებას კონსტიტუციით განსაზღვრულ ფარგლებში.“

##### **43.1.2. 69-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1. საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს სახელმწიფოს მეთაური. იგი ასახიერებს ქვეყნის ერთიანობას და ეროვნულ დამოუკიდებლობას. საქართველოს პრეზიდენტი კონსტიტუციით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში ასრულებს არბიტრის ფუნქციას სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის.“

#### **44. მუხლი 70**

##### **44.1. ვახტანგ ხმალაძე:**

70-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

- „1. საქართველოს პრეზიდენტს 5 წლის ვადით დებატების გარეშე ფარული კენჭისყრით ირჩევს პარლამენტი. ერთი და იგივე პირი პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს მხოლოდ ორჯერ. თუ არჩევნები გამოიწვია პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტამ, მას არა აქვს ამ არჩევნებში მონაწილეობის უფლება.
2. პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე დაბადებით საქართველოს მოქალაქე 40 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში 15 წელი მაინც უცხოვრია და არჩევნების დანიშნვის დღეს ცხოვრობს საქართველოში, გარდა პირისა, რომელიც იმავდროულად სხვა ქვეყნის მოქალაქეა.
3. საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები იმართება პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე არაუადრეს 45-ე და არაუგვიანეს 30-ე დღისა, ხოლო მისი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში – უფლებამოსილების შეწყვეტიდან არაუგვიანეს 30-ე დღისა. პარლამენტის შესაბამის სხდომას იწვევს პარლამენტის თავმჯდომარე არჩევნებამდე სულ ცოტა 20 დღით ადრე.
4. თუ პარლამენტი დათხოვნილია ან თუ მისი უფლებამოსილების ვადის გასვლამდე 3 თვეზე ნაკლებია დარჩენილი, პრეზიდენტის არჩევნები იმართება ახალარჩეული პარლამენტის მოწვევიდან არაუგვიანეს 30-ე დღისა. შესაბამისად, თანამდებობაზე მყოფი პრეზიდენტის უფლებამოსილება გრძელდება ახალარჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებამდე.
5. პრეზიდენტის არჩევნები გაიმართება, თუ სხდომას ესწრება პარლამენტის სრული შემადგენლობის ორ მესამედზე მეტი. პრეზიდენტობის კანდიდატის წარდგენის უფლება აქვს პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთ მეხუთედზე მეტს. პარლამენტის წევრს უფლება აქვს ხელი მოაწეროს მხოლოდ ერთი კანდიდატის წარდგენას და კენჭისყრისას ხმა მისცეს მხოლოდ ერთ კანდიდატს.
6. თუ არჩევნების დანიშნულ დღეს პარლამენტის სხდომის კვორუმი არ შედგა, არჩევნები გაიმართება მომდევნო 7 დღის განმავლობაში. არჩევნების ახალ თარიღს იმავე დღეს ნიშნავს პარლამენტის თავმჯდომარე.
7. არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელიც პარლამენტის სრული შემადგენლობის ხმათა სამ მეხუთედზე მეტს მიიღებს. თუ კენჭისყრის პირველ ტურში ასეთი უმრავლესობა ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო, არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელიც მეორე ან მესამე ტურში პარლამენტის სრული შემადგენლობის ხმათა უმრავლესობას მიიღებს. მეორე და, საჭიროების შემთხვევაში, მესამე ტურში კენჭი ეყრება ორ კანდიდატს, რომლებმაც წინა ტურში სხვებზე მეტი ხმა მიიღეს. თუ მიღებულ ხმათა თანაბრობის გამო ასეთ კანდიდატთა რაოდენობა ორზე მეტი აღმოჩნდა, კენჭი ეყრება ყველა მათგანს.
8. ყველა კენჭისყრა ერთი დღის განმავლობაში იმართება. თუ კენჭისყრის პროცედურა ერთ დღეში ვერ დასრულდა, იგი მომდევნო დღეს გაგრძელდება.
9. თუ კენჭისყრის ნებისმიერ ტურში მხოლოდ ერთი კანდიდატი მონაწილეობდა და მან პარლამენტის სრული შემადგენლობის ხმათა უმრავლესობა ვერ მიიღო, მომდევნო 7 დღის განმავლობაში გაიმართება პრეზიდენტის ხელახალი არჩევნები. არჩევნების ახალ თარიღს იმავე დღეს ნიშნავს პარლამენტის თავმჯდომარე.
10. საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებში კანდიდატად მონაწილეობის ცენზები მხოლოდ კონსტიტუციით, ხოლო არჩევნებთან დაკავშირებული სხვა საკითხები ორგანული კანონით განისაზღვრება.“

## **44.2. ვახტანგ ხმალაძე:**

### **44.2.1. 70-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**



„1. საქართველოს პრეზიდენტს 5 წლის ვადით დებატების გარეშე ფარული კენჭისყრით ირჩევს საარჩევნო კოლეგია. ერთი და იგივე პირი პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს მხოლოდ ორჯერ. თუ არჩევნები გამოიწვია პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტამ, მას არა აქვს ამ არჩევნებში მონაწილეობის უფლება.

2. პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე დაბადებით საქართველოს მოქალაქე 40 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში 15 წელი მაინც უცხოვრია და არჩევნების დანიშვნის დღეს ცხოვრობს საქართველოში, გარდა პირისა, რომელიც იმავდროულად სხვა ქვეყნის მოქალაქეა.”

3. საარჩევნო კოლეგია შედგება პარლამენტის წევრებისა და ორგანული კანონით დადგენილი წესით აფხაზეთისა და აჭარის [ვარიანტი: აფხაზეთისა და აჭარის რესპუბლიკების], საქართველოს სხვა მხარეთა და ცხინვალის განსაკუთრებული ოლქის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოთა მიერ თავიანთი შემადგენლობიდან თანაბარი რაოდენობით არჩეული არაუმეტეს 150 დელეგატისაგან. წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დელეგატთა არჩევისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს უმცირესობის პროპორციული წარმომადგენლობა. დელეგატთა არჩევნები იმართება საარჩევნო კოლეგიის მოწვევის შემდეგ, პრეზიდენტის არჩევნებამდე არაუგვიანეს მე-10 დღისა.

4. საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები იმართება პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე არაუადრეს 45-ე და არაუგვიანეს 30-ე დღისა, ხოლო მისი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში – უფლებამოსილების შეწყვეტიდან არაუგვიანეს 30-ე დღისა. საარჩევნო კოლეგიას იწვევს პარლამენტის თავმჯდომარე არჩევნებამდე სულ ცოტა 20 დღით ადრე.

5. თუ პარლამენტი დათხოვნილია ან თუ მისი უფლებამოსილების ვადის გასვლამდე 3 თვეზე ნაკლებია დარჩენილი, პრეზიდენტის არჩევნები იმართება ახალარჩეული პარლამენტის მოწვევიდან არაუგვიანეს 30-ე დღისა. შესაბამისად, თანამდებობაზე მყოფი პრეზიდენტის უფლებამოსილება გრძელდება ახალარჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებამდე.

6. პრეზიდენტის არჩევნები იმართება საქართველოს პარლამენტის შენობაში. არჩევნები გაიმართება, თუ შეკრებას ესწრება საარჩევნო კოლეგიის წევრთა სრული რაოდენობის ორ მესამედზე მეტი. პრეზიდენტობის კანდიდატის წარდგენის უფლება აქვს საარჩევნო კოლეგიის წევრთა სრული რაოდენობის მეხუთედზე მეტს. ერთ პირს უფლება აქვს ხელი მოაწეროს მხოლოდ ერთი კანდიდატის წარდგენას და კენჭისყრისას ხმა მისცეს მხოლოდ ერთ კანდიდატს.

7. თუ არჩევნების დანიშნულ დღეს შეკრებას არ დაესწრო საარჩევნო კოლეგიის წევრთა სრული რაოდენობის ორ მესამედზე მეტი, არჩევნები მომდევნო 7 დღის განმავლობაში გაიმართება. არჩევნების ახალ თარიღს იმავე დღეს ნიშნავს პარლამენტის თავმჯდომარე.

8. არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელიც საარჩევნო კოლეგიის წევრთა სრული რაოდენობის ხმათა სამ მეხუთედზე მეტს მიიღებს. თუ კენჭისყრის პირველ ტურში ასეთი უმრავლესობა ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო, არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელიც მეორე ან მესამე ტურში კოლეგიის წევრთა სრული რაოდენობის ხმათა უმრავლესობას მიიღებს. მეორე და, საჭიროების შემთხვევაში, მესამე ტურში კენჭი ეყრება ორ კანდიდატს, რომლებმაც წინა ტურში სხვებზე მეტი ხმა მიიღეს. თუ მიღებულ ხმათა თანაბრობის გამო ასეთ კანდიდატთა რაოდენობა ორზე მეტი აღმოჩნდა, კენჭი ეყრება ყველა მათგანს.

9. ყველა კენჭისყრა ერთი დღის განმავლობაში იმართება. თუ კენჭისყრის პროცედურა ერთ დღეში ვერ დასრულდა, იგი მომდევნო დღეს გაგრძელდება.

10. თუ კენჭისყრის ნებისმიერ ტურში მხოლოდ ერთი კანდიდატი მონაწილეობდა და მან საარჩევნო კოლეგიის წევრთა სრული რაოდენობის ხმათა უმრავლესობა ვერ მიიღო, მომდევნო

7 დღის განმავლობაში გაიმართება პრეზიდენტის ხელახალი არჩევნები. არჩევნების ახალ თარიღს იმავე დღეს ნიშნავს პარლამენტის თავმჯდომარე.

11. საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების ორგანიზებასა და არჩევნების შედეგების შეჯამებას ახორციელებს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია. საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებში კანდიდატად მონაწილეობის ცენზები მხოლოდ კონსტიტუციით, ხოლო არჩევნებთან დაკავშირებული სხვა საკითხები ორგანული კანონით განისაზღვრება.“

#### **44.2.2. 70-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1. საქართველოს პრეზიდენტს 5 წლის ვადით დებატების გარეშე ფარული კენჭისყრით ირჩევს საარჩევნო კოლეგია. ერთი და იგივე პირი პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს მხოლოდ ორჯერ. თუ არჩევნები გამოიწვია პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტამ, მას არა აქვს ამ არჩევნებში მონაწილეობის უფლება.

2. პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე დაბადებით საქართველოს მოქალაქე 40 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში 15 წელი მაინც უცხოვრია და არჩევნების დანიშვნის დღეს ცხოვრობს საქართველოში, გარდა პირისა, რომელიც იმავდროულად სხვა ქვეყნის მოქალაქეა.“

3. საარჩევნო კოლეგია შედგება პარლამენტის წევრებისა და ორგანული კანონით დადგენილი წესით, ტერიტორიული პრინციპით გაერთიანებული ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების (საკრებულოების) წევრთა მიერ თავიანთი შემადგენლობიდან არჩეული 150 დელეგატისაგან. თითოეული ასეთი გაერთიანების შემადგენლობა და ყოველი გაერთიანების მიერ ასარჩევ დელეგატთა რაოდენობა ორგანული კანონით განისაზღვრება. დელეგატთა არჩევისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს უმცირესობის პროპორციული წარმომადგენლობა. დელეგატთა არჩევნები იმართება საარჩევნო კოლეგიის მოწვევის შემდეგ, პრეზიდენტის არჩევნებამდე არაუგვიანეს მე-10 დღისა.

4. საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები იმართება პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე არაუადრეს 45-ე და არაუგვიანეს 30-ე დღისა, ხოლო მისი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში – უფლებამოსილების შეწყვეტიდან არაუგვიანეს 30-ე დღისა. საარჩევნო კოლეგიას იწვევს პარლამენტის თავმჯდომარე არჩევნებამდე სულ ცოტა 20 დღით ადრე.

5. თუ პარლამენტი დათხოვნილია ან თუ მისი უფლებამოსილების ვადის გასვლამდე 3 თვეზე ნაკლებია დარჩენილი, პრეზიდენტის არჩევნები იმართება ახლარჩეული პარლამენტის მოწვევიდან არაუგვიანეს 30-ე დღისა. შესაბამისად, თანამდებობაზე მყოფი პრეზიდენტის უფლებამოსილება გრძელდება ახლარჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებამდე.

6. პრეზიდენტის არჩევნები იმართება საქართველოს პარლამენტის შენობაში. არჩევნები გაიმართება, თუ შეკრებას ესწრება საარჩევნო კოლეგიის წევრთა სრული რაოდენობის ორ მესამედზე მეტი. პრეზიდენტობის კანდიდატის წარდგენის უფლება აქვს საარჩევნო კოლეგიის წევრთა სრული რაოდენობის მეხუთედზე მეტს. ერთ პირს უფლება აქვს ხელი მოაწეროს მხოლოდ ერთი კანდიდატის წარდგენას და კენჭისყრისას ხმა მისცეს მხოლოდ ერთ კანდიდატს.

7. თუ არჩევნების დანიშნულ დღეს შეკრებას არ დაესწრო საარჩევნო კოლეგიის წევრთა სრული რაოდენობის ორ მესამედზე მეტი, არჩევნები მომდევნო 7 დღის განმავლობაში გაიმართება. არჩევნების ახალ თარიღს იმავე დღეს ნიშნავს პარლამენტის თავმჯდომარე.

8. არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელიც საარჩევნო კოლეგიის წევრთა სრული რაოდენობის ხმათა სამ მეხუთედზე მეტს მიიღებს. თუ კენჭისყრის პირველ ტურში ასეთი უმრავლესობა ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო, არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელიც მეორე ან მესამე ტურში კოლეგიის წევრთა სრული რაოდენობის ხმათა

უმრავლესობას მიიღებს. მეორე და, საჭიროების შემთხვევაში, მესამე ტურში კენჭი ეყრება ორ კანდიდატს, რომლებმაც წინა ტურში სხვებზე მეტი ხმა მიიღეს. თუ მიღებულ ხმათა თანაბრობის გამო ასეთ კანდიდატთა რაოდენობა ორზე მეტი აღმოჩნდა, კენჭი ეყრება ყველა მათგანს.

9. ყველა კენჭისყრა ერთი დღის განმავლობაში იმართება. თუ კენჭისყრის პროცედურა ერთ დღეში ვერ დასრულდა, იგი მომდევნო დღეს გაგრძელდება.

10. თუ კენჭისყრის ნებისმიერ ტურში მხოლოდ ერთი კანდიდატი მონაწილეობდა და მან საარჩევნო კოლეგიის წევრთა სრული რაოდენობის ხმათა უმრავლესობა ვერ მიიღო, მომდევნო 7 დღის განმავლობაში გაიმართება პრეზიდენტის ხელახალი არჩევნები. არჩევნების ახალ თარიღს იმავე დღეს ნიშნავს პარლამენტის თავმჯდომარე.

11. საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების ორგანიზებასა და არჩევნების შედეგების შეჯამებას ახორციელებს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია. საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებში კანდიდატად მონაწილეობის ცენზები მხოლოდ კონსტიტუციით, ხოლო არჩევნებთან დაკავშირებული სხვა საკითხები ორგანული კანონით განისაზღვრება.“

#### **44.2.3. 70-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1. საქართველოს პრეზიდენტს 5 წლის ვადით დებატების გარეშე ფარული კენჭისყრით ირჩევს საარჩევნო კოლეგია. ერთი და იგივე პირი პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს მხოლოდ ორჯერ. თუ არჩევნები გამოიწვია პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტამ, მას არა აქვს ამ არჩევნებში მონაწილეობის უფლება.

2. პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე დაბადებით საქართველოს მოქალაქე 40 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში 15 წელი მაინც უცხოვრია და არჩევნების დანიშვნის დღეს ცხოვრობს საქართველოში, გარდა პირისა, რომელიც იმავდროულად სხვა ქვეყნის მოქალაქეა.“

3. საარჩევნო კოლეგია შედგება პარლამენტის წევრებისა და აფხაზეთისა და აჭარის [ვარიანტი: აფხაზეთისა და აჭარის რესპუბლიკების], საქართველოს სხვა მხარეთა და ცხინვალის განსაკუთრებული ოლქის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოთა მიერ თავიანთი შემადგენლობიდან ორგანული კანონით დადგენილი წესით არჩეული დელეგატებისაგან. აფხაზეთისა და აჭარის [ვარიანტი: აფხაზეთისა და აჭარის რესპუბლიკების] უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოები ირჩევენ თხუთმეტ-თხუთმეტ დელეგატს, ხოლო დანარჩენები ათ-ათს. დელეგატთა არჩევნას უზრუნველყოფილი უნდა იყოს უმცირესობის პროპორციული წარმომადგენლობა. დელეგატთა არჩევნები იმართება საარჩევნო კოლეგიის მოწვევის შემდეგ, პრეზიდენტის არჩევნებამდე არაუგვიანეს მე-10 დღისა.

4. საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები იმართება პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე არაუადრეს 45-ე და არაუგვიანეს 30-ე დღისა, ხოლო მისი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში \_ უფლებამოსილების შეწყვეტიდან არაუგვიანეს 30-ე დღისა. საარჩევნო კოლეგიას იწვევს პარლამენტის თავმჯდომარე არჩევნებამდე სულ ცოტა 20 დღით ადრე.

5. თუ პარლამენტი დათხოვნილია ან თუ მისი უფლებამოსილების ვადის გასვლამდე 3 თვეზე ნაკლებია დარჩენილი, პრეზიდენტის არჩევნები იმართება ახლარჩეული პარლამენტის მოწვევიდან არაუგვიანეს 30-ე დღისა. შესაბამისად, თანამდებობაზე მყოფი პრეზიდენტის უფლებამოსილება გრძელდება ახლარჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებამდე.

6. პრეზიდენტის არჩევნები იმართება საქართველოს პარლამენტის შენობაში. არჩევნები გაიმართება, თუ შეკრებას ესწრება საარჩევნო კოლეგიის წევრთა სრული რაოდენობის ორ მესამედზე მეტი. პრეზიდენტობის კანდიდატის წარდგენის უფლება აქვს საარჩევნო კოლეგიის

წევრთა სრული რაოდენობის მეხუთედზე მეტს. ერთ პირს უფლება აქვს ხელი მოაწეროს მხოლოდ ერთი კანდიდატის წარდგენას და კენჭისყრისას ხმა მისცეს მხოლოდ ერთ კანდიდატს.

7. თუ არჩევნების დანიშნულ დღეს შეკრებას არ დაესწრო საარჩევნო კოლეგიის წევრთა სრული რაოდენობის ორ მესამედზე მეტი, არჩევნები მომდევნო 7 დღის განმავლობაში გაიმართება. არჩევნების ახალ თარიღს იმავე დღეს ნიშნავს პარლამენტის თავმჯდომარე.

8. არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელიც საარჩევნო კოლეგიის წევრთა სრული რაოდენობის ხმათა სამ მეხუთედზე მეტს მიიღებს. თუ კენჭისყრის პირველ ტურში ასეთი უმრავლესობა ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო, არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელიც მეორე ან მესამე ტურში კოლეგიის წევრთა სრული რაოდენობის ხმათა უმრავლესობას მიიღებს. მეორე და, საჭიროების შემთხვევაში, მესამე ტურში კენჭი ეყრება ორ კანდიდატს, რომლებმაც წინა ტურში სხვებზე მეტი ხმა მიიღეს. თუ მიღებულ ხმათა თანაბრობის გამო ასეთ კანდიდატთა რაოდენობა ორზე მეტი აღმოჩნდა, კენჭი ეყრება ყველა მათგანს.

9. ყველა კენჭისყრა ერთი დღის განმავლობაში იმართება. თუ კენჭისყრის პროცედურა ერთ დღეში ვერ დასრულდა, იგი მომდევნო დღეს გაგრძელდება.

10. თუ კენჭისყრის ნებისმიერ ტურში მხოლოდ ერთი კანდიდატი მონაწილეობდა და მან საარჩევნო კოლეგიის წევრთა სრული რაოდენობის ხმათა უმრავლესობა ვერ მიიღო, მომდევნო 7 დღის განმავლობაში გაიმართება პრეზიდენტის ხელახალი არჩევნები. არჩევნების ახალ თარიღს იმავე დღეს ნიშნავს პარლამენტის თავმჯდომარე.

11. საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების ორგანიზებასა და არჩევნების შედეგების შეჯამებას ახორციელებს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია. საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებში კანდიდატად მონაწილეობის ცენზები მხოლოდ კონსტიტუციით, ხოლო არჩევნებთან დაკავშირებული სხვა საკითხები ორგანული კანონით განისაზღვრება.“

## 45. მუხლი 71

### 45.1. ვახტანგ ხმალაძე:

1. თანამდებობის დაკავების წინ საქართველოს ახალარჩეული პრეზიდენტი პარლამენტის წინაშე დებს ფიცს:

„მე, საქართველოს პრეზიდენტი, ღვთისა და ერის წინაშე ვფიცავ, რომ დავიცავ საქართველოს კონსტიტუციას, ქვეყნის დამოუკიდებლობას, ერთიანობასა და განუყოფლობას, ყველას მიმართ სამართლიანობას, კეთილსინდისიერად აღვასრულებ პრეზიდენტის მოვალეობას, ვიზრუნებ ჩემი ქვეყნის მოქალაქეთა უსაფრთხოებისა და კეთილდღეობისათვის, ჩემი ხალხისა და მამულის აღორძინებისა და ძლევამოსილებისათვის“.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ცერემონიალი იმართება თანამდებობაზე მყოფი პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის დღეს, ხოლო რიგგარეშე არჩევნების შემთხვევაში – პრეზიდენტის არჩევიდან მეათე დღეს. თანამდებობაზე მყოფი პრეზიდენტის უფლებამოსილება წყდება ახალარჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებისთანავე.“

## 46. მუხლი 72

### 46.1. ვახტანგ ხმალაძე:

„საქართველოს პრეზიდენტს უფლება არა აქვს ეკავოს სხვა თანამდებობა, იყოს პოლიტიკური გაერთიანების წევრი, მონაწილეობდეს სხვის საარჩევნო კამპანიაში, ეწეოდეს სამეწარმეო

საქმიანობას, იღებდეს ხელფასს ან სხვაგვარ მუდმივ ანაზღაურებას რაიმე სხვა საქმიანობისათვის“.

#### 47. 75-ე მუხლის მე-2 პუნქტი

##### 47.1. ვახტანგ ხმაღამე:

„2. პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციის დარღვევის ან მის ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების არსებობის შემთხვევაში პარლამენტი უფლებამოსილია კონსტიტუციის 63-ე მუხლითა და ორგანული კანონით დადგენილი წესით თანამდებობიდან გადააყენოს პრეზიდენტი“.

#### 48. მუხლი 76

##### 48.1. ვახტანგ ხმაღამე:

„1. საქართველოს პრეზიდენტს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება თანამდებობიდან გადადგომის, გადაყენების ან გარდაცვალების შემთხვევაში, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ დადგინდა მის მიერ პრეზიდენტის უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობა.  
2. საქართველოს პრეზიდენტის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების დროებითი შეუძლებლობის შემთხვევაში მას უფლებამოსილება შეუჩერდება არაუმეტეს 60 დღით, ხოლო თუ ასეთი მდგომარეობა მეტ ხანს გაგრძელდა, მას ვადამდე შეუწყდება უფლებამოსილება.  
3. საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების შეჩერების ან ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებს პარლამენტის თავმჯდომარე, ხოლო პარლამენტის თავმჯდომარის მიერ საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, აგრეთვე თუ პარლამენტი დათხოვნილია, საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებს პრემიერ-მინისტრი.  
4. პარლამენტის თავმჯდომარის მიერ საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შესრულების პერიოდში პარლამენტის თავმჯდომარის მოვალეობას, პარლამენტის თავმჯდომარის დავალებით, ასრულებს მისი ერთ-ერთი მოადგილე.  
5. პრემიერ-მინისტრის მიერ საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შესრულების პერიოდში პრემიერ-მინისტრის მოვალეობას ასრულებს ვიცე-პრემიერის უფლებამოსილების მქონე მინისტრი.  
6. საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს არა აქვს რეფერენდუმის დანიშვნის უფლება.  
7. საქართველოს პრეზიდენტის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობას სიითი შემადგენლობის ორი მესამედის უმრავლესობით ადგენს საქართველოს პარლამენტი მთავრობის დასაბუთებული წინადადების საფუძველზე. პარლამენტის ეს დადგენილება მისი მიღებიდან 10 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საკონსტიტუციო სასამართლოში“.

#### 49. მუხლი 77

##### 49.1. ვახტანგ ხმაღამე:

„1. საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილებათა განხორციელების ხელშეწყობის მიზნით იქმნება საქართველოს პრეზიდენტის კანცელარია, რომლის უფროსსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი.“

2. საქართველოს პრეზიდენტის კანცელარიის სტრუქტურა და საქმიანობის წესი კანონით განისაზღვრება.
3. საქართველოს პრეზიდენტისა და მისი კანცელარიისათვის განკუთვნილი ხარჯი სახელმწიფო ბიუჯეტით განისაზღვრება“.

## თავი მეოთხე<sup>1</sup>

### საქართველოს მთავრობა

## **50. მუხლი 78**

### **50.1. ვახტანგ ხმაღამე:**

- „1. საქართველოს მთავრობა არის სახელმწიფოს აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანო, რომელიც კონსტიტუციითა და კანონით დადგენილ ფარგლებში წარმართავს და ახორციელებს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, ხელმძღვანელობს სამოქალაქო და სამხედრო უწყებებს. მთავრობა ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე.
2. მთავრობა შედგება პრემიერ-მინისტრისა და მინისტრებისაგან.
3. პრემიერ-მინისტრი უფლებამოსილია განსაკუთრებული მნიშვნელობის სახელმწიფოებრივი ამოცანების შესასრულებლად პარლამენტის თანხმობით დაინიშნოს ერთი ან რამდენიმე სახელმწიფო მინისტრი. სახელმწიფო მინისტრი შედის მთავრობის შემადგენლობაში.
4. პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობს მთავრობას და პასუხისმგებელია მისი საქმიანობისათვის პარლამენტის წინაშე. მინისტრი კოლექტიურად პასუხისმგებელია მთავრობის საქმიანობაზე, ხოლო პიროვნულად – თავისი უწყების საქმიანობაზე პრემიერ-მინისტრისა და პარლამენტის წინაშე.
5. პრემიერ-მინისტრი წარმოადგენს საქართველოს საგარეო ურთიერთობებში. მთავრობის სხვა წევრები საგარეო ურთიერთობებში წარმოადგენენ საქართველოს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში.
6. პრემიერ-მინისტრი ერთ-ერთ მინისტრს აკისრებს ვიცე-პრემიერის აგრძელებლობის შესრულებას. პრემიერ-მინისტრის არყოფნის ან თავისი მოვალეობის შესრულების დროებითი შეუძლებლობის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს ვიცე-პრემიერი.
7. პრემიერ-მინისტრად შეიძლება მხოლოდ საქართველოს პარლამენტის წევრის არჩევა. მთავრობის წევრად შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ საქართველოს პარლამენტის წევრად არჩევის უფლების მქონე სამოქალაქო პირი. ყოფილი სამხედრო მოსამსახურე ან მასთან გათანაბრებული პირი ამ თანამდებობებზე შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ასეთი სამსახურიდან გადამდგარია სულ ცოტა 2 წლით ადრე.
8. მთავრობის წევრს უფლება არა აქვს ეკავოს სხვა თანამდებობა, გარდა პარტიულისა, ეწეოდეს კომერციულ ან პროფესიულ საქმიანობას, შედიოდეს მოგების მიღების მიზნით შექმნილი საწარმოს ხელმძღვანელობაში, დააფუძნოს საწარმო ან ჰქონდეს შრომის ანაზღაურების სხვა წყარო. ეს შეზღუდვა არ ვრცელდება პარტიულ, სამეცნიერო, პედაგოგიურ და შემოქმედებით საქმიანობაზე“

## **51. მუხლი 79**

### **51.1. ვახტანგ ხმაღამე:**

- „1. ახალარჩეული პარლამენტის უფლებამოსილების ცნობისთანავე ან მთავრობის გადადგომისთანავე მთავრობის უფლებამოსილება მოხსნილად ითვლება და საქართველოს პრეზიდენტი მასვე აკისრებს მოვალეობის შესრულებას მთავრობის ახალი შემადგენლობის შექმნამდე.
2. საქართველოს პრეზიდენტი, საპარლამენტო ფრაქციებთან კონსულტაციის შემდეგ, პარლამენტს წარუდგენს პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას მთავრობის უფლებამოსილების მოხსნიდან 10 დღის ვადაში.
3. პრემიერმინისტრობის კანდიდატი, მისი წარდგენიდან არაუგვიანეს მე-5 დღისა, პარლამენტს წარუდგენს მთავრობის პოლიტიკურ პროგრამას და მთავრობის შემადგენლობას ნდობის მისაღებად.
4. მთავრობის შემადგენლობისთვის ნდობის გამოცხადებას პარლამენტი კენჭს უყრის პოლიტიკური პროგრამისა და მთავრობის შემადგენლობის წარდგენის შემდეგ პირველივე სხდომაზე. პარლამენტის ნდობის მისაღებად საჭიროა პარლამენტის სიითი შემადგენლობის უმრავლესობის მხარდაჭერა.
5. თუ მთავრობის შემადგენლობამ ნდობა ვერ მიიღო ან საქართველოს პრეზიდენტმა ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში არ წარადგინა პრემიერ-მინისტრის კანდიდატურა, პარლამენტი უფლებამოსილია მომდევნო 10 დღის განმავლობაში თავის წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობით თავად აირჩიოს პრემიერმინისტრობის კანდიდატი და დაავალოს მას მთავრობის შედგენა.
6. პრემიერ-მინისტრის კანდიდატურის წარდგენის უფლება აქვს პარლამენტის სიითი შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს, ამასთანავე, პარლამენტის წევრს უფლება აქვს ხელი მოაწეროს მხოლოდ ერთი კანდიდატის წარდგენას.
7. თუ პარლამენტმა ზემოაღნიშნულ ვადაში პრემიერმინისტრობის კანდიდატი ვერ აირჩია, დაუყოვნებლივ იმართება არჩევნების მომდევნო ტური, რომელში მონაწილეობის უფლებაც აქვს წინა ორ ტურში წარდგენილ ყველა კანდიდატს. არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელიც პარლამენტის სიითი შემადგენლობის უმრავლესობის ხმებს მიიღებს. პრემიერმინისტრობის კანდიდატის არჩევის შემდეგ სრულდება ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით განსაზღვრული პროცედურა.
8. საქართველოს პრეზიდენტი ვალდებულია, მთავრობის შემადგენლობისთვის ნდობის გამოცხადებიდან 48 საათის განმავლობაში შესაბამის თანამდებობებზე დანიშნოს პრემიერ-მინისტრი და მინისტრები.
9. თუ არჩევნების ბოლო ტურში ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო ასარჩევად საკმარისი ხმები, საქართველოს პრეზიდენტი ვალდებულია, მომდევნო 1 კვირის განმავლობაში, საპარლამენტო ფრაქციებთან კონსულტაციის შემდეგ, პრემიერ-მინისტრად დანიშნოს ბოლო ტურში უკეთესი შედეგის მქონე კანდიდატი და მისი წარდგინებით \_ მინისტრები ან დაითხოვოს პარლამენტი“.

## 52. მუხლი 80

### 52.1. ვახტანგ ხმაღამე:

- „1. ახალშექმნილი მთავრობის უფლებამოსილება იწყება კონსტიტუციით დადგენილი წესით პრემიერ-მინისტრისა და ყველა მინისტრის დანიშვნისთანავე და გრძელდება მთავრობის უფლებამოსილების მოხსნამდე.
2. პრემიერ-მინისტრის გადადგომა ან მისი უფლებამოსილების სხვაგვარად შეწყვეტა იწვევს მთავრობის გადადგომას.
3. მთავრობა გადამდგარად ითვლება, თუ პარლამენტმა კონსტიტუციის 81<sup>4</sup> მუხლით დადგენილი წესით უნდობლობა გამოუცხადა პრემიერ-მინისტრს და აირჩია ახალი პრემიერ-მინისტრი.
4. პრემიერ-მინისტრი საქართველოს პრეზიდენტის თხოვნით, ხოლო მთავრობის სხვა წევრები პრემიერ-მინისტრის ან საქართველოს პრეზიდენტის თხოვნით, ვალდებულნი არიან გააგრძელონ თავიანთი მოვალეობის შესრულება მათ უფლებამონაცვლეთა დანიშვნამდე.
5. პრემიერ-მინისტრის მიერ თავისი მოვალეობის განხორციელების შეუძლებლობა ორ თვეზე მეტი დროის განმავლობაში იწვევს თანამდებობიდან მის განთავისუფლებას. ასეთ შემთხვევაში პრემიერ-მინისტრის მოვალეობას, პრემიერ-მინისტრის დანიშვნამდე, ასრულებს ვიცე-პრემიერი.
6. პრემიერ-მინისტრის მიერ თავისი მოვალეობის განხორციელების შეუძლებლობას სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ადგენს პარლამენტი საქართველოს პრეზიდენტის დასაბუთებული წინადადების საფუძველზე“.

### 53. 80<sup>1</sup> მუხლი

#### 53.1. ვახტანგ ხმაღამე:

80<sup>1</sup> მუხლი ამოღებულ იქნეს.

### 54. მუხლი 81-ე

#### 54.1. ვახტანგ ხმაღამე:

- „1. მინისტრის/სახელმწიფო მინისტრის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს მისი მოადგილე.
2. მინისტრის/სახელმწიფო მინისტრის მიერ თავისი მოვალეობის შესრულების დროებითი შეუძლებლობის შემთხვევაში მის მოვალეობას ამ მდგომარეობის აღმოფხვრამდე, აგრეთვე ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში \_ მთავრობის ახალი წევრის დანიშვნამდე, ასრულებს ერთ-ერთი მინისტრი, რომელსაც ამ მოვალეობას პრემიერ-მინისტრის წარდგენით აკისრებს საქართველოს პრეზიდენტი.
3. მინისტრის/სახელმწიფო მინისტრის მიერ თავისი მოვალეობის განხორციელების შეუძლებლობა ორ თვეზე მეტი დროის განმავლობაში იწვევს თანამდებობიდან მის განთავისუფლებას.
4. მინისტრის/სახელმწიფო მინისტრის მიერ თავისი მოვალეობის განხორციელების შეუძლებლობას ადგენს საქართველოს პრეზიდენტი მთავრობის დასაბუთებული წინადადების საფუძველზე“.



## 55. მუხლი 81<sup>1</sup>

### 55.1. ვახტანგ ხმაღამე

- „1. პრემიერ-მინისტრი, პარლამენტის მიერ მოწონებული მთავრობის პოლიტიკური პროგრამის საფუძველზე, განსაზღვრავს მთავრობის პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს და ასრულებს ორგანული კანონით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს.
2. პრემიერ-მინისტრი ორგანიზებას უწევს მთავრობის საქმიანობას, ხელმძღვანელობს მის სხდომებს, ახორციელებს მთავრობის წევრთა საქმიანობის კოორდინაციასა და კონტროლს, წარმოადგენს მთავრობას და ახორციელებს კონსტიტუციითა და კანონით დაკისრებულ სხვა მოვალეობებს.
3. პრემიერ-მინისტრი ახორციელებს სრულ ადმინისტრაციულ ფუნქციებს მთავრობის შენობაში.
4. პრემიერ-მინისტრი პარლამენტის მოთხოვნით წარუდგენს მას მთავრობის პოლიტიკური პროგრამის შესრულების მიმდინარეობის ანგარიშს.
5. საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია მოითხოვოს მთავრობის სხდომაზე ქვეყნის თავდაცვის საკითხთა, აგრეთვე საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს – განსაკუთრებული მნიშვნელობის საკითხთა, განხილვა და მონაწილეობა მიიღოს ამ განხილვაში.
6. მთავრობა კონსტიტუციისა და სხვა საკანონმდებლო აქტების საფუძველზე და მათ შესასრულებლად იღებს ნორმატიულ აქტს – დადგენილებასა და ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს – განკარგულებას, რომლებსაც ხელს აწერს პრემიერ-მინისტრი. მთავრობა გადაწყვეტილებას იღებს კოლეგიურად, მთავრობის წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობით.
7. პრემიერ-მინისტრი და სახელმწიფო მინისტრი თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცემენ ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებს – განკარგულებებს. მინისტრი თავისი უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცემს ნორმატიულ აქტს – ბრძანებას და ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს – განკარგულებას“.

## 56. მუხლი 81<sup>2</sup>

### 56.1. ვახტანგ ხმაღამე:

- „1. მთავრობის სტრუქტურა, უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება კონსტიტუციითა და ორგანული კანონით.
2. სამინისტროები იქმნება სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების განსაზღვრულ სფეროში სახელმწიფო მმართველობის და სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების უზრუნველსაყოფად.
3. სამინისტროს ხელმძღვანელობს მინისტრი, რომელიც დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით წყვეტს სამინისტროს კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებს. მინისტრი კონსტიტუციის, კანონის, პრეზიდენტის ნორმატიული აქტის ან მთავრობის დადგენილების საფუძველზე და მათ შესასრულებლად გამოსცემს სამართლებრივ აქტს.

4. სამინისტროები და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა დაწესებულებები იქმნება და მათი უფლებამოსილება განისაზღვრება მხოლოდ კანონით.
5. აკრძალულია იმ უწყებათა შერწყმა ან სხვაგვარი გაერთიანება, რომლებიც პასუხს აგებენ სამხედრო ძალებზე, სახელმწიფო უსაფრთხოებასა და პოლიციაზე“.

## 57. მუხლი 81<sup>3</sup>

### **57.1. ვახტანგ ხმალაძე:**

- „1. საქართველოს პროკურატურა არის იუსტიციის სამინისტროს სტრუქტურული ერთეული, რომლის საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს იუსტიციის მინისტრი, ხოლო უშუალო ხელმძღვანელობას – მთავარი პროკურორი.
2. პროკურატურა ახორციელებს სისხლისსამართლებრივ წარმოებასთან დაკავშირებულ სახელმწიფო ბრალდებას, კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში – დანაშაულის გამოძიებას, ზედამხედველობს გამოძიებისას, პოლიციასა და სასჯელაღსრულების დაწესებულებებში კანონმდებლობის დაცვას.
3. მთავარ პროკურორს პარლამენტის თანხმობით, რომელიც მიიღება მისი სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, თანამდებობაზე ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი. საქართველოს პრეზიდენტი მთავარი პროკურორის კანდიდატურას შეარჩევს და პარლამენტს წარუდგენს ორგანული კანონით დადგენილი წესით.
4. მთავარი პროკურორი თანამდებობაზე ინიშნება 5 წლის ვადით. პრემიერ-მინისტრის ან იუსტიციის მინისტრის უფლებამოსილების შეწყვეტა არ იწვევს მთავარი პროკურორის უფლებამოსილების შეწყვეტას.
5. მთავარი პროკურორი თანამდებობიდან შეიძლება განთავისუფლდეს მხოლოდ ორგანული კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში საქართველოს პრეზიდენტის მიერ პარლამენტის თანხმობით, რომელიც მიიღება მისი სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ან კონსტიტუციის 64-ე მუხლით განსაზღვრული საფუძვლით და წესით.
6. პროკურატურის უფლებამოსილება, მოწყობა და საქმიანობის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით“.

## 58. მუხლი 81<sup>4</sup>

### **58.1. ვახტანგ ხმალაძე:**

- „1. პარლამენტი უფლებამოსილია უნდობლობა გამოუცხადოს პრემიერ-მინისტრს და თანამდებობიდან მისი გადაყენების მოთხოვნით მიმართოს საქართველოს პრეზიდენტს მხოლოდ იმ პირობით, თუ სიითი შემადგენლობის უმრავლესობით აირჩევს მის უფლებამონაცვლეს. პრეზიდენტი ვალდებულია მომდევნო 48 საათის განმავლობაში დააკმაყოფილოს ეს მოთხოვნა და პრემიერ-მინისტრად დანიშნოს არჩეული პირი და მინისტრებად \_ მის მიერ წარდგენილი პირები.
2. უნდობლობის გამოცხადების მოტივირებული მოთხოვნის უფლება აქვს პარლამენტის სიითი შემადგენლობის სულ ცოტა ერთ მეხუთედს კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-4 პუნქტში

აღნიშნული პასუხის განხილვის შემდეგ, მხოლოდ იმ პირობით, თუ მოთხოვნაში მითითებულია პრემიერ-მინისტრის უფლებამონაცვლის კანდიდატურა.

3. უნდობლობის გამოცხადების მოთხოვნასა და არჩევნებს შორის უნდა გავიდეს არანაკლებ 48 საათისა და არაუმეტეს 5 დღისა.

4. პარლამენტის ერთი და იმავე წევრს ერთი სესიის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ აქვს უნდობლობის გამოცხადების მოთხოვნაზე ხელმოწერის უფლება, გარდა კონსტიტუციის 92-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა“.

## 59. მუხლი 81<sup>5</sup>

### **59.1. ვახტანგ ხმაღამე:**

1. პრემიერ-მინისტრი უფლებამოსილია პარლამენტის წინაშე დასვას მისთვის ნდობის გამოცხადების საკითხი. ნდობის გამოცხადებას კენჭი უნდა ეყაროს საკითხის დასმიდან არაუადრეს 48 საათისა და არა უგვიანეს მე-5 დღისა.

2. თუ პარლამენტმა სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ნდობა არ გამოუცხადა პრემიერ-მინისტრს, იგი უფლებამოსილია მომდევნო 48 საათის განმავლობაში საქართველოს პრეზიდენტს მიმართოს პარლამენტის დათხოვნის წინადადებით. თუ პარლამენტი მომდევნო 2 კვირის განმავლობაში სიითი შემადგენლობის უმრავლესობით არ აირჩევს ახალ პრემიერ-მინისტრს, პრეზიდენტი უფლებამოსილია მომდევნო 1 კვირის განმავლობაში დაითხოვოს პარლამენტი.

3. თუ პარლამენტმა აირჩია ახალი პრემიერ-მინისტრი, პრეზიდენტი ვალდებულია მომდევნო 48 საათის განმავლობაში პრემიერ-მინისტრად დანიშნოს არჩეული პირი და მინისტრებად \_ მის მიერ წარდგენილი პირები.

## 60. მუხლი 81<sup>6</sup>

### **60.1. ვახტანგ ხმაღამე:**

„1. პრემიერ-მინისტრი უფლებამოსილია თანამდებობიდან გაათავისუფლოს მთავრობის წევრი.

2. პარლამენტი უფლებამოსილია პარლამენტის წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობით უნდობლობა გამოუცხადოს მთავრობის წევრს, გარდა პრემიერ-მინისტრისა. უნდობლობის გამოცხადების მოთხოვნის უფლება აქვს საპარლამენტო ფრაქციას, აგრეთვე პარლამენტის წევრთა სულ ცოტა ათკაციან ჯგუფს, კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-4 პუნქტში აღნიშნული პასუხის განხილვის შემდეგ. შესაბამის გადაწყვეტილებას კენჭი უნდა ეყაროს მოთხოვნიდან არაუადრეს 48 საათისა და არაუგვიანეს მე-5 დღისა.

3. თუ პარლამენტმა უნდობლობა გამოუცხადა მთავრობის წევრს, საქართველოს პრეზიდენტი ვალდებულია მომდევნო 48 საათის განმავლობაში თანამდებობიდან გაათავისუფლოს იგი.

4. მთავრობის წევრის გადადგომის ან თანამდებობიდან გაათავისუფლების შემთხვევაში პრემიერ-მინისტრი ორი კვირის ვადაში პარლამენტს წარუდგენს მთავრობის ახალი წევრის კანდიდატურას თანხმობის მისაღებად. პარლამენტი წარდგენილ კანდიდატურას განიხილავს და თანხმობის მიცემას კენჭს უყრის კანდიდატურის წარდგენიდან ერთი კვირის ვადაში. თანხმობის მიცემის შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტი ვალდებულია მომდევნო 48 საათის განმავლობაში თანამდებობაზე დანიშნოს მთავრობის წევრი.

5. თუ პარლამენტმა თანხმობა არ განაცხადა მთავრობის წევრის დანიშვნაზე, პრემიერ-მინისტრი ერთი კვირის ვადაში პარლამენტს წარუდგენს ახალ კანდიდატურას და გამეორდება ამ მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილი პროცედურა.
6. ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში მთავრობის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტისას მის მოვალეობას ასრულებს მთავრობის წევრის მოადგილე.“

## 61. მუხლი 81<sup>4</sup>

### მოქმედი რედაქცია:

პროკურატურის ორგანოები შედის იუსტიციის სამინისტროს სისტემაში და მათ საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს იუსტიციის მინისტრი. პროკურატურის უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება კანონით.

### 61.1. ავტორთა ჯგუფი - ვახტანგ ნაცვლიშვილი, გიორგი ბურჯანაძე, დავით ზედელაშვილი, ვახუშტი მენაბდე, გიორგი დავითური.

- „1. სისხლისსამართლებრივ დევნას ახორციელებს საქართველოს პროკურატურა, რომელსაც ხელმძღვანელობს მთავარი პროკურორი.
2. საქართველოს მთავარი პროკურორი აირჩევა 6 წლის ვადით საქართველოს პარლამენტის მიერ, სრული შემადგენლობის უმრავლესობით, საქართველოს პრეზიდენტის მიერ წარდგენილ მინიმუმ 3 კანდიდატაგან. ერთი და იგივე პირის ზედიზედ ორი ვადით მთავარ პროკურორად დანიშვნა დაუშვებელია.
3. საქართველოს პრეზიდენტის მიერ საქართველოს მთავარ პროკურორად შეიძლება იქნას წარდგენილი 30 წელს მიღწეული უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე პირი, რომელსაც აქვს 10 წლიანი პროფესიული საქმიანობის გამოცდილება და არ არის პოლიტიკური პარტიის წევრი.
4. სისხლის სამართლის პოლიტიკას განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა.
5. დაუშვებელია პროკურატურის დავალდებულება დაიწყოს ან შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე.
6. საქართველოს მთავარი პროკურორის თანამდებობიდან გათავისუფლება დაუშვებელია. იმპიჩმენტის საფუძვლები და პროცედურა განისაზღვრება კონსტიტუციითა და ორგანული კანონით“.

### 61.2. მანანა კობახიძე:

„პროკურატურის ორგანოები შედის იუსტიციის სამინისტროს სისტემაში და მათ საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს იუსტიციის მინისტრი. მთავარ პროკურორს 6 წლის ვადით, სრული შემადგენლობის უმრავლესობით, საქართველოს მთავრობის წარდგინებით ირჩევს საქართველოს პარლამენტი. პროკურატურის უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება კანონით.“

**62. საქართველოს კონსტიტუციას დაემატოს მეოთხე<sup>2</sup> თავი და 81<sup>5</sup>- 81<sup>7</sup> მუხლები:**

**62.1. „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია“:**

**62.1.1. „მუხლი 81<sup>5</sup>“**

1. ეკონომიკის ცალკეული დარგების რეგულირების მიზნით იქმნება ეროვნული მარეგულირებელი ორგანოები.
2. ეროვნული მარეგულირებელი ორგანოები წარმოადგენენ სპეციალური უფლებამოსილებით აღჭურვილ ადმინისტრაციულ ორგანოს, რომლებიც არ ექვემდებარებიან არც ერთ სახელმწიფო ორგანოსა თუ თანამდებობის პირს, დამოუკიდებელი არიან და მოქმედებენ კანონით დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში.
3. ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების სტატუსი, სპეციალური უფლებამოსილების სფერო და დამოუკიდებლობის გარანტია განისაზღვრება კონსტიტუციითა და ორგანული კანონით.
4. ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს სპეციალურ უფლებამოსილებას მიკუთვნებული სფეროს ორმაგი, თანხედენილი მარეგულირებელი უფლებამოსილება დაუშვებელია.
5. ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს მიერ მიღებული სამართლებრივი აქტები საჩივრდება მხოლოდ სასამართლო წესით.

**62.1.2. მუხლი 81<sup>6</sup>**

1. საქართველოს ეროვნული მარეგულირებელი ორგანოები შეიძლება არსებობდნენ მხოლოდ კოლექტიური მართვის ადმინისტრაციული ორგანოს სახით.
2. საქართველოს პარლამენტი ირჩევს ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს წევრებს, რომლებსაც საქართველოს პრეზიდენტი წარუდგენს საქართველოს პარლამენტს. საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილი კანდიდატურა შერჩეული უნდა იქნას ღია კონკურსით.
3. ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს თავმჯდომარეს ფარული კენჭისყრით ირჩევენ წევრები თავისი შემადგენლობიდან.
4. ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს წევრის თანამდებობა შეუთავსებელია ნებისმიერ სხვა თანამდებობასთან და ანაზღაურებად საქმიანობასთან, გარდა პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობისა. ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს წევრი არ შეიძლება იყოს პოლიტიკური პარტიის წევრი ან მონაწილეობდეს პოლიტიკურ საქმიანობაში. შეუთავსებლობის სხვა შემთხვევებს განსაზღვრავს კანონი.

**62.1.3. მუხლი 81<sup>7</sup>**

1. ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების დამოუკიდებლობა გარანტირებულია ორგანული კანონით. დაუშვებელია ყოველგვარი პოლიტიკური ზეწოლა, სახელმწიფო ორგანოთა, თანამდებობის პირთა თუ სხვა პირთა არასათანადო ზემოქმედება და არასამართლებრივი ჩარევა, ან სხვა ნებისმიერი ქმედება, რომელმაც შეიძლება ხელყოს ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს დამოუკიდებლობა.

2. დაუშვებელია ნებისმიერი სახელმწიფო ორგანოსა თუ თანამდებობის პირის ჩარევა დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს საქმიანობაში, ამ საქმიანობის კონტროლი ან/და აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით ანგარიშის მოთხოვნა, თუ ეს პირდაპირ არ არის გათვალისწინებული ორგანული კანონით.
3. დაუშვებელია ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს წევრისათვის იმპიჩმენტის გამოცხადება. ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს წევრის გათავისუფლება დასაშვებია მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილებით.
4. ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების ფინანსურ დამოუკიდებლობას უზრუნველყოფს რეგულირების საფასური, რაც მათი ბიუჯეტის ფორმირების წყაროა. ეროვნული მარეგულირებელი ორგანო კანონით დადგენილ ფარგლებში უფლებამოსილია თვითონ განსაზღვროს რეგულირების საფასურის ოდენობა.
5. ეროვნული მარეგულირებელი ორგანოები ანგარიშვალდებული არიან მხოლოდ პარლამენტის წინაშე. ანგარიშგების წესი განისაზღვრება ორგანული კანონით.“

### თავი მეხუთე

#### სასამართლო ხელისუფლება

### 63. მუხლი 82

#### მოქმედი რედაქცია:

1. სასამართლო ხელისუფლება ხორციელდება საკონსტიტუციო კონტროლის, მართლმსაჯულების და კანონით დადგენილი სხვა ფორმების მეშვეობით.
2. სასამართლოს აქტები სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და პირისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.
3. სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია და მას ახორციელებენ მხოლოდ სასამართლოები.
4. სასამართლოს გადაწყვეტილება გამოაქვს საქართველოს სახელით.
5. საერთო სასამართლოებში საქმეები ნაფიცი მსაჯულების მიერ განიხილება კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით.

#### 63.1. ავტორთა ჯგუფი: ვახტანგ ნაცვლიშვილი, გიორგი ბურჯანაძე, გიორგი დავითური, ვახუშტი მენაბდე, დავით ზედელაშვილი:

#### 82-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის პუნქტი:

„სასამართლო ხელისუფლების კონსტიტუციური გარანტიები ვრცელდება საკონსტიტუციო სასამართლოზე მისი უფლებამოსილებისა და თავისებურების გათვალისწინებით“.

### **63.2. კონსტანტინე კუბლაშვილი:**

- „1. სასამართლო ხელისუფლება ხორციელდება საკონსტიტუციო კონტროლის, მართლმსაჯულებისა და კანონით დადგენილი სხვა ფორმების მეშვეობით.
2. საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანოა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. მისი უფლებამოსილება, შექმნისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება კონსტიტუციითა და ორგანული კანონით.
3. მართლმსაჯულებას სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართალწარმოებათა მეშვეობით ახორციელებენ საერთო სასამართლოები. მათი უფლებამოსილება, შექმნისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება კონსტიტუციითა და ორგანული კანონით.
4. საქართველოს საერთო სასამართლოებია: რაიონული (საქალაქო) სასამართლო, სააპელაციო სასამართლო, საქართველოს უზენაესი სასამართლო.
5. რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოები იქმნება და მათი სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით. მაგისტრატი მოსამართლის სამოქმედო ტერიტორია და რაოდენობა განისაზღვრება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით.
6. რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეთა რაოდენობას განსაზღვრავს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.
7. საქართველოს მოქალაქეები პირდაპირი წესით მონაწილეობენ მართლმსაჯულების განხორციელებაში. საერთო სასამართლოებში საქმეებს ნაფიცი მსაჯულები განიხილავენ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით.
8. სამხედრო სასამართლოს შემოღება შეიძლება საომარ პირობებში და მხოლოდ საერთო სასამართლოების სისტემაში.
9. საგანგებო ან სპეციალური სასამართლოების შექმნა დაუშვებელია“.

### **64. მუხლი 83**

#### **მოქმედი რედაქცია:**

1. საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანოა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. მისი უფლებამოსილება, შექმნისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება კონსტიტუციით და ორგანული კანონით.
2. მართლმსაჯულებას ახორციელებენ საერთო სასამართლოები. მათი სისტემა დადგენილია ორგანული კანონით.
3. სამხედრო სასამართლოს შემოღება შეიძლება საომარ პირობებში და მხოლოდ საერთო სასამართლოს სისტემაში.
4. საგანგებო ან სპეციალური სასამართლოების შექმნა დაუშვებელია.

#### **64.1. საქართველოს ახალგაზრდა კონსტიტუციონალისტთა ასოციაცია:**

83-ე მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„საგანგებო სასამართლოების შექმნა დაუშვებელია.“

#### **64.2. არასამთავრობო ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“:**

„1. საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანოა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. მისი უფლებამოსილება, შექმნისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება კონსტიტუციით და ორგანული კანონით.

2. მართლმსაჯულებას ახორციელებენ საერთო სასამართლოები, რომლებიც შედგება სამი ინსტანციისაგან. საერთო სასამართლოების სისტემა ერთიანია და დადგენილია ორგანული კანონით.

3. საერთო სასამართლოების სისტემაში შეიძლება შეიქმნას სპეციალიზებული სასამართლოები.

4. სამხედრო სასამართლოს შემოღება შეიძლება მხოლოდ საომარი მდგომარეობის დროს, საერთო სასამართლოების სისტემაში. სამხედრო სასამართლოების კომპეტენცია, მათი შექმნისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით.

5. საგანგებო ან სპეციალური სასამართლოების შექმნა დაუშვებელია“.

#### **64.3. კონსტანტინე კუბლაშვილი:**

„1. სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია და მას ახორციელებენ მხოლოდ სასამართლოები. სასამართლოს დამოუკიდებლობის შელახვა დაუშვებელია.

2. სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის პრინციპები და გარანტიები, ასევე სასამართლო სისტემის ინსტიტუციონალური სტაბილურობა ხელშეუვალია.

3. სასამართლოს გადაწყვეტილება გამოაქვს საქართველოს სახელით.

4. სასამართლოს აქტი სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ყველა ფიზიკური და იურიდიული პირისათვის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსათვის და მათი შეუსრულებლობა ან შესრულებისათვის ხელის შეშლა ისჯება კანონით.

5. სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმება, შეცვლა ან შეჩერება შეუძლია მხოლოდ სასამართლოს კანონით განსაზღვრული წესით.

6. სასამართლოს უპატივცემულობა იწვევს კანონით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

7. მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში სასამართლოებში და მის ტერიტორიაზე აკრძალულია პოლიტიკური აქტიურობა.

8. საერთო სასამართლოების დაფინანსება ხორციელდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით. უზენაესი სასამართლოს ორგანიზებასა და საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები განისაზღვრება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ცალკე კოდით, დაფინანსება უნდა უზრუნველყოფდეს მართლმსაჯულების სრულყოფილად და დამოუკიდებლად განხორციელების შესაძლებლობას.

9. საერთო სასამართლოებისათვის განკუთვნილი ბიუჯეტის საერთო მოცულობის შემცირება წინა წლის შესაბამის მოცულობასთან შედარებით შეიძლება მხოლოდ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, ხოლო უზენაესი სასამართლოს შემთხვევაში - უზენაესი სასამართლოს პლენუმის წინასწარი თანხმობით.

10. თუ პირი, რომელიც პოლიტიკური პარტიის წევრია, დაინიშნა სასამართლოში ან იუსტიციის უმაღლესი საბჭოში რაიმე თანამდებობაზე, იგი ვალდებულია დატოვოს პოლიტიკური პარტია და არ განახორციელოს პოლიტიკური საქმიანობა“.



## 65. მუხლი 84

### მოქმედი რედაქცია:

1. მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს. რაიმე ზემოქმედება მოსამართლეზე, ან ჩარევა მის საქმიანობაში გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით აკრძალულია და ისჯება კანონით.
2. მოსამართლის ჩამოცილება საქმის განხილვისაგან, თანამდებობიდან მისი ვადამდე გათავისუფლება ან სხვა თანამდებობაზე გადაყვანა დაიშვება მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში.
3. არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე.
4. ბათილია ყველა აქტი, რომელიც ზღუდავს მოსამართლის დამოუკიდებლობას.
5. სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება, შეცვლა ან შეჩერება შეუძლია მხოლოდ სასამართლოს კანონით განსაზღვრული წესით.

### 65.1. ავტორთა ჯგუფი - ვახტანგ ნაცვლიშვილი, გიორგი ბურჯანაძე, გიორგი დავითური, ვახუშტი მენაბდე, დავით ზედელაშვილი:

1. მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს. რაიმე ზემოქმედება მოსამართლეზე, ან ჩარევა მის საქმიანობაში გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით აკრძალულია და ისჯება კანონით.
2. მოსამართლის ჩამოცილება საქმის განხილვისაგან დაუშვებელია, გარდა ორგანული კანონით განსაზღვრული შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია სასამართლო ხელისუფლების ჯეროვანი განხორციელების უზრუნველსაყოფად.
3. მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლება დაუშვებელია, გარდა ორგანული კანონით განსაზღვრული შემთხვევებისა, როდესაც ეს წარმოადგენს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომას.
4. მოსამართლის სხვა სამოსამართლო თანამდებობაზე გადაყვანა დასაშვებია მისი თანხმობის ან შესაბამისი სასამართლოს ლიკვიდაციის შემთხვევაში. ასეთ დროს მოსამართლის სოციალური მდგომარეობა არ უნდა გაუარესდეს.
5. მოსამართლეთა შერჩევის, დანიშვნის, სხვა სამოსამართლო თანამდებობაზე გადაყვანისა და გათავისუფლების წესი განისაზღვრება კონსტიტუციითა და ორგანული კანონით.
6. არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. მოსამართლის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება არ შეიძლება, გახდეს მისი სამართლებრივი ან დისციპლინური პასუხისმგებლობის ერთადერთი საფუძველი.
7. ბათილია ყველა აქტი, რომელიც ზღუდავს მოსამართლის დამოუკიდებლობას ან ექვემდებარება აყენებს სასამართლოს გადაწყვეტილების სავალდებულობას.
8. სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება, შეცვლა ან შეჩერება შეუძლია მხოლოდ სასამართლოს კანონით განსაზღვრული წესით.
9. სასამართლო ხელისუფლების დაფინანსება უნდა უზრუნველყოფდეს მისი კონსტიტუციური უფლებამოსილებების დამოუკიდებლად და ჯეროვნად განხორციელებას. სასამართლო ხელისუფლებისთვის განკუთვნილი ბიუჯეტის საერთო ოდენობის შემცირება წინა წლის

შესაბამის ოდენობასთან შედარებით შეიძლება მხოლოდ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, ხოლო საკონსტიტუციო სასამართლოს შემთხვევაში - საკონსტიტუციო სასამართლოს, წინასწარი თანხმობით“.

### **65.2. საქართველოს ახალგაზრდა კონსტიტუციონალისტთა ასოციაცია:**

„1. მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონს. რაიმე ზემოქმედება მოსამართლეზე, ან ჩარევა მის საქმიანობაში გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით, აკრძალულია და ისჯება კანონით.

2. მოსამართლის ჩამოცილება საქმის განხილვისაგან დაიშვება კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში.

3. მოსამართლის სხვა სამოსამართლო თანამდებობაზე გადაყვანა, მისი თანხმობის გარეშე, დაუშვებელია, გარდა ორგანული კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, რომელთა შედეგადაც, მოსამართლის მატერიალური და სოციალური მდგომარეობა არ უნდა გაუარესდეს.

4.საერთო სასამართლოების მოსამართლის თანამდებობიდან ვადამდე გათავისუფლების საფუძვლებია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) დისციპლინური გადაცდომის ჩადენა;

გ) მოსამართლის სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობის დაკავება ან შეუთავსებელი საქმიანობა;

დ) სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონედ აღიარება;

ე) საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტა;

ვ) მის მიმართ საბოლოოდ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;

ზ) კანონით დადგენილი ასაკის მიღწევა;

თ) გარდაცვალება;

ი) სასამართლოს ლიკვიდაცია, მოსამართლის თანამდებობის შემცირება;

კ) სხვა სასამართლოში დანიშვნა (არჩევა);

ლ) უფლებამოსილების ვადის გასვლა.

5. არავის არ აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე.

6. ბათილია ყველა აქტი, რომელიც ზღუდავს მოსამართლის დამოუკიდებლობას.

7. სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება, შეცვლა ან შეჩერება შეუძლია მხოლოდ სასამართლოს კანონით განსაზღვრული წესით.

8. სასამართლო ხელისუფლების დაფინანსება მისი უფლებამოსილებების ჯეროვნად განხორციელებას უნდა უზრუნველყოფდეს. საერთო სასამართლოების დაფინანსება ხორციელდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით. წინა წლის შესაბამის მოცულობასთან შედარებით საერთო სასამართლოებისათვის განკუთვნილი ხარჯების შემცირება უნდა ხდებოდეს მხოლოდ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წინასწარი თანხმობით“.

### **65.3. კონსტანტინე კუბლაშვილი:**

- „1. მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კანონს. პირდაპირი ან არაპირდაპირი ზემოქმედება მოსამართლეზე, ან ჩარევა მის საქმიანობაში, გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით, აგრეთვე მასთან ნებისმიერი ფორმით კომუნიკაცია, რომელიც დაკავშირებულია კონკრეტული საქმის ან საკითხის განხილვასთან ან/და საქმის სავარაუდო შედეგთან აკრძალულია და ისჯება კანონით.
2. არავის აქვს უფლება, მოსახოვოს მოსამართლეს ან ნაფიც მსაჯულს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე, ანდა მითითებები მისცეს მართლმსაჯულების განხორციელებასთან დაკავშირებით.
3. მოსამართლის ჩამოცილება საქმის განხილვისაგან დაიშვება მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში.
4. დაუშვებელია მოსამართლის გადაყვანა სხვა სასამართლოში, მისი თანხმობის გარეშე, გარდა სასამართლოს ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციისა. ამ შემთხვევაში მოსამართლის მატერიალური და სოციალური მდგომარეობა არ უნდა გაუარესდეს.
5. მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების (უფლებამოსილების შეწყვეტის) საფუძვლებია:
- ა) პირადი განცხადება;
  - ბ) სამოსამართლო ეთიკის ნორმათა დარღვევა;
  - გ) მოსამართლის სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობის დაკავება ან შეუთავსებელი საქმიანობა;
  - დ) სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონედ აღიარება;
  - ე) საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტა;
  - ვ) მის მიმართ საბოლოოდ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;
  - ზ) გარდაცვალება;
  - თ) სხვა დაწესებულებაში თანამდებობაზე არჩევა ან დანიშვნა;
  - ი) უფლებამოსილების ვადის გასვლა.
6. დაუშვებელია მოსამართლის, სასამართლოს თავმჯდომარის, კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარის ან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის (მდივნის) უფლებამოსილების იმ ვადის შემცირება ან შეწყვეტა, რომელიც მოქმედებდა იმ დროისათვის, როცა პირი განწესდა შესაბამის თანამდებობაზე.
7. თუ საერთო სასამართლოში კონკრეტული საქმის განხილვისას სასამართლო დაასკვნის, რომ არსებობს საკმარისი საფუძველი, რათა ესა თუ ის კანონი ან სხვა ნორმატიული აქტი, რომელიც უნდა გამოიყენოს სასამართლომ ამ საქმის გადაწყვეტისას, მთლიანად ან ნაწილობრივ შეიძლება მიჩნეულ იქნეს საქართველოს კონსტიტუციის შეუსაბამოდ, იგი შეაჩერებს საქმის განხილვას და მიმართავს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს. საქმის განხილვა განახლდება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ამ საკითხის გადაწყვეტის შემდეგ.
8. მოსამართლისათვის გარანტირებულია თანამდებობრივი ღირსებისა და ვალდებულებების ადეკვატური შრომის პირობები, ანაზღაურება და სოციალური გარანტიები. მოსამართლის რეზერვში ჩარიცხვის შემთხვევაში მას უნარჩუნდება თანამდებობრივი სარგო.
9. ბათილია ყველა აქტი, რომელიც ზღუდავს მოსამართლის დამოუკიდებლობას“.

## 66. მუხლი 85

### მოქმედი რედაქცია:

1. სასამართლოში საქმე განიხილება ღია სხდომაზე. დახურულ სხდომაზე საქმის განხილვა დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. სასამართლოს გადაწყვეტილება ცხადდება საქვეყნოდ.
2. სამართალწარმოება ხორციელდება სახელმწიფო ენაზე. პირს, რომელმაც სახელმწიფო ენა არ იცის, მიეჩინება თარჯიმანი. იმ რაიონებში, სადაც მოსახლეობა არ ფლობს სახელმწიფო ენას, უზრუნველყოფილია სახელმწიფო ენის შესწავლისა და სამართალწარმოებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა.
3. სამართალწარმოება ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე.

### 66.1. ავტორთა ჯგუფი: ვახტანგ ნაცვლიშვილი, გიორგი ბურჯანაძე, გიორგი დავითური, ვახუშტი მენაბდე და დავით ზედელაშვილი:

- „1. სასამართლოში საქმე განიხილება ღია სხდომაზე. დახურულ სხდომაზე საქმის განხილვა დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. სასამართლოს გადაწყვეტილება ცხადდება საქვეყნოდ.
2. სამართალწარმოება ხორციელდება სახელმწიფო ენაზე“.

### 66.2. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია:

„85-ე მუხლი ამოღებულ იქნას“.

### 66.3. არასამთავრობო ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“:

- „1. სამართალწარმოება ხორციელდება სახელმწიფო ენაზე.
2. იმ რაიონებში, სადაც მოსახლეობა არ ფლობს სახელმწიფო ენას, უზრუნველყოფილია სახელმწიფო ენის შესწავლისა და სამართალწარმოებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა.
3. (ამოღებულია)“.

## 67. მუხლი 86

### მოქმედი რედაქცია:

1. მოსამართლე შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 30 წლის ასაკიდან, თუ მას აქვს შესაბამისი უმაღლესი იურიდიული განათლება და სპეციალობით მუშაობის სულ ცოტა 5 წლის გამოცდილება.
2. მოსამართლე თანამდებობაზე განწესდება უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე. მოსამართლის უვადოდ განწესებამდე კანონით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს მოსამართლის განწესება განსაზღვრული ვადით, მაგრამ არა უმეტეს 3 წლისა. მოსამართლეთა შერჩევის, დანიშვნისა და თანამდებობიდან გათავისუფლების წესი განისაზღვრება კონსტიტუციითა და ორგანული კანონით.

3. მოსამართლის თანამდებობა შეუთავსებელია ნებისმიერ სხვა თანამდებობასთან და ანაზღაურებად საქმიანობასთან, გარდა პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობისა. მოსამართლე არ შეიძლება იყოს პოლიტიკური პარტიის წევრი, მონაწილეობდეს პოლიტიკურ საქმიანობაში.

**67.1. ავტორთა ჯგუფი - ვახტანგ ნაცვლიშვილი, გიორგი ბურჯანაძე, გიორგი დავითური, ვახუშტი მენაბდე, დავით ზედელაშვილი:**

**67.1.1. მუხლი 86 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1. მოსამართლე შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 30 წლის ასაკიდან, თუ მას აქვს შესაბამისი უმაღლესი იურიდიული განათლება და სპეციალობით მუშაობის სულ ცოტა 5 წლის გამოცდილება.

2. მოსამართლე თანამდებობაზე გამწესდება უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე.

3. მოსამართლის თანამდებობა შეუთავსებელია ნებისმიერ სხვა თანამდებობასთან და ანაზღაურებად საქმიანობასთან, გარდა პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობისა. მოსამართლე არ შეიძლება იყოს პოლიტიკური პარტიის წევრი, ან მონაწილეობდეს პოლიტიკურ საქმიანობაში“.

**67.1.2. მუხლი 86 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1. მოსამართლე შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 30 წლის ასაკიდან, თუ მას აქვს შესაბამისი უმაღლესი იურიდიული განათლება და სპეციალობით მუშაობის სულ ცოტა 5 წლის გამოცდილება.

2. მოსამართლე თანამდებობაზე გამწესდება 18 წლის ვადით, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე. მოსამართლე არ შეიძლება იყოს პირი, რომელსაც ადრე ეკავა ეს თანამდებობა.

3. მოსამართლის თანამდებობა შეუთავსებელია ნებისმიერ სხვა თანამდებობასთან და ანაზღაურებად საქმიანობასთან, გარდა პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობისა. მოსამართლე არ შეიძლება იყოს პოლიტიკური პარტიის წევრი, ან მონაწილეობდეს პოლიტიკურ საქმიანობაში“.

**67.2. არასამთავრობო ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“:**

„1. მოსამართლე პირველი ინსტანციის სასამართლოში შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 30 წლის ასაკიდან, შესაბამისი უმაღლესი იურიდიული განათლებით და სპეციალობით მუშაობის სულ ცოტა 5 წლის გამოცდილებით. მოსამართლე მეორე ინსტანციის სასამართლოში შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 35 წლის ასაკიდან, შესაბამისი უმაღლესი იურიდიული განათლებით და სპეციალობით მუშაობის სულ ცოტა 7 წლის გამოცდილებით. მოსამართლე მესამე ინსტანციის სასამართლოში შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 40 წლის ასაკიდან, შესაბამისი უმაღლესი იურიდიული განათლებით და სპეციალობით მუშაობის სულ ცოტა 10 წლის გამოცდილებით. მოსამართლის თანამდებობაზე განწესებისას, გაითვალისწინება კარიერული ზრდისა და წინსვლის პრინციპი.

2. მოსამართლე თანამდებობაზე განწესდება უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე. მოსამართლის უვადოდ განწესებამდე კანონით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს მოსამართლის განწესება განსაზღვრული ვადით, მაგრამ არა უმეტეს 3 წლისა. მოსამართლეთა

შერჩევის, დანიშვნისა და თანამდებობიდან გათავისუფლების წესი განისაზღვრება კონსტიტუციითა და ორგანული კანონით.

3. მოსამართლის თანამდებობა შეუთავსებელია ნებისმიერ სხვა თანამდებობასთან და ანაზღაურებად საქმიანობასთან, გარდა პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობისა. მოსამართლე არ შეიძლება იყოს პოლიტიკური პარტიის წევრი, მონაწილეობდეს პოლიტიკურ საქმიანობაში“.

### **67.3. საქართველოს ახალგაზრდა კონსტიტუციონალისტთა ასოციაცია:**

86-ე მუხლის მეორე და მესამე პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„2. მოსამართლე თანამდებობაზე განწესდება უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე. მოსამართლის უვადოდ განწესებამდე კანონით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს მოსამართლის განწესება განსაზღვრული ვადით, მაგრამ არა უმეტეს 3 წლისა. მოსამართლეთა შერჩევის, დანიშვნის, სხვა სამოსამართლო თანამდებობაზე გადაყვანისა და თანამდებობიდან გათავისუფლების წესი განისაზღვრება კონსტიტუციითა და ორგანული კანონით.

3. მოსამართლის თანამდებობა შეუთავსებელია ნებისმიერ სხვა თანამდებობასთან და ანაზღაურებად საქმიანობასთან, გარდა პედაგოგიური, სამეცნიერო და შემოქმედებითი მოღვაწეობისა. მოსამართლე არ შეიძლება, იყოს პოლიტიკური პარტიის წევრი, მონაწილეობდეს პოლიტიკურ საქმიანობაში“.

### **67.4. კონსტანტინე კუბლაშვილი:**

„1. მოსამართლედ შეიძლება დაინიშნოს (აირჩეს) საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე 30 წლის ასაკიდან, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, სპეციალობით მუშაობის სულ მცირე 5 წლის გამოცდილება, ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა, გავლილი აქვს იუსტიციის უმაღლესი სკოლის არაუმეტეს 2 წლიანი სასწავლო კურსი და შეყვანილია იუსტიციის მსმენელთა საკვალიფიკაციო სიაში. მოსამართლის თანამდებობის დასაკავებლად იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სწავლისაგან სრული ან ნაწილობრივი გათავისუფლების შემთხვევები განისაზღვრება ორგანული კანონით.

2. საერთო სასამართლოების სისტემაში მოსამართლედ დასანიშნი პირის პროფესიულ მომზადებას უზრუნველყოფს იუსტიციის უმაღლესი სკოლა, რომელიც წარმოადგენს სასამართლო სისტემის შემადგენელ ნაწილს.

3. იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი, რომელმაც წარმატებით დაასრულა იუსტიციის უმაღლესი სკოლის სასწავლო კურსი, ინიშნება მოსამართლის თანამდებობაზე.

4. მოსამართლე თანამდებობაზე განწესდება უვადოდ, 65 წლის ასაკის მიღწევამდე.

5. მოსამართლედ არ შეიძლება დაინიშნოს (აირჩეს) პირი, რომელსაც უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში ეკავა სახელმწიფო-პოლიტიკური ან პარტიული თანამდებობა.

6. სააპელაციო ინსტანციის მოსამართლედ შეიძლება განწესდეს პირი, რომელსაც აქვს სამოსამართლო საქმიანობის სულ მცირე 3 წლიანი გამოცდილება.

7. მოსამართლეთა შერჩევის, დანიშვნისა და თანამდებობიდან გათავისუფლების წესი განისაზღვრება კონსტიტუციითა და ორგანული კანონით.
8. მოსამართლის თანამდებობა შეუთავსებელია ნებისმიერ სხვა თანამდებობასა და ანაზღაურებად საქმიანობასთან, გარდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობისა, აგრეთვე პედაგოგიური, სამეცნიერო და შემოქმედებითი მოღვაწეობისა. მოსამართლე არ შეიძლება იყოს პოლიტიკური პარტიის წევრი, მონაწილეობდეს პოლიტიკურ საქმიანობაში ან ეწეოდეს მოსამართლის სტატუსთან შეუფერებელ საქმიანობას.
9. საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანოა საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია, რომელიც იცავს და განამტკიცებს სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობას, ხელს უწყობს მოსამართლეთა ავტორიტეტის ამაღლებას და უფლებამოსილია გადაწყვიტოს სასამართლოს სისტემის ორგანიზაციული უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი საკითხები. საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით“.

## 68. მუხლი 86<sup>1</sup>

### მოქმედი რედაქცია:

1. მოსამართლეთა თანამდებობაზე დანიშვნის, მოსამართლეთა თანამდებობიდან გათავისუფლების და სხვა ამოცანების შესრულების მიზნით იქმნება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.
2. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობის ნახევარზე მეტს შეადგენენ საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანოს მიერ არჩეული წევრები. საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარეობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.
3. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილება და შექმნის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით.

### **68.1. ავტორთა ჯგუფი: ვახტანგ ნაცვლიშვილი, გიორგი ბურჯანაძე, გიორგი დავითური, ვახუშტი მენაბდე და დავით ზედელაშვილი:**

#### 68.1.1. მუხლი 86<sup>1</sup> ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. საერთო სასამართლოებისა და მოსამართლის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის, მოსამართლეთა თანამდებობაზე დანიშვნის, დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების, თანამდებობიდან გათავისუფლებისა და სხვა ამოცანების შესრულების მიზნით იქმნება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. იუსტიციის უმაღლესი საბჭო მოსამართლეს ირჩევს სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობით.
2. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობის ნახევარზე მეტს შეადგენენ საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანოს მიერ არჩეული წევრები. გარდა მოსამართლე წევრებისა, კანონით შეიძლება დადგინდეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების პრეზიდენტის წარდგინებით პარლამენტის მიერ არჩევა. პარლამენტის მიერ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი არჩეულად ჩაითვლება თუ მას მხარს დაუჭირეს პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობა, სადაც უზრუნველყოფილია



საპარლამენტო უმრავლესობის მიღმა დარჩენილი დეპუტატების უმრავლესობის მხარდაჭერა.  
საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარეობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.

3. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილება და შექმნის წესი განისაზღვრება კონსტიტუციითა ორგანული კანონით“.

68.1.2. მუხლი 86<sup>1</sup> ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1.საერთო სასამართლოებისა და მოსამართლის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის, მოსამართლეთა თანამდებობაზე დანიშვნის, დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების, თანამდებობიდან გათავისუფლებისა და სხვა ამოცანების შესრულების მიზნით იქმნება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. იუსტიციის უმაღლესი საბჭო მოსამართლეს ირჩევს სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობით.

2.გარდა მოსამართლე წევრებისა კანონით შეიძლება დადგინდეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების პრეზიდენტის წარდგინებით სენატის მიერ არჩევა. პარლამენტის მიერ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი არჩეულად ჩაითვლება თუ მას მხარს დაუჭერს სენატის სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

3. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილება და შექმნის წესი განისაზღვრება კონსტიტუციითა ორგანული კანონით“.

**68.2. არასამთავრობო ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“:**

„1. მოსამართლეთა თანამდებობაზე დანიშვნის, მოსამართლეთა თანამდებობიდან გათავისუფლების და კანონით დადგენილი სხვა ამოცანების შესრულების მიზნით იქმნება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

2. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობის ნახევარზე მეტს შეადგენენ საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანოს მიერ არჩეული წევრები. საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარეობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.

3. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილება, შექმნისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით“.

**68.3. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია:**

86<sup>1</sup> მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„1.სასამართლოს (მოსამართლის) დამოუკიდებლობის, მართლმსაჯულების ხარისხისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფის, მოსამართლის დანიშვნისა და თანამდებობიდან გათავისუფლების და კანონით განსაზღვრული სხვა ამოცანების შესრულების მიზნით იქმნება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო“.



#### **68.4. საქართველოს ახალგაზრდა კონსტიტუციონალისტთა ასოციაცია:**

86<sup>1</sup> მუხლის მეორე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„2. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობის ნახევარზე მეტს შეადგენენ საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანოს მიერ არჩეული წევრები. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრები ორგანული კანონით განსაზღვრული რაოდენობითა და წესით თანამდებობაზე გამწესდებიან დამოუკიდებლად საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის მიერ. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე“.

#### **68.5. კონსტანტინე კუბლაშვილი:**

„1. სასამართლო რეფორმის გასატარებლად წინადადებების შემუშავების, მოსამართლეთა თანამდებობაზე დანიშვნის, თანამდებობიდან განთავისუფლების, სხვა სასამართლოში გადაყვანის, მივლინების, დაწინაურების, წახალისების, დისციპლინური ღონისძიებების გამოყენების, მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდების ორგანიზებისა და სასამართლო სისტემის ეფექტიანად ფუნქციონირებისათვის საჭირო სხვა ამოცანების შესრულების მიზნით იქმნება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

2. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო შედგება 15 წევრისაგან. საბჭოს 8 მოსამართლე წევრს ირჩევს საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანო, 5 წევრს - საქართველოს პარლამენტი, ხოლო 1 წევრს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეობს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, რომელიც თანამდებობრივად არის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი.

3. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადაა 4 წელი. ერთი და იგივე პირი საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად არ შეიძლება აირჩეს (დაინიშნოს) ზედიზედ ორჯერ, გარდა მოსამართლე წევრებისა.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლებია: ა) პირადი განცხადება; ბ) სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონედ აღიარება;

გ) მის მიმართ საბოლოოდ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;

დ) საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტა;

ე) უფლებამოსილების ვადის ამოწურვა;

ვ) გარდაცვალება;

ზ) წელიწადში 4 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში თავისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობა;

თ) მოვალეობის სისტემატური შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება;

ი) შეუთავსებელი თანამდებობის დაკავება ან შეუთავსებელი საქმიანობა.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრის თანამდებობიდან განთავისუფლების საფუძველია მოსამართლის თანამდებობიდან მისი განთავისუფლება.

6. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება საერთო სასამართლოების სისტემის ფუნქციონირებასა და სამართალწარმოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.
7. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უფლება აქვს, წარდგინებით მიმართოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ნორმატიული აქტების საქართველოს კონსტიტუციის 82-ე-89-ე მუხლებთან შესაბამისობის თაობაზე.
8. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილება, შექმნისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება კონსტიტუციითა და ორგანული კანონით“.

**69. 87-ე მუხლის პირველი პუნქტი:**

**მოქმედი რედაქცია:**

„1. მოსამართლე ხელშეუხებელია. დაუშვებელია მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაკავება ან დაპატიმრება, მისი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი გაჩხრეკა საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანხმობის გარეშე. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს. თუ იგი არ მისცემს თანხმობას, დაკავებული ან დაპატიმრებული მოსამართლე დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს“.

**69.1. ავტორთა ჯგუფი: ვახტანგ ნაცვლიშვილი, გიორგი ბურჯანაძე, გიორგი დავითური, ვახუშტი მენაბდე და დავით ზედელაშვილი:**

„მოსამართლე ხელშეუხებელია. დაუშვებელია მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაკავება ან დაპატიმრება, მისი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი გაჩხრეკა, ფარული მიყურადება და თვალთვალი საქართველოს უზენაესი სასამართლოს, ხოლო საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის შემთხვევაში - საკონსტიტუციო სასამართლოს, თანხმობის გარეშე. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს, ხოლო საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის შემთხვევაში - საკონსტიტუციო სასამართლოს. თუ სასამართლო არ მისცემს თანხმობას, დაკავებული ან დაპატიმრებული მოსამართლე დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს“.

**69.2. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია:**

„მოსამართლე ხელშეუხებელია. დაუშვებელია მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაკავება ან დაპატიმრება, მისი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი გაჩხრეკა საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმის თანხმობის გარეშე. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმს. თუ იგი არ მისცემს თანხმობას, დაკავებული ან დაპატიმრებული მოსამართლე დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს“.

**69.3. არასამთავრობო ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“:**

„მოსამართლე ხელშეუხებელია. დაუშვებელია მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაკავება ან დაპატიმრება, მისი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი გაჩხრეკა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თანხმობის გარეშე. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს. თუ იუსტიციის უმაღლესი საბჭო არ მისცემს თანხმობას, დაკავებული ან დაპატიმრებული მოსამართლე დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს“.

#### **69.4. საქართველოს ახალგაზრდა კონსტიტუციონალისტთა ასოციაცია:**

„მოსამართლე ხელშეუხებელია. დაუშვებელია მოსამართლის (გარდა უზენაესი სასამართლოს მოსამართლის) სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაკავება ან დაპატიმრება, მისი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი გაჩხრეკა, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წინასწარი თანხმობის გარეშე“.

#### **69.5. კონსტანტინე კუბლაშვილი:**

„1. მოსამართლე ხელშეუხებელია. დაუშვებელია მისი ბრალდება, დაკავება ან დაპატიმრება, მისი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი ჩხრეკა ან დათვალიერება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, ხოლო უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა და წევრების შემთხვევაში - საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმის თანხმობის გარეშე.

გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ან საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმს. თუ ისინი არ მისცემენ თანხმობას, დაკავებული ან დაპატიმრებული მოსამართლე დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს.

2. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანხმობის გარეშე დაუშვებელია მოსამართლის მიმართ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების განხორციელება.

3. სახელმწიფო უზრუნველყოფს მოსამართლისა და ნაფიცი მსაჯულის, აგრეთვე მათი ოჯახის უსაფრთხოებას“.

## **70. მუხლი 88**

### **მოქმედი რედაქცია:**

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო სასამართლო ხელისუფლებას ახორციელებს საკონსტიტუციო სამართალწარმოების წესით.

2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო შედგება 9 მოსამართლისაგან – საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებისაგან. სასამართლოს 3 წევრს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი, 3 წევრს ირჩევს პარლამენტი სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტით, 3 წევრს ნიშნავს უზენაესი სასამართლო. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა უფლებამოსილების ვადაა 10 წელი. საკონსტიტუციო სასამართლო თავისი შემადგენლობიდან 5 წლის ვადით ირჩევს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს.

3. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი არ შეიძლება იყოს პირი, რომელსაც ადრე ეკავა ეს თანამდებობა.

4. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 30 წლის ასაკიდან, თუ მას აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების შერჩევის, დანიშვნისა და არჩევის, მათი უფლებამოსილების შეწყვეტის, აგრეთვე საკონსტიტუციო სამართალწარმოების და სასამართლოს საქმიანობის სხვა საკითხები განისაზღვრება კანონით.

5. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი ხელშეუხებელია. დაუშვებელია მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაკავება ან დაპატიმრება, მისი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი გაჩხრეკა საკონსტიტუციო სასამართლოს თანხმობის გარეშე. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საკონსტიტუციო სასამართლოს. თუ იგი არ მისცემს თანხმობას, საკონსტიტუციო სასამართლოს დაკავებული ან დაპატიმრებული წევრი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

**70.1. ავტორთა ჯგუფი: ვახტანგ ნაცვლიშვილი, გიორგი ბურჯანაძე, გიორგი დავითური, ვახუშტი მენაბდე და დავით ზედელაშვილი:**

**70.1.1. მუხლი 88 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო სასამართლო ხელისუფლებას ახორციელებს საკონსტიტუციო სამართალწარმოების წესით.

2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო შედგება 9 მოსამართლისაგან – საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებისაგან. სასამართლოს 3 წევრს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი, 3 წევრს ირჩევს პარლამენტი სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტით, 3 წევრს ირჩევს მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანო. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა უფლებამოსილების ვადაა 10 წელი. საკონსტიტუციო სასამართლო თავისი შემადგენლობიდან 5 წლის ვადით ირჩევს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს.

3. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი და თავმჯდომარე არ შეიძლება იყოს პირი, რომელსაც ადრე ეკავა ეს თანამდებობა.

4. საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 30 წლის ასაკიდან, თუ მას აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება.

5. მოსამართლეების შერჩევის, დანიშვნის ან არჩევის წესი, მათი უფლებამოსილების შეწყვეტის პროცედურა და საფუძვლები განისაზღვრება ორგანული კანონით“.

**70.1.2. მუხლი 88 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო სასამართლო ხელისუფლებას ახორციელებს საკონსტიტუციო სამართალწარმოების წესით.

2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო შედგება 9 მოსამართლისაგან – საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებისაგან. სასამართლოს 3 წევრს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი, 3 წევრს ირჩევს სენატი სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტით, 3 წევრს ირჩევს მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანო. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა

უფლებამოსილების ვადაა 10 წელი. საკონსტიტუციო სასამართლო თავისი შემადგენლობიდან 5 წლის ვადით ირჩევს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს.

3. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი და თავმჯდომარე არ შეიძლება იყოს პირი, რომელსაც ადრე ეკავა ეს თანამდებობა.

4. საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 30 წლის ასაკიდან, თუ მას აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება.

5. მოსამართლეების შერჩევის, დანიშვნის ან არჩევის წესი, მათი უფლებამოსილების შეწყვეტის პროცედურა და საფუძვლები განისაზღვრება ორგანული კანონით“.

## **70.2. არასამთავრობო ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“:**

„1. საკონსტიტუციო სამართალწარმოების წესით სასამართლო ხელისუფლებას ახორციელებს საკონსტიტუციო სასამართლო.

2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო შედგება 9 მოსამართლისაგან – საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებისაგან. სასამართლოს 3 წევრს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი, 3 წევრს ირჩევს პარლამენტი სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტით, 3 წევრს ნიშნავს უზენაესი სასამართლოს პლენუმი. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა უფლებამოსილების ვადაა 10 წელი. საკონსტიტუციო სასამართლო თავისი შემადგენლობიდან 5 წლის ვადით ირჩევს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს. 3. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი არ შეიძლება იყოს პირი, რომელსაც ადრე ეკავა ეს თანამდებობა.

4. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 35 წლის ასაკიდან, თუ მას აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება და საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის მაღალი სტატუსისთვის შესაფერისი პროფესიული გამოცდილება. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების შერჩევის, დანიშვნისა და არჩევის, მათი უფლებამოსილების შეწყვეტის, აგრეთვე საკონსტიტუციო სამართალწარმოების და სასამართლოს საქმიანობის სხვა საკითხები განისაზღვრება კანონით.

5. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი ხელშეუხებელია. დაუშვებელია მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაკავება ან დაპატიმრება, მისი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი გაჩხრეკა საკონსტიტუციო სასამართლოს თანხმობის გარეშე. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საკონსტიტუციო სასამართლოს. თუ იგი არ მისცემს თანხმობას, საკონსტიტუციო სასამართლოს დაკავებული ან დაპატიმრებული წევრი დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს“.

## **70.3. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია:**

„1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო სასამართლო ხელისუფლებას ახორციელებს საკონსტიტუციო სამართალწარმოების წესით.

2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო შედგება 9 მოსამართლისაგან – საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებისაგან. სასამართლოს 3 წევრს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი, 3 წევრს ირჩევს პარლამენტი სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტით, 3 წევრს ირჩევს უზენაესი

სასამართლო. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა უფლებამოსილების ვადაა 10 წელი. საკონსტიტუციო სასამართლო თავისი შემადგენლობიდან 5 წლის ვადით ირჩევს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს.

3. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი არ შეიძლება იყოს პირი, რომელსაც ადრე ეკავა ეს თანამდებობა.

4. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 30 წლის ასაკიდან. საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეს უნდა ახასიათებდეთ მაღალი ზნეობრივი თვისებები. ის უნდა ფლობდეს მაღალი სამოსამართლო თანამდებობის დასაკავებლად აუცილებელ კვალიფიკაციას ან იყოს აღიარებული კომპეტენტურობის მქონე სამართალმცოდნე.

საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების შერჩევის, დანიშვნისა და არჩევის, მათი უფლებამოსილების შეწყვეტის, აგრეთვე საკონსტიტუციო სამართალწარმოების და სასამართლოს საქმიანობის სხვა საკითხები განისაზღვრება კანონით.

5. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი ხელშეუხებელია. დაუშვებელია მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაკავება ან დაპატიმრება, მისი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი გაჩხრეკა საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის თანხმობის გარეშე. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმს. თუ იგი არ მისცემს თანხმობას, საკონსტიტუციო სასამართლოს დაკავებული ან დაპატიმრებული წევრი დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს“.

#### **70.4. საქართველოს ახალგაზრდა კონსტიტუციონალისტთა ასოციაცია:**

„1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო სასამართლო ხელისუფლებას ახორციელებს საკონსტიტუციო სამართალწარმოების წესით.

2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო შედგება 9 მოსამართლისაგან – საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებისაგან. სასამართლოს 3 წევრს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი, 3 წევრს ირჩევს პარლამენტი სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტით, 3 წევრს ნიშნავს უზენაესი სასამართლო. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა უფლებამოსილების ვადაა 10 წელი. საკონსტიტუციო სასამართლო თავისი შემადგენლობიდან 5 წლის ვადით ირჩევს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს.

3. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი არ შეიძლება, იყოს პირი, რომელსაც ადრე ეკავა ეს თანამდებობა.

4. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი შეიძლება, იყოს საქართველოს მოქალაქე 35 წლის ასაკიდან, თუ მას აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება და სპეციალობით ან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სამართლის პროფესორად მუშაობის, სულ ცოტა, 10-წლიანი გამოცდილება. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების შერჩევის, დანიშვნისა და არჩევის, მათი უფლებამოსილების შეწყვეტის, აგრეთვე საკონსტიტუციო სამართალწარმოების და სასამართლოს საქმიანობის სხვა საკითხები განისაზღვრება ორგანული კანონით.

5. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება, თუ:

- ა) ზედიზედ 6 თვის განმავლობაში ვერ ასრულებდა ან წელიწადში 3 თვის განმავლობაში არასაკმარის მიზნებით არ ასრულებდა თავის მოვალეობას;
- ბ) დაიკავა საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობა ან ეწევა ორგანული კანონით აკრძალულ საქმიანობას;
- გ) გაამჟღავნა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამართული თათბირის არსი ან საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის მიერ კენჭისყრისას დაკავებული პოზიცია.
- დ) ჩაიდინა მოსამართლისთვის შეუფერებელი საქციელი;
- ე) დაკარგა საქართველოს მოქალაქეობა;
- ვ) სასამართლომ ცნო ქმედუუნაროდ;
- ზ) მის მიმართ არსებობს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;
- თ) გარდაიცვალა, ან სასამართლომ აღიარა უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გამოაცხადა გარდაცვლილად;
- ი) გადადგა თანამდებობიდან.

6. დაუშვებელია საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაკავება ან დაპატიმრება, მისი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი გაჩხრეკა, საკონსტიტუციო სასამართლოს წინასწარი თანხმობის გარეშე. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საკონსტიტუციო სასამართლოს. თუ საკონსტიტუციო სასამართლო არ მისცემს თანხმობას, დაკავებული ან დაპატიმრებული საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

7. საკონსტიტუციო სასამართლოს დაფინანსება ხორციელდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში საკონსტიტუციო სასამართლოსთვის განკუთვნილი ხარჯების შემცირება წინა წლის შესაბამის მოცულობასთან შედარებით შეიძლება მხოლოდ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წინასწარი თანხმობით“.

**70.5. მანანა კობახიძე:**

88-ე მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი შეიძლება იყოს მაღალი ზნეობრივი თვისებებით გამორჩეული საქართველოს მოქალაქე 35 წლის ასაკიდან, თუ მას აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება და სპეციალობით მუშაობის ან/და სამართლის სფეროში სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის სულ ცოტა 10 წლის გამოცდილება. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების შერჩევის, დანიშვნისა და არჩევის, მათი უფლებამოსილების შეწყვეტის, აგრეთვე საკონსტიტუციო სამართალწარმოების და სასამართლოს საქმიანობის სხვა საკითხები განისაზღვრება კანონით.“

**71. მუხლი 89**

**მოქმედი რედაქცია:**

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო საქართველოს პრეზიდენტის, მთავრობის, პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის, სასამართლოს, აფხაზეთის ავტონომიური



რესპუბლიკისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების, თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, სახალხო დამცველის და მოქალაქის სარჩელისა თუ წარდგინების საფუძველზე ორგანული კანონით დადგენილი წესით:

ა) იღებს გადაწყვეტილებებს კონსტიტუციასთან, კონსტიტუციური შეთანხმების, კანონის, პრეზიდენტის, მთავრობის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა ნორმატიული აქტების შესაბამისობის საკითხებზე;

ბ) იხილავს დავას სახელმწიფო ორგანოებს შორის კომპეტენციის შესახებ;

გ) იხილავს მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებათა შექმნისა და საქმიანობის კონსტიტუციურობის საკითხებს;

დ) იხილავს რეფერენდუმისა და არჩევნების მომწესრიგებელი ნორმების და ამ ნორმების საფუძველზე ჩატარებული ან ჩასატარებელი არჩევნების (რეფერენდუმის) კონსტიტუციურობასთან დაკავშირებულ დავას;

ე) იხილავს საერთაშორისო ხელშეკრულებების და შეთანხმებების კონსტიტუციურობის საკითხს;

ვ) პირის სარჩელის საფუძველზე იხილავს ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული ადამიანის ძირითად უფლებებთან და თავისუფლებებთან მიმართებით;

გ<sup>1</sup>) იხილავს დავას „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის დარღვევის თაობაზე;

გ<sup>2</sup>) თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს სარჩელის საფუძველზე იხილავს ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის საკითხს კონსტიტუციის მეშვიდე<sup>1</sup> თავთან მიმართებით;

გ<sup>3</sup>) იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინების საფუძველზე იხილავს ნორმატიული აქტების შესაბამისობას კონსტიტუციის 82-ე, 84-ე, 86-ე, 86<sup>1</sup>, 87-ე და 90-ე მუხლებთან;

ზ) ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციით და ორგანული კანონით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს .

2. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა. არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი კარგავს იურიდიულ ძალას საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან.

### **71.1. ავტორთა ჯგუფი: ვახტანგ ნაცვლიშვილი, გიორგი ბურჯანაძე, გიორგი დავითური, ვახუშტი მენაბდე და დავით ზედელაშვილი:**

„1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო საქართველოს პრეზიდენტის, მთავრობის, პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის, სასამართლოს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების, თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, სახალხო დამცველის და ფიზიკური და იურიდიული პირების სარჩელისა თუ წარდგინების საფუძველზე ორგანული კანონით დადგენილი წესით:



ა) იღებს გადაწყვეტილებებს კონსტიტუციასთან, კონსტიტუციური შეთანხმების, კანონის, პრეზიდენტის, მთავრობის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა ნორმატიული აქტების შესაბამისობის საკითხებზე;

ბ) იხილავს დავას სახელმწიფო ორგანოებს შორის კომპეტენციის შესახებ;

გ) იხილავს მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებათა შექმნისა და საქმიანობის კონსტიტუციურობის საკითხებს;

დ) იხილავს რეფერენდუმისა და არჩევნების მომწესრიგებელი ნორმების და ამ ნორმების საფუძველზე ჩატარებული ან ჩასატარებელი არჩევნების (რეფერენდუმის) კონსტიტუციურობასთან დაკავშირებულ დავას;

ე) იხილავს საერთაშორისო ხელშეკრულებების და შეთანხმებების კონსტიტუციურობის საკითხს;

ვ) პირის სარჩელის საფუძველზე იხილავს ნორმატიული აქტებისა და საერთო სასამართლოების საბოლოო გადაწყვეტილებების კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ ადამიანის ძირითად უფლებებთან და თავისუფლებებთან მიმართებით;

ვ<sup>1</sup>) იხილავს დავას „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის დარღვევის თაობაზე;

ვ<sup>2</sup>) თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს სარჩელის საფუძველზე იხილავს ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის საკითხს კონსტიტუციის მეშვიდე<sup>1</sup> თავთან მიმართებით;

ვ<sup>3</sup>) იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინების საფუძველზე იხილავს ნორმატიული აქტების შესაბამისობას კონსტიტუციის 82-ე, 84-ე, 86-ე, 86<sup>1</sup>, 87-ე და 90-ე მუხლებთან;

ზ) ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციით და ორგანული კანონით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

2. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა. არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტი ან მისი ნაწილი კარგავს იურიდიულ ძალას. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის საკითხი განისაზღვრება ორგანული კანონით“.

## **71.2. არასამთავრობო ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“:**

„1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო საქართველოს პრეზიდენტის, მთავრობის, პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის, სასამართლოს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების, თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, სახალხო დამცველის და მოქალაქის სარჩელისა თუ წარდგინების საფუძველზე ორგანული კანონით დადგენილი

ა) იღებს გადაწყვეტილებებს კონსტიტუციური შეთანხმების, კანონის, პრეზიდენტის, მთავრობის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა ნორმატიული აქტების კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხებზე;

- ბ) იხილავს დავას სახელმწიფო ორგანოებს შორის კომპეტენციის შესახებ;
- გ) იხილავს მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებათა შექმნისა და საქმიანობის კონსტიტუციურობის საკითხებს;
- დ) იხილავს რეფერენდუმისა და არჩევნების მომწესრიგებელი ნორმების და ამ ნორმების საფუძველზე ჩატარებული ან ჩასატარებელი არჩევნების (რეფერენდუმის) კონსტიტუციურობასთან დაკავშირებულ დავას;
- ე) იხილავს საერთაშორისო ხელშეკრულებების და შეთანხმებების კონსტიტუციურობის საკითხს;
- ვ) პირის სარჩელის საფუძველზე იხილავს ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული ადამიანის ძირითად უფლებებთან და თავისუფლებებთან მიმართებით; ვ<sup>1</sup>) იხილავს დავას „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის დარღვევის თაობაზე;
- ვ<sup>2</sup>) თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს სარჩელის საფუძველზე იხილავს ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის საკითხს კონსტიტუციის მეშვიდე<sup>1</sup> თავთან მიმართებით;
- ვ<sup>3</sup>) იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინების საფუძველზე იხილავს ნორმატიული აქტების შესაბამისობას კონსტიტუციის 82-ე, 84-ე, 86-ე, 86<sup>1</sup>, 87-ე და 90-ე მუხლებთან;
- ვ<sup>4</sup>) პირის განცხადების საფუძველზე, იხილავს უზენაესი სასამართლოს მიერ ამ პირის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის მიღებით, საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელების საკითხს, ასევე, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით პირისთვის განსაზღვრულ სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა კონსტიტუციურობის საკითხს, საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული ადამიანის ძირითად უფლებებთან და თავისუფლებებთან მიმართებით, რაც არ გულისხმობს მეოთხე ინსტანციას;
- ზ) ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციით და ორგანული კანონით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

2. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა. არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი კარგავს იურიდიულ ძალას საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან, ხოლო პირის უფლებების დარღვევის დადგენის შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლო რეკომენდაციას აძლევს საქართველოს უზენაეს სასამართლოს პრაქტიკის განვითარების ხელშეწყობის მიზნით.

### **71.3. საქართველოს სახალხო დამცველი:**

89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) პირის სარჩელის საფუძველზე იხილავს ნორმატიული აქტების და საერთო სასამართლოების საბოლოო გადაწყვეტილებების კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული ადამიანის ძირითად უფლებებთან და თავისუფლებებთან მიმართებით“.

#### **71.4. საქართველოს ახალგაზრდა კონსტიტუციონალისტთა ასოციაცია:**

„1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო საქართველოს პრეზიდენტის, მთავრობის, პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის, სასამართლოს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების, თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, სახალხო დამცველის და პირთა სარჩელისა თუ წარდგინების საფუძველზე ორგანული კანონით დადგენილი წესით:

ა) იღებს გადაწყვეტილებებს კონსტიტუციასთან, კონსტიტუციური შეთანხმების, კანონის, პრეზიდენტის, მთავრობის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა ნორმატიული აქტების შესაბამისობის საკითხებზე;

ბ) იხილავს დავას სახელმწიფო ორგანოებს შორის კომპეტენციის შესახებ;

გ) იხილავს მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებათა შექმნისა და საქმიანობის კონსტიტუციურობის საკითხებს;

დ) იხილავს რეფერენდუმისა და არჩევნების მომწესრიგებელი ნორმების და ამ ნორმების საფუძველზე ჩატარებული ან ჩასატარებელი არჩევნების (რეფერენდუმის) კონსტიტუციურობასთან დაკავშირებულ დავას;

ე) იხილავს საერთაშორისო ხელშეკრულებების და შეთანხმებების კონსტიტუციურობის საკითხს;

ვ) პირის სარჩელის საფუძველზე იხილავს ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ადამიანის ძირითად უფლებებთან და თავისუფლებებთან მიმართებით;

ვ<sup>1</sup>) იხილავს დავას „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის დარღვევის თაობაზე;

ვ<sup>2</sup>) თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს სარჩელის საფუძველზე იხილავს ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის საკითხს კონსტიტუციის მეშვიდე<sup>1</sup> თავთან მიმართებით;

ვ<sup>3</sup>) იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინების საფუძველზე იხილავს ნორმატიული აქტების შესაბამისობას კონსტიტუციის 82-ე, 84-ე, 86-ე, 86<sup>1</sup>, 87-ე და 90-ე მუხლებთან;

ზ) ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციით და ორგანული კანონით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

2. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა. არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი კარგავს იურიდიულ ძალას საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან.

3. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების მაქსიმალური ვადა 9 თვეა, რომელიც, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, შესაძლოა, არა უმატეს, 2 თვით გაგრძელდეს, თუ ეს, საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების დასადგენად, აუცილებელია“.

### **71.5. კონსტანტინე კუბლაშვილი:**

„1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო საქართველოს პრეზიდენტის, მთავრობის, პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის, სასამართლოს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების, თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, სახალხო დამცველის და მოქალაქის სარჩელისა თუ წარდგინების საფუძველზე ორგანული კანონით დადგენილი წესით:

ა) იღებს გადაწყვეტილებებს კონსტიტუციასთან, კონსტიტუციური შეთანხმების, კანონის, პრეზიდენტის, მთავრობის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა ნორმატიული აქტების შესაბამისობის საკითხებზე;

ბ) იხილავს დავას სახელმწიფო ორგანოებს შორის კომპეტენციის შესახებ;

გ) იხილავს მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებათა შექმნისა და საქმიანობის კონსტიტუციურობის საკითხებს;

დ) იხილავს რეფერენდუმისა და არჩევნების მომწესრიგებელი ნორმების და ამ ნორმების საფუძველზე ჩატარებული ან ჩასატარებელი არჩევნების (რეფერენდუმის) კონსტიტუციურობასთან დაკავშირებულ დავას;

ე) იხილავს საერთაშორისო ხელშეკრულებების და შეთანხმებების კონსტიტუციურობის საკითხს;

ვ) პირის სარჩელის საფუძველზე იხილავს ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული ადამიანის ძირითად უფლებებთან და თავისუფლებებთან მიმართებით;

ზ) იხილავს დავას „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის დარღვევის თაობაზე;

თ) თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს სარჩელის საფუძველზე იხილავს ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის საკითხს კონსტიტუციის მეშვიდე<sup>1</sup> თავთან მიმართებით;

ი) იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინების საფუძველზე იხილავს ნორმატიული აქტების შესაბამისობას კონსტიტუციის 82-ე-89-ე მუხლებთან;

კ) ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციით და ორგანული კანონით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

2. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა. არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი კარგავს იურიდიულ ძალას საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან“.

**71.6. საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია:**  
89-ე მუხლის 1-ლი პუნქტის 1-ლი წინადადება ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო საქართველოს პრეზიდენტის, ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს, მთავრობის, პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის, სასამართლოს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების, თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, სახალხო დამცველის და მოქალაქის სარჩელისა თუ წარდგინების საფუძველზე ორგანული კანონით დადგენილი წესით:“

**89-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ბ<sup>1</sup>“ ქვეპუნქტი:**

„ბ<sup>1</sup>) ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს წარდგინების საფუძველზე იხილავს ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის საკითხს კონსტიტუციის მეოთხე<sup>2</sup> თავთან მიმართებით“.

### **71.7. „სახელმწიფო აუდიტის სამსახური“:**

**89-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ბ<sup>2</sup>“ ქვეპუნქტი:**

„ბ<sup>2</sup>) სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წარდგინების საფუძველზე იხილავს ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის საკითხს კონსტიტუციით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებებთან დაკავშირებით.“

### **71.8. ავტორთა ჯგუფი: ვახტანგ ნაცვლიშვილი , ვახუშტი მენაბდე, ბესარიონ ლოლაძე, დავით ლოსაბერიძე, ვლკა კილურაძე და კოტე ჩოკორაია:**

„ვ<sup>2</sup>) თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს ან საქართველოს ტერიტორიაზე არსებული საკრებულოების წევრთა არანაკლებ 5 პროცენტის სარჩელის საფუძველზე იხილავს სამართლებრივი აქტის კონსტიტუციურობის საკითხს კონსტიტუციის მეშვიდე<sup>1</sup> თავთან მიმართებით“.

## **72. მუხლი 90**

### **მოქმედი რედაქცია:**

1. საქართველოს უზენაესი სასამართლო არის საკასაციო სასამართლო.

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს და უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს პარლამენტი არანაკლებ 10 წლის ვადით.

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს უფლებამოსილება, ორგანიზაცია, საქმიანობისა და უზენაესი სასამართლოს წევრთა უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით.

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და წევრები ხელშეუხებელნი არიან. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის და წევრების სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაკავება ან დაპატიმრება, მათი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი გაჩხრეკა შეიძლება მხოლოდ პარლამენტის თანხმობით. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც

**დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პარლამენტს. თუ პარლამენტი არ მისცემს თანხმობას, დაკავებული ან დაპატიმრებული პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.**

**72.1. ავტორთა ჯგუფი: ვახტანგ ნაცვლიშვილი, გიორგი ბურჯანაძე, გიორგი დავითური, ვახუშტი მენაბდე და დავით ზედელაშვილი:**

**72.1.1. მუხლი 90 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1. საქართველოს უზენაესი სასამართლო არის საკასაციო სასამართლო. საქართველოს უზენაესი სასამართლოს შედგება 21 წევრისგან.

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს და უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს პარლამენტი 10 წლის ვადით. დაუშვებელია ერთი და იმავე პირის ორი ვადით უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ დანიშვნა.

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს უფლებამოსილება, ორგანიზაცია, საქმიანობის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით. უზენაესი სასამართლოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა დაიშვება მხოლოდ ორგანული კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2/3-ის მიერ. მიღებული გადაწყვეტილება პირმა შეიძლება გაასაჩივროს საკონსტიტუციო სასამართლოში“.

**72.1.2. მუხლი 90 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1. საქართველოს უზენაესი სასამართლო არის საკასაციო სასამართლო. საქართველოს უზენაესი სასამართლოს შედგება 21 წევრისგან.

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს და უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს სენატი 10 წლის ვადით. დაუშვებელია ერთი და იმავე პირის ორი ვადით უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ დანიშვნა.

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს უფლებამოსილება, ორგანიზაცია, საქმიანობის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით. უზენაესი სასამართლოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა დაიშვება მხოლოდ ორგანული კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2/3-ის მიერ. მიღებული გადაწყვეტილება პირმა შეიძლება გაასაჩივროს საკონსტიტუციო სასამართლოში“.

**72.2. არასამთავრობო ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“:**

**90-ე მუხლის მეორე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს და უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს პარლამენტი 10 წლის ვადით“.

**72.3. საქართველოს ახალგაზრდა კონსტიტუციონალისტთა ასოციაცია:**

90-ე მუხლის მეორე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს და უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს პარლამენტი არანაკლებ 10 წლის ვადით“.

**73. მუხლი 91**

**73.1. ავტორთა ჯგუფი: ვახტანგ ნაცვლიშვილი, გიორგი ბურჯანაძე, გიორგი დავითური, ვახუშტი მენაბდე, დავით ზედელაშვილი:**

მეხუთე თავს დაემატოს შემდეგი შინაარსის მუხლი:

1. საქართველოს საკონსტიტუციო და უზენაეს სასამართლოებში შეიძლება დაინიშნოს ან აირჩეს კონსტიტუციით განსაზღვრულ რაოდენობაზე მეტი მოსამართლე.
2. მოსამართლის არჩევის ან დანიშვნის დასაბუთებული მოთხოვნით საქართველოს უზენაესი სასამართლო, ხოლო საკონსტიტუციო სასამართლოს შემთხვევაში - საკონსტიტუციო სასამართლო, მიმართავს უფლებამოსილ კონსტიტუციურ ორგანოს.
3. ასეთი წესით საკონსტიტუციო სასამართლოში მოსამართლეების არჩევისას გათვალისწინებული უნდა იქნას, რომ საქართველოს პრეზიდენტმა, საქართველოს პარლამენტმა და საქართველოს მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანომ თანაბარი რაოდენობის მოსამართლეები აირჩიონ ან დანიშნონ“.

**74. იური ტაბუცაძე:**

საქართველოს კონსტიტუციას დაემატოს თავი მეექვსე და იგი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

თავი მეექვსე

პროკურატურა

**74.1. მუხლი 1.**

1. პროკურატურა დამოუკიდებელი სახელმწიფო ორგანოა, რომელიც კონსტიტუციით, პროკურატურის შესახებ საქართველოს ორგანული კანონითა და საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში და წესით ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში სრული მოცულობით ატარებს დანაშაულის გამოძიებას, სასამართლოში მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას.
2. პროკურატურა შედგება გენერალური პროკურატურის, რეგიონული და რაიონული პროკურატურებისაგან. რეგიონული და რაიონული პროკურატურები იქმნება სააპელაციო და რაიონული სასამართლოების ტერიტორიული დაყოფის შესაბამისად.

3. პროკურატურას ხელმძღვანელობს გენერალური პროკურორი, რომელიც ერთპიროვნულად არის პასუხისმგებელი პროკურატურის საქმიანობაზე.
4. გენერალურ პროკურორს, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ რეკომენდებულ უმაღლესი და სააკველიანო სასამართლოს მოქმედ მოსამართლეთაგან, საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ნიშნავს საქართველოს პარლამენტი 6 წლის ვადით.
5. გენერალურ პროკურორად არ შეიძლება დაინიშნოს პირი, რომელსაც ადრე ეკავა ეს თანამდებობა.
6. რეგიონულ, რაიონულ, აგრეთვე ყველა სხვა ქვემდგომ პროკურორს თანამდებობაზე ნიშნავს გენერალური პროკურორი 6 წლის ვადით.
7. პროკურორი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 28 წლის ასაკიდან, თუ მას აქვს შესაბამისი იურიდიული განათლება და სპეციალობით მუშაობის სულ ცოტა 3 წლის გამოცდილება.
8. პროკურორის თანამდებობა შეუთავსებელია ნებისმიერ სხვა თანამდებობასთან და ანაზღაურებად საქმიანობასთან, გარდა პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობისა. პროკურორი არ შეიძლება იყოს პოლიტიკური პარტიის წევრი, მონაწილეობდეს პოლიტიკურ საქმიანობაში.
9. პროკურორობის კანდიდატთა შერჩევის, დასანიშნად მათი რეკომენდების, აგრეთვე პროკურატურის საქმიანობის ორგანიზაციული სრულყოფის ღონისძიებათა შემუშავების მიზნით გენერალურ პროკურატურაში იქმნება პროკურატურის საბჭო, რომლის რეკომენდაციათა გათვალისწინებით გენერალური პროკურორი, მისთვის ორგანული კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებათა ფარგლებში, გამოსცემს ნორმატიულ და ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებს.
10. პროკურატურის საბჭოს შექმნისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით პროკურატურის შესახებ.

## **74.2. მუხლი 2.**

1. პროკურორი თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კანონს. ზემდგომ პროკურორს უფლება აქვს გააუქმოს ქვემდგომის გადაწყვეტილება მხოლოდ დასაბუთებული დადგენილებით. დავის შემთხვევაში საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს გენერალური პროკურორი.
2. გენერალური პროკურორი ანგარიშვალდებულია მხოლოდ პარლამენტის წინაშე. გენერალური პროკურორის ყოველწლიური ანგარიშის მოსმენის შემდეგ პარლამენტის წევრთა სიითი შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს უფლება აქვს მოითხოვოს თანამდებობიდან მისი გადაყენება. პარლამენტი გადაწყვეტილებას იღებს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.
3. გენერალურ პროკურორს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს პარლამენტის სხდომებში და წარადგინოს საკუთარი მოსაზრებები ისეთ საკითხებზე, რაც უშუალოდ ეხება პროკურატურის საქმიანობას.



4. გენერალური პროკურორი უფლებამოსილია გამოსცეს ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი ქვემდგომ პროკურორთა თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ. პროკურორის თანამდებობიდან გათავისუფლების (უფლებამოსილების შეწყვეტის) საფუძვლები განისაზღვრება ორგანული კანონით პროკურატურის შესახებ.
5. დაუშვებელია პროკურორის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაკავება ან დაპატიმრება, მისი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი გაჩხრეკა გენერალური პროკურორის თანხმობის გარეშე. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს გენერალურ პროკურორს. თუ იგი არ მისცემს თანხმობას, დაკავებული ან დაპატიმრებული პროკურორი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.
6. სახელმწიფო უზრუნველყოფს პროკურორისა და მისი ოჯახის უსაფრთხოებას. პროკურორისათვის გარანტირებულია თანამდებობრივი ღირსებისა და ვალდებულებებისათვის ადეკვატური შრომის პირობები, ანაზღაურება და სოციალური გარანტიები“

## თავი მეექვსე

### სახელმწიფო ფინანსები და კონტროლი

#### 75. მუხლი 92

##### მოკმედი რედაქცია:

1. საქართველოს პარლამენტი სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ყოველწლიურად იღებს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონს, რომელსაც ხელს აწერს საქართველოს პრეზიდენტი.
2. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენისა და მიღების წესი განისაზღვრება კანონით.

##### 75.1. პროფ. მათიას მერინგი:

92-ე მუხლის, პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი წინადადება:

„ბიუჯეტის შესახებ კანონის შედგენისა და შესრულებისას გათვალისწინებულია ეკონომიურობისა და ეფექტიანობის პრინციპები.“

##### 75.2. ვახტანგ ხმალაძე:

1. საქართველოს პარლამენტი სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ყოველწლიურად იღებს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონს, რომელშიც აისახება სახელმწიფოს ყოველგვარი შემოსავალი და გასავალი, აგრეთვე მათი ბალანსი.
2. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენისა და მიღების წესი განისაზღვრება კონსტიტუციითა და კანონით.

## 76. მუხლი 93

### მოქმედი რედაქცია:

2. მთავრობა მომავალი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს პარლამენტს წარუდგენს საბიუჯეტო წლის დასრულებამდე არა უგვიანეს სამი თვისა. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტთან ერთად მთავრობა წარადგენს მოხსენებას მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს მთავრობა პარლამენტს დასამტკიცებლად წარუდგენს საბიუჯეტო წლის დასრულებიდან არა უგვიანეს 5 თვისა.
3. მთავრობის თანხმობის გარეშე დაუშვებელია სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში ცვლილების შეტანა. მთავრობას შეუძლია მოსთხოვოს პარლამენტს დამატებითი სახელმწიფო ხარჯის გაღება, თუ მიუთითებს მისი დაფარვის წყაროს.
5. კანონპროექტი, რომელიც იწვევს მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების ზრდას, შემოსავლების შემცირებას ან სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას, პარლამენტმა შეიძლება მიიღოს მხოლოდ მთავრობის თანხმობის შემდეგ, ხოლო მომავალ საფინანსო წელთან დაკავშირებული კანონპროექტი – მთავრობის თანხმობით ან მთავრობის მიერ პარლამენტში წარდგენილი ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის ფარგლებში.
6. საჯარო სახსრების ხარჯვას პარლამენტი აკონტროლებს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მეშვეობით.

### 76.1. პროფ. მათიას მერინგი:

#### 76.1.1. 93-ე მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი წინადადებები:

“პარლამენტი იღებს გადაწყვეტილებას მთავრობის საქმიანობის მოწონების შესახებ. თუ პარლამენტი არ იწონებს მთავრობის საქმიანობას, მას შეუძლია განახორციელოს კონსტიტუციის 81-ე მუხლით დადგენილი პროცედურები.”

#### 76.1.2. 93-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„3. „საბიუჯეტო უფლებამოსილების ფარგლებში პარლამენტი უფლებამოსილია განახორციელოს ბიუჯეტის პროექტის ცვლილებები და მოუსმინოს მთავრობას.”

#### 76.1.3. 93-ე მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„დაუშვებელია სახელმწიფო ბიუჯეტის დაბალანსება კრედიტებით მიღებული შემოსავლებით. დეტალები რეგულირდება 92-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად მიღებული კანონით.“

#### 76.1.4. 93-ე მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

“პარლამენტი მისი საყოველთაო უფლებებისა და მოვალეობების ფარგლებში ზედამხედველობს მთავრობის მიერ ბიუჯეტის შესრულებას და საჯარო სახსრების გამოყენებას. ამისათვის პარლამენტს შეუძლია გამოიყენოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტის შედეგები, რომლებიც მოპოვებულია მის მიერ კანონმდებლობით დადგენილი ამოცანების

განხორციელებისას. პარლამენტისა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის თანამშრომლობა მათივე დამოუკიდებლობის დაცვით დაფუძნებულია ნდობაზე.“

## **77. მუხლი 94**

### **77.1. ვახტანგ ხმაღამე:**

1. სავალდებულოა გადასახადებისა და მოსაკრებლების გადახდა კანონით დადგენილი ოდენობითა და წესით.
2. გადასახადებისა და მოსაკრებლების სტრუქტურასა და შემოღების წესს ადგენს მხოლოდ კანონი.
3. გადასახადისა და მოსაკრებლის დაწესება, აგრეთვე მათი განაკვეთების ან განაკვეთის ფარგლების დადგენა შეიძლება მხოლოდ კანონით.
4. ახალი გადასახადის ან მოსაკრებლის შემოღება, აგრეთვე მათი განაკვეთების გაზრდა კანონიერ ძალაში შედის მხოლოდ მომდევნო საბიუჯეტო წლის დაწყების შემდეგ, მაგრამ არაუადრეს მათი შემოღებიდან 3 თვისა.
5. გადასახადისაგან განთავისუფლება შეიძლება მხოლოდ კანონით“.

## **78. მუხლი 97**

### **მოქმედი რედაქცია:**

1. საჯარო სახსრებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა გამოყენებასა და ხარჯვას ზედამხედველობს სახელმწიფო აუდიტის სამსახური. იგი უფლებამოსილია აგრეთვე შეამოწმოს საფინანსო-სამეურნეო კონტროლის სხვა სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობა, წარუდგინოს პარლამენტს საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფის წინადადებები.
2. სახელმწიფო აუდიტის სამსახური დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში. იგი ანგარიშვალდებულია საქართველოს პარლამენტის წინაშე. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალურ აუდიტორს 5 წლის ვადით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, პარლამენტის თავმჯდომარის წარდგინებით ირჩევს საქართველოს პარლამენტი. მისი თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძვლები და წესი განისაზღვრება კონსტიტუციითა და კანონით.
3. წელიწადში ორჯერ, ბიუჯეტის შესრულების წინასწარი ანგარიშისა და სრული ანგარიშის წარდგენის დროს, სახელმწიფო აუდიტის სამსახური პარლამენტს წარუდგენს მოხსენებას მთავრობის ანგარიშთან დაკავშირებით, ხოლო წელიწადში ერთხელ – თავისი საქმიანობის ანგარიშს.
4. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის უფლებამოსილება, ორგანიზაცია და საქმიანობის წესი, დამოუკიდებლობის გარანტია განისაზღვრება კანონით.
5. სახელმწიფო კონტროლის სხვა ორგანოები იქმნება კანონის შესაბამისად.

### **78.1. პროფ. მათიას მერინგი:**

**78.1.1. 97-ე მუხლის 1-ლი პუნქტის 1-ლი წინადადება ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:**  
„სახელმწიფო აუდიტის სამსახური ამოწმებს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებს, გადასახდელებს, ასიგნებებს, ქონებასა და ვალებს“.

78.1.2. 97-ე მუხლის 1-ელ პუნქტს დაემატოს შემდეგი წინადადებები:

„თუ სახელმწიფო აუდიტის სამსახურს მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებისას აუდიტის ობიექტის მხრიდან ხელი ეშლება, იგი უფლებამოსილია მიმართოს უზენაეს სასამართლოს. თუ სახელმწიფო აუდიტის სამსახური კონსტიტუციით დადგენილ დამოუკიდებლობას შეზღუდულად მიიჩნევს, კონსტიტუციის 89-ე მუხლის შესაბამისად იგი უფლებამოსილია სარჩელით მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს. აღნიშნული ვრცელდება ნორმატიულ აქტზე, რომელიც არღვევს მის დამოუკიდებლობას.“

78.1.3. 97-ე მუხლის მე-2 პუნქტის მე-3 წინადადება ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალურ აუდიტორს 10 წლის ვადით პარლამენტის თავმჯდომარის წარდგინებით ირჩევს საქართველოს პარლამენტი. მისი ხელახალი არჩევა დაუშვებელია.“

78.1.4. 97-ე მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„სახელმწიფო აუდიტის სამსახურის უფლებამოსილებები, ორგანიზაცია, ფუნქციები და დამოუკიდებლობის გარანტიები განისაზღვრება ორგანული კანონით.“

**78.2. სახელმწიფო აუდიტის სამსახური:**

97-ე მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„4. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის უფლებამოსილება, ორგანიზაცია და საქმიანობის წესი, დამოუკიდებლობის გარანტია განისაზღვრება ორგანული კანონით.“

**78.3. ვახტანგ ხმაღამე:**

მუხლი 97 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საჯარო სახსრებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა გამოყენებისა და ხარჯვის კანონიერებასა და მიზანშეწონილობას ზედამხედველობს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახური. იგი უფლებამოსილია აგრეთვე შეამოწმოს საგადასახადო და საფინანსო-სამეურნეო კონტროლის სხვა სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობა, პარლამენტს წარუდგინოს საგადასახადო და სახელმწიფო კონტროლის საკითხთა მომწესრიგებელი კანონმდებლობის სრულყოფის წინადადებები.

2. სახელმწიფო აუდიტის სამსახური დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში. იგი ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე.

3. სახელმწიფო აუდიტის სამსახურს ხელმძღვანელობს სახელმწიფო აუდიტის პალატა, რომელიც შედგება პალატის თავმჯდომარის – საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორისა და პალატის 4 წევრის \_ მთავარი აუდიტორისაგან, რომელთაგან ერთ-ერთს პალატის თავმჯდომარე აკისრებს თავისი მოადგილის მოვალეობას.

4. გენერალურ აუდიტორსა და მთავარ აუდიტორებს პარლამენტის თავმჯდომარის წარდგინებით, მათ შორის, 2 მთავარ აუდიტორს \_ საპარლამენტო ოპოზიციის თანხმობით, 5 წლის ვადით სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს პარლამენტი. გენერალური

აუდიტორი და მთავარი აუდიტორი თანამდებობიდან შეიძლება განთავისუფლდეს კონსტიტუციის 64-ე მუხლით განსაზღვრული საფუძვლით და წესით. გენერალურ აუდიტორსა და მთავარ აუდიტორებზე ვრცელდება კონსტიტუციის 52-ე მუხლის მე-2 პუნქტის დებულებები.

5. წელიწადში ორჯერ, ბიუჯეტის შესრულების წინასწარი ანგარიშისა და სრული ანგარიშის წარდგენის დროს, სახელმწიფო აუდიტის სამსახური პარლამენტს წარუდგენს მოხსენებას მთავრობის ანგარიშთან დაკავშირებით, ხოლო წელიწადში ერთხელ – თავისი საქმიანობის ანგარიშს.

6. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის უფლებამოსილება, ორგანიზაცია და საქმიანობის წესი, დამოუკიდებლობის გარანტია განისაზღვრება ორგანული კანონით.

7. სახელმწიფო კონტროლის სხვა ორგანოები იქმნება კანონის შესაბამისად“.

## თავი მეშვიდე

### სახელმწიფოს თავდაცვა

## **79. მუხლი 98**

### მოქმედი რედაქცია:

1. თავდაცვითი ომი საქართველოს სუვერენული უფლებაა.

2. ქვეყნის დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად, აგრეთვე საერთაშორისო ვალდებულებათა შესასრულებლად საქართველოს ჰყავს სამხედრო ძალები.

3. სამხედრო ძალების სახეობები და შემადგენლობა განისაზღვრება კანონით. სამხედრო ძალების სტრუქტურას ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი, რაოდენობას კი ეროვნული უშიშროების საბჭოს წარდგინებით – პარლამენტი სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

### **79.1. ვახტანგ ხმაღამე:**

98-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. სამხედრო ძალების სახეობები და შემადგენლობა განისაზღვრება კანონით. სამხედრო ძალების სტრუქტურას სამხედრო ძალების გენერალური შტაბის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი, ხოლო რაოდენობას ეროვნული თავდაცვის საბჭოს წარდგინებით – პარლამენტი სიითი შემადგენლობის უმრავლესობით“.

## **80. მუხლი 99**

### მოქმედი რედაქცია:

1. სამხედრო აღმშენებლობისა და ქვეყნის თავდაცვის ორგანიზაციისათვის იქმნება ეროვნული უშიშროების საბჭო, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს პრეზიდენტი.

2. ეროვნული უშიშროების საბჭოს შემადგენლობა, უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით.

### **80.1. სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის აპარატი:**

99-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

- „1. ეროვნული უშიშროების საკონსულტაციო საბჭოს ხელმძღვანელობს საქართველოს პრეზიდენტი და იგი შედგება პრემიერ-მინისტრის, თავდაცვის მინისტრის, შინაგან საქმეთა მინისტრის, საგარეო საქმეთა მინისტრის, ფინანსთა მინისტრის, პარლამენტის თავმჯდომარისა და ეროვნული უშიშროების საკითხებში საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწის - ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნისაგან.
2. ეროვნული უშიშროების საბჭოსათვის განკუთვნილი საბიუჯეტო სახსრების შემცირება შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტის წინასწარი თანხმობით.
3. ეროვნული უშიშროების საბჭოს საქმიანობის წესს, სხვა ფუნქციებსა და უფლებამოსილებებს განსაზღვრავს ორგანული კანონი“.

## **80.2. ვახტანგ ხმაღაძე:**

- ”1. სამხედრო აღმშენებლობისა და ქვეყნის თავდაცვის ორგანიზაციისათვის იქმნება ეროვნული თავდაცვის საბჭო, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს პრეზიდენტი.
2. ეროვნული თავდაცვის საბჭოს შემადგენლობა, უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით. ეროვნული თავდაცვის საბჭოს შემადგენლობაში სავალდებულო წესით შედიან საქართველოს პრეზიდენტი, პარლამენტის თავმჯდომარე, პრემიერ-მინისტრი, თავდაცვის მინისტრი, სამხედრო ძალების გენერალური შტაბის უფროსი, ხოლო საომარი მდგომარეობისას \_ აგრეთვე მთავარსარდალი, რომელსაც საომარი მდგომარეობის გამოცხადების შემთხვევაში ეროვნული თავდაცვის საბჭოს რჩევითა და თანხმობით ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი.

## **81. მუხლი 100**

### **მოქმედი რედაქცია:**

1. სამხედრო ძალების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პრეზიდენტი და 48 საათის განმავლობაში შეაქვს იგი პარლამენტში დასამტკიცებლად. ამასთან, საერთაშორისო ვალდებულებათა შესასრულებლად სამხედრო ძალთა გამოყენება დაუშვებელია საქართველოს პარლამენტის თანხმობის გარეშე.
2. სახელმწიფოს თავდაცვის მიზნით განსაკუთრებულ და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ქვეყანაში სხვა სახელმწიფოს სამხედრო ძალის შემოყვანის, გამოყენებისა და გადაადგილების გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პრეზიდენტი. გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ წარედგინება პარლამენტს დასამტკიცებლად და ძალაში შედის პარლამენტის თანხმობის შემდეგ.

### **81.1. ვახტანგ ხმაღაძე:**

- „1. მშვიდობიანობის დროს პარლამენტის თანხმობის გარეშე არ შეიძლება სამხედრო ძალების გამოყენება კონსტიტუციის 98-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული დანიშნულებისაგან განსხვავებული მიზნით. გამონაკლისია სტიქიური მოვლენები, როდესაც გარდაუვალი საფრთხე



ექმნება ადამიანების სიცოცხლეს ან/და ქონებას. ასეთ შემთხვევაში თავდაცვის მინისტრი უფლებამოსილია საფრთხის თავიდან ასაცილებლად მიიღოს სამხედრო ძალების ცალკეული ნაწილების გამოყენების გადაწყვეტილება. ეს გადაწყვეტილება 24 საათის განმავლობაში წარედგინება საქართველოს პრეზიდენტს დასამტკიცებლად.

2. საერთაშორისო ვალდებულებათა შესასრულებლად სამხედრო ძალთა გამოყენება დაუშვებელია საქართველოს პარლამენტის თანხმობის გარეშე.

3. საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია საგანგებო მდგომარეობის დროს მთავრობის წინადადებით მიიღოს გადაწყვეტილება სამხედრო ძალების გამოყენების შესახებ. ეს გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ წარედგინება პარლამენტს დასამტკიცებლად და თუ წარდგენიდან 48 საათში პარლამენტმა ის არ დაამტკიცა, გადაწყვეტილება ძალადაკარგულად ითვლება.

4. საქართველოზე თავდასხმის შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტი დაუყოვნებლივ აცხადებს საომარ მდგომარეობას და უფლებამოსილია დაიწყოს სამხედრო ძალების გამოყენება. საქართველოს პრეზიდენტი ამ გადაწყვეტილებებს დაუყოვნებლივ წარუდგენს პარლამენტს დასამტკიცებლად.

5. სახელმწიფოს თავდაცვის მიზნით, განსაკუთრებულ და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ქვეყანაში სხვა სახელმწიფოს სამხედრო ძალის შემოყვანის, გადაადგილებისა და გამოყენების გადაწყვეტილებას მთავრობის წინადადებით იღებს საქართველოს პრეზიდენტი. გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ წარედგინება პარლამენტს დასამტკიცებლად და ძალაში შედის მისი დამტკიცების შემდეგ. პარლამენტი ვალდებულია გადაწყვეტილების დამტკიცებას კენჭი უყაროს წარდგენიდან 48 საათში. თუ ამ ვადაში კენჭისყრა არ შედგა, გადაწყვეტილება დამტკიცებულად ითვლება“.

## 82. მუხლი 101

### მოქმედი რედაქცია:

1. საქართველოს დაცვა საქართველოს ყოველი მოქალაქის მოვალეობაა.

2. ქვეყნის დაცვა და სამხედრო ვალდებულების მოხდა საამისო უნარის მქონე ყველა მოქალაქის ვალია. სამხედრო ვალდებულების მოხდის ფორმას ადგენს კანონი.

### **82.1. ვახტანგ ხმაღამე:**

1. საქართველოს დაცვა საქართველოს ყოველი მოქალაქის უფლება და მოვალეობაა.

2. ქვეყნის დაცვა და სამხედრო ვალდებულების მოხდა საამისო უნარის მქონე ყველა მოქალაქის ვალია. სამხედრო ვალდებულების ან მისი ალტერნატიული სამსახურის მოხდის ფორმას, აგრეთვე ამ ვალდებულებისაგან განთავისუფლების წესს ადგენს კანონი“.

### თავი მეშვიდე<sup>1</sup>

ადგილობრივი თვითმმართველობა

**83. ავტორთა ჯგუფი: ვახტანგ ნაცვლიშვილი, ვახუშტი მენაბდე, ბესარიონ ლოლაძე, დავით ლოსაბერიძე, კოკა კილურაძე და კოტე ჩოკორაია:**

**83.1. მუხლი 101<sup>1</sup>**

„1. თვითმმართველი ერთეული, როგორც საჯარო სამართლის ტერიტორიული გაერთიანება, კანონის ფარგლებში, სახელმწიფო სუვერენიტეტის შეულახავად, ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად, დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით აწესრიგებს და მართავს ადგილობრივი მნიშვნელობის ყველა საკითხს.

2. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები ხელს უწყობენ ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებას“.

**83.2. მუხლი 101<sup>2</sup>**

„1. სახელმწიფო ხელისუფლებისა და თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილებანი გამიჯნულია. თვითმმართველ ერთეულსა და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნა ეფუძნება სუბსიდიარობის პრინციპს.

2. თვითმმართველ ერთეულს აქვს საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებები. საკუთარი უფლებამოსილებანი, როგორც წესი, სრული და ექსკლუზიურია.

3. თვითმმართველი ერთეული უფლებამოსილია თავისი ინიციატივით გადაწყვიტოს ნებისმიერი საკითხი, რომელიც არ განეკუთვნება სახელმწიფო ხელისუფლების სხვა ორგანოს უფლებამოსილებას და აკრძალული არ არის კანონით.

4. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მიერ თვითმმართველი ერთეულისთვის უფლებამოსილებათა დელეგირება დასაშვებია საკანონმდებლო აქტის, აგრეთვე ხელშეკრულების საფუძველზე, მხოლოდ შესაბამისი და საკმარისი ფინანსური და სხვა სახის რესურსების გადაცემით“.

**83.3. მუხლი 101<sup>3</sup>**

„1. თვითმმართველი ერთეული დამოუკიდებლად განსაზღვრავს საკუთარ ორგანიზაციულ და საკადრო საკითხებს.

2. თვითმმართველ ერთეულს აქვს საკუთარი ქონება და ფინანსები. თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე არსებული ქონება, რომელიც არ არის რეგისტრირებული სახელმწიფო საკუთრებად და არ წარმოადგენს სხვა პირთა ქონებას, განეკუთვნება თვითმმართველი ერთეულის საკუთრებას.

3. თვითმმართველი ერთეულისთვის გარანტირებულია საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებისთვის საჭირო ფინანსური და მატერიალური წყაროების არსებობა.

4. თვითმმართველი ერთეულის სამართლებრივი აქტების შესრულება სავალდებულოა მის ტერიტორიაზე.

5. თვითმმართველ ერთეულს საკუთარი მიზნების შესასრულებლად უფლება აქვს, ითანამშრომლოს სხვა თვითმმართველ ერთეულებთან და/ან გაწევრიანდეს ადგილობრივ თვითმმართველობათა გაერთიანებებში“.



#### **83.4. მუხლი 101<sup>4</sup>**

- „1. თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები არჩევითია. ალტერნატივა: თვითმმართველი ერთეულის ხელმძღვანელი არჩევითია.
2. თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობით ორგანოს – საკრებულოს ირჩევენ თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეები პირდაპირი, საყოველთაო, თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით.
3. თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანო ანგარიშვალდებულია თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანოსა და მოსახლეობის წინაშე.
4. თვითმმართველი ერთეულის არჩევითი ორგანოსთვის მიმდინარე უფლებამოსილების ვადის ზოგადი ხასიათის შეწყვეტა, შემცირება ან გაზრდა დაუშვებელია“.

#### **83.5. მუხლი 101<sup>5</sup>**

- „1. თვითმმართველი ერთეულის საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობა ხორციელდება კანონით დადგენილი წესით.
2. სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელების მიზანია თვითმმართველი ერთეულის ნორმატიული აქტების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა და დელეგირებული უფლებამოსილებების ჯეროვანი განხორციელება. სახელმწიფო ზედამხედველობა ხორციელდება ამ მიზნის პროპორციულად“.

#### **83.6. მუხლი 101<sup>6</sup>**

- „1. თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილებათა განსაზღვრის ძირითადი პრინციპები, უფლებამოსილებები, შექმნისა და გაუქმების, ადმინისტრაციული საზღვრების გადასინჯვის, წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების შექმნისა და საქმიანობის, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა უშუალო და ეფექტური მონაწილეობის, საფინანსო-ქონებრივი დამოუკიდებლობის, გადასაცემი ქონებისა და ფინანსური რესურსების ოდენობის გაანგარიშების, სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელებისა და თვითმმართველობების საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა არსებითი საკითხები განისაზღვრება ორგანული კანონით.
2. უმაღლესი სახელმწიფო ორგანოების მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხების გადაწყვეტას წინ უნდა უძღოდეს თვითმმართველ ერთეულებთან კონსულტაცია“.

#### **84. მუხლი 101<sup>1</sup>**

##### **84.1. თამაზ კრავეიშვილი:**

101<sup>1</sup> მუხლს დაემატოს მე-4 პუნქტი:

„ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოში - საკრებულოში გენდერული თანასწორობა, საკრებულოს წევრის არჩევის წესი, აგრეთვე არჩევნებში კანდიდატად მონაწილეობის დაუშვებლობა განისაზღვრება ორგანული კანონით.“

თავი მერვე

კონსტიტუციის გადასინჯვა

## 85. 102-103 მუხლები

მოქმედი რედაქცია:

### მუხლი 102

1. კონსტიტუციის ზოგადი ან ნაწილობრივი გადასინჯვის კანონპროექტის შეტანის უფლება აქვთ:

ა) (ამოღებულია - 15.10.2010, N3710)

ბ) პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტს;

გ) არანაკლებ 200000 ამომრჩეველს.

2. კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტი წარედგინება საქართველოს პარლამენტს, რომელიც აქვეყნებს მას საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის. პარლამენტში კანონპროექტის განხილვა იწყება მისი გამოქვეყნებიდან 1 თვის შემდეგ.

3. კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას საქართველოს პარლამენტის ორ თანმიმდევრულ სესიაზე სულ ცოტა სამი თვის ინტერვალით მხარს დაუჭირს საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ სამი მეოთხედი.

4. კონსტიტუციის 68-ე მუხლით გათვალისწინებული წესით კონსტიტუციის გადასინჯვის კანონს ხელს აწერს და აქვეყნებს საქართველოს პრეზიდენტი.

### მუხლი 103

საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადება გამოიწვევს კონსტიტუციის გადასინჯვის შეჩერებას საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გაუქმებამდე.

85.1. ავტორთა ჯგუფი: ვახტანგ ნაცვლიშვილი, გიორგი ბურჯანაძე, გიორგი დავითური, ვახუშტი მენაბდე და დავით ზედელაშვილი:

საქართველოს კონსტიტუციის მერვე თავი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

#### 85.1.1. მუხლი 102

1. კონსტიტუციის გადასინჯვის ინიციატივის უფლება აქვთ:

ა. არანაკლებ 200 000 ამომრჩეველს;

ბ. საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტს.

გ. ავტონომიური ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანოს სრული შემადგენლობის ორ მესამედს;

2. კონსტიტუციის გადასინჯვა ხდება კონსტიტუციური კანონით. კონსტიტუციური კანონი არის კონსტიტუციის განუყოფელი ნაწილი.

### 85.1.2. მუხლი 102<sup>1</sup>

1. კონსტიტუციის გადასინჯვის შესახებ კონსტიტუციური კანონის პროექტი წარედგინება საქართველოს პარლამენტს, რომელიც აქვეყნებს მას საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის. პარლამენტში კანონის პროექტის განხილვა იწყება მისი გამოქვეყნებიდან სამი თვის შემდეგ.
2. დაუშვებელია კონსტიტუციური კანონის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვისთვის გამოქვეყნება თუ პარლამენტის უფლებამოსილების ამოწურვამდე დარჩენილია 6 თვეზე ნაკლები.
3. საყოველთაო-სახალხო განხილვის შემდეგ კანონპროექტის არსებითი შინაარსობრივი ცვლილების შემთხვევაში, პრეზიდენტის, პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის ერთი მეხუთედის, ავტონომიური ერთეულის ან სახალხო დამცველის მოთხოვნით, კანონის პროექტი ან/და მისი შესაბამისი ნაწილი უნდა გამოქვეყნდეს ხელახალი საყოველთაო-სახალხო განხილვისთვის.
4. კონსტიტუციური კანონის პროექტის ხელახალი საყოველთაო-სახალხო განხილვის ვადა პარლამენტის მოტივირებული გადაწყვეტილებით შეიძლება შემცირდეს 30 დღემდე.
5. საყოველთაო-სახალხო განხილვის პროცედურას განსაზღვრავს ორგანული კანონი.

### 85.1.3. მუხლი 102<sup>2</sup>

1. კონსტიტუციის გადასინჯვის შესახებ კონსტიტუციური კანონის პროექტს იღებს პარლამენტი სრული შემადგენლობის ორი მესამედით.
2. კონსტიტუციის გადასინჯვის პროცედურა დასრულებულად ითვლება თუ ამ მუხლის პირველი პუნქტით მიღებულ კონსტიტუციური კანონის პროექტს, რომელზეც არსებობს 102<sup>3</sup>-ე მუხლით გათვალისწინებული საკონსტიტუციო სასამართლოს დადებითი დასკვნა, დაადასტურებს მომდევნო მოწვევის პარლამენტის სრული შემადგენლობის ორი მესამედის უმრავლესობა ერთი მოსმენით.
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული კენჭისყრა ტარდება პარლამენტის უფლებამოსილების ცნობიდან 12 თვის შემდეგ.
4. მიღებულ კონსტიტუციური კანონის პროექტს ხელს აწერს და აქვეყნებს პრეზიდენტი.

### 85.1.4. მუხლი 102<sup>3</sup>

1. 102<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პროცედურის დასრულების შემდგომ კონსტიტუციური კანონის პროექტი დაუყოვნებლივ ეგზავნება საკონსტიტუციო სასამართლოს.
2. საკონსტიტუციო სასამართლო ამზადებს დასკვნას კონსტიტუციური კანონის პროექტის შესაბამისობაზე 102<sup>4</sup>-ე მუხლთან, კონსტიტუციით აღიარებულ ადამიანის უფლებებთან და სასამართლოს დამოუკიდებლობის გარანტიებთან მიმართებით.
3. თუ საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კონსტიტუციური კანონის პროექტი არ შეესაბამება 102<sup>4</sup>-ე მუხლს, კონსტიტუციით განმტკიცებულ სასამართლოს დამოუკიდებლობის გარანტიებს ან/და იგი აუარსებს ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტს, საკონსტიტუციო სასამართლო ამზადებს უარყოფით დასკვნას.
5. კონსტიტუციის გადასინჯვის პროცედურა შეწყვეტილად ითვლება საკონსტიტუციო სასამართლოს უარყოფითი დასკვნის გამოცხადების მომენტიდან.

### 85.1.5. მუხლი 102<sup>4</sup>

1. დაუშვებელია საქართველოს კონსტიტუციის პირველი მუხლის პირველ და მე-2 პუნქტში,<sup>1</sup> მე-5,<sup>2</sup> მე-6 მუხლის პირველი პუნქტში,<sup>3</sup> აგრეთვე მე-7,<sup>4</sup> მე-14,<sup>5</sup> მე-16<sup>6</sup> და მე-17<sup>7</sup> (ღირსება) მუხლებში განმტკიცებული კონსტიტუციური ნორმა-პრინციპების გადასინჯვა.
2. საკონსტიტუციო სასამართლო ამოწმებს კონსტიტუციური კანონის პროექტის შესაბამისობას ამ მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილ კონსტიტუციის ძირითად პრინციპებთან.
3. ამ მუხლის გადასინჯვა დაუშვებელია.

### 85.1.6. მუხლი 103

საომარი ან ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება იწვევს კონსტიტუციის გადასინჯვის პროცესის შეჩერებას ამ მუხლით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობამდე“.

## 85.2. ზურაბ ჯიბლაშვილი:

### საქართველოს კონსტიტუციის მერვე თავი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

#### 85.2.1. მუხლი 102

კონსტიტუციის გადასინჯვის წესი განისაზღვრება კონსტიტუციითა და ორგანული კანონით.

2. კონსტიტუციის გადასინჯვის კანონის პროექტის შეტანის უფლება აქვთ:

ა ) პარლამენტის წევრთა სიითი შემადგენლობის ერთ მესამედს;

ბ ) არანაკლებ 200 000 ამომრჩეველს.

2. კონსტიტუციის გადასინჯვის კანონის პროექტი პარლამენტს წარედგინება, თუ მისი უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე დარჩენილია 6 თვეზე მეტი და თუ პარლამენტი დათხოვნილი არ არის პრეზიდენტის მიერ.

3. ინიციატივის რეგისტრაციაზე უარის თქმა შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

4. საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადება იწვევს კონსტიტუციის გადასინჯვის შეჩერებას საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გაუქმებამდე.

#### 85.2.2. მუხლი 102<sup>1</sup>

1. პარლამენტი საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვის კანონის პროექტს გადასცემს საკონსტიტუციო სასამართლოს, რომელიც ადგენს კონსტიტუციის გადასინჯვის პროცესის დაწყების შესაბამისობას საქართველოს კონსტიტუციასთან. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ინიციატივის განხორციელების პროცესის არაკონსტიტუციურობის დადგენის შემთხვევაში, პროცესი წყდება.

<sup>1</sup> სახელმწიფოს დამოუკიდებლობა. სახელმწიფო წყობა, როგორც დემოკრატიული რესპუბლიკა

<sup>2</sup> ხალხი, როგორც ხელისუფლების წყარო და ხელისუფლების დანაწილების პრინციპი

<sup>3</sup> კონსტიტუციის უზენაესობის პრინციპი

<sup>4</sup> ძირითადი უფლებების აღიარება სახელმწიფოს მიერ

<sup>5</sup> თანასწორობა

<sup>6</sup> პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება

<sup>7</sup> ღირსების უფლება

2. პარლამენტი საკანონმდებლო ინიციატივის წესით საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვის კანონის პროექტის წარდგენიდან არა უგვიანეს მე-5 დღისა, ქმნის სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიას, რომელსაც განსახილველად და საყოველთაო - სახალხო განხილვის უზრუნველსაყოფად გადასცემს კანონის პროექტს.
3. სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის შემადგენლობაში თანაბრად უნდა იქნენ წარმოდგენილი ის პარტიები, რომლებმაც პარლამენტის ბოლო არჩევნების შედეგების მიხედვით მოიპოვეს მანდატი. კომისიის შემადგენლობაში შეიყვანებიან სამართლის შესაბამისი დარგების სპეციალისტები და საზოგადოების წარმომადგენლები.
4. სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია, კონსტიტუციის გადასინჯვის შესახებ კონსტიტუციური კანონის პროექტს დაუყოვნებლივ აქვეყნებს საყოველთაო სახალხო განხილვისათვის პარლამენტის მიერ განსაზღვრული ვადით, რომელიც არ უნდა იყოს ერთ თვეზე ნაკლები.
5. კომისია, საჯარო განხილვისას გამოთქმული შენიშვნების საფუძველზე ამზადებს დასკვნას და წარუდგენს პარლამენტს, რომელიც ქვეყნდება საჯაროდ.

### **85.2.3. მუხლი 103**

1. საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვის კანონის პროექტი პარლამენტის პლენარულ სხდომაზე პირველი მოსმენით განიხილება და კენჭი ეყრება დასკვნის წარდგენიდან არაუადრეს მე-10 და არაუგვიანეს 30-ე დღისა, მეორე მოსმენისათვის \_ პირველი მოსმენით კენჭისყრიდან არაუადრეს მე-20 და არაუგვიანეს 30-ე დღისა, ხოლო მესამე მოსმენისათვის \_ მეორე მოსმენიდან არაუადრეს სამი და არაუგვიანეს ოთხი თვისა.
2. საქართველოს პარლამენტი უფლებამოსილია საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვის კანონის პროექტი მიიღოს კანონის მიღებისათვის რეგლამენტით დადგენილი წესით, პარლამენტის სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობით. ამის შემდეგ, შეიძლება:
  - ა) საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვის კანონის პროექტი საბოლოო რედაქციით მიიღოს მომდევნო მოწვევის პარლამენტმა სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობით, უფლებამოსილების ცნობიდან არა უადრეს მე-60 დღისა;
  - ბ) პარლამენტის სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობით, საბოლოო რედაქციის მიღებით, კანონის ამოქმედების ვადად განისაზღვროს დრო, რომელიც წინ უსწრებს პარლამენტის უახლოეს მორიგ არჩევნებს. ასეთ შემთხვევაში პარლამენტი დაითხოვება;
  - გ) პარლამენტის სრული შემადგენლობის 3/4-ის უმრავლესობით საბოლოო რედაქციის მიღებით, კანონის ამოქმედების ვადად განისაზღვროს დრო, რომელიც წინ უსწრებს პარლამენტის უახლოეს მორიგ არჩევნებს.
3. კონსტიტუციის გადასინჯვის კანონით მიღებული ნორმის შემცვლელი ან უარყოფილი კანონის პროექტი შეიძლება განხილული იქნეს მისი მიღებიდან ან უარყოფიდან არაუადრეს ერთი წლისა.
4. კონსტიტუციის გადასინჯვის კანონი, მიღებიდან არაუგვიანეს შვიდი დღისა, გადაეცემა საკონსტიტუციო სასამართლოს, რომელიც განიხილავს და ადგენს კონსტიტუციის გადასინჯვის პროცედურის შესაბამისობას საქართველოს კონსტიტუციასთან. თუ სასამართლო დაადგენს მის არაკონსტიტუციურობას, მიღებული კანონი ბათილია.

5. კონსტიტუციის 102-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით საბოლოო რედაქციით მიღებისას, 68-ე მუხლით დადგენილი წესით კონსტიტუციის გადასინჯვის კანონს ხელს აწერს და აქვეყნებს საქართველოს პრეზიდენტი.

#### **85.2.4. გარდამავალი დებულებები**

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სტატუსის განსაზღვრასთან დაკავშირებით განსახორციელებელი საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვის წესი განისაზღვრება სპეციალური კონსტიტუციური კანონით“.

**85.3. ავტორთა ჯგუფი: ვახტანგ ნაცვლიშვილი, გიორგი ბურჯანაძე, გიორგი დავითური, ვახუშტი მენაბდე, დავით ზედელაშვილი და ზურაბ ჯიბლაშვილი:**  
**საქართველოს კონსტიტუციის მერვე თავი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

#### **85.3.1. მუხლი 102**

1. კონსტიტუციის გადასინჯვა ხდება კონსტიტუციური კანონით. კონსტიტუციის გადასინჯვის წესი განისაზღვრება კონსტიტუციით, ხოლო საყოველთაო განხილვის წესი ორგანული კანონით.
2. კონსტიტუციის გადასინჯვის შესახებ კონსტიტუციური კანონის პროექტის შეტანის უფლება აქვთ:
  - ა) პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის ერთ მესამედს;
  - ბ) არანაკლებ 200 000 ამომრჩეველს.
3. კონსტიტუციის გადასინჯვის შესახებ კონსტიტუციური კანონის პროექტი არ შეიძლება პარლამენტისათვის წარედგენილი იქნეს თუ მისი უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე დარჩენილია 6 თვეზე ნაკლები, ან თუ პარლამენტი დათხოვნილია პრეზიდენტის მიერ.
4. საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადება იწვევს კონსტიტუციის გადასინჯვის შეჩერებას საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გაუქმებამდე.
5. ინიციატივის რეგისტრაციაზე უარი კანონით დადგენილი წესით შეიძლება გასაჩივრდეს საკონსტიტუციო სასამართლოში.
6. კონსტიტუციის გადასინჯვის შესახებ კონსტიტუციური კანონით მიღებული ნორმის შემცვლელი ან უარყოფილი კანონის პროექტი შეიძლება განხილული იქნეს მხოლოდ შესაბამისად მიღებიდან ან უარყოფიდან არაუადრეს ერთი წლისა.

#### **85.3.2. მუხლი 102<sup>1</sup>**

1. პარლამენტი საკანონმდებლო ინიციატივის წესით საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვის შესახებ კონსტიტუციური კანონის პროექტის წარდგენიდან არა უგვიანეს მე-5 დღისა, ქმნის საყოველთაო განხილვის საორგანიზაციო კომისიას და განხილვის უზრუნველსაყოფად გადასცემს კანონის პროექტს. კომისია კონსტიტუციური კანონის პროექტს დაუყოვნებლივ აქვეყნებს საყოველთაო სახალხო განხილვისათვის პარლამენტის მიერ განსაზღვრული ვადით, რომელიც არ უნდა იყოს ორ თვეზე ნაკლები.
2. კომისია საჯარო განხილვისას გამოთქმული შენიშვნების საფუძველზე ამზადებს დასკვნას და წარუდგენს პარლამენტს, რომელიც ქვეყნდება საჯაროდ.
3. არ შეიძლება კონსტიტუციის შემდეგი პრინციპებისა და ნორმების გადასინჯვა:
  - ა) სახელმწიფო წყობის დემოკრატიული ფორმა;

- ბ) კონსტიტუციის უზენაესობა;
- გ) ხელისუფლების დანაწილების პრინციპი;
- დ) პირველი მუხლის პირველი პუნქტი, მე-7 მუხლი და 102<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტი.

### 85.3.3. მუხლი 102<sup>2</sup>

1. კონსტიტუციის გადასინჯვის შესახებ კონსტიტუციური კანონის პროექტი პარლამენტის პლენარულ სხდომაზე პირველი მოსმენით განიხილება და კენჭი ეყრება საყოველთაო სახალხო განხილვის დასრულებიდან არაუადრეს 30-ე და არაუგვიანეს მე-60 დღისა, მეორე მოსმენისათვის – პირველი მოსმენით კენჭისყრიდან არაუადრეს მე-20 და არაუგვიანეს 30-ე დღისა.
2. პარლამენტის სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობით ორი მოსმენით მიღებული კონსტიტუციური კანონის პროექტი 7 დღის ვადაში გადაეცემა საკონსტიტუციო სასამართლოს, რომელიც არაუგვიანეს 60 დღისა ამზადებს დასკვნას კონსტიტუციის გადასინჯვის პროცედურის 102-ე მუხლთან და კონსტიტუციური კანონის პროექტის კონსტიტუციის 102<sup>1</sup>-ე მუხლის მე-3 პუნქტთან შესაბამისობის თაობაზე.
3. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ უარყოფითი დასკვნის მიღების შემთხვევაში, დასკვნის გამოცხადების (მოსაზრება – გამოქვეყნების [**ზ.ჯიბლაშვილი**]) მომენტიდან კონსტიტუციის გადასინჯვის პროცედურა წყდება.
4. საკონსტიტუციო სასამართლოს უარყოფითი დასკვნის გამოცხადების მომენტიდან კონსტიტუციის გადასინჯვის პროცედურა შეწყვეტილად ითვლება.
5. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ კონსტიტუციური კანონის პროექტზე დადებითი დასკვნის მიღების შემდეგ:
  - ა) შემდეგი მოწვევის პარლამენტი საკუთარი უფლებამოსილების ცნობიდან არაუადრეს 60 დღისა, კონსტიტუციური კანონის პროექტს არსებითი ცვლილებების გარეშე, მესამე მოსმენით იღებს სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობით, ან;
  - ბ) უფლებამოსილია სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობით კონსტიტუციური კანონის ამოქმედების ვადად განსაზღვროს დრო, რომელიც წინ უსწრებს მორიგი მოწვევის პარლამენტის უფლებამოსილების ცნობას. (მოსაზრება – უფლებამოსილია, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობით მიიღოს კანონის პროექტის მესამე მოსმენით დაჩქარებული წესით განხილვის გადაწყვეტილება [**ვ.ხმალაძე**]). ამ შემთხვევაში პრეზიდენტი დაუყოვნებლივ დაითხოვს პარლამენტს და დანიშნავს რიგგარეშე არჩევნებს. კონსტიტუციური კანონის პროექტს ერთი მოსმენით, არსებითი ცვლილებების გარეშე, საკუთარი უფლებამოსილების ცნობიდან არაუადრეს 60 დღისა, იღებს მომდევნო მოწვევის პარლამენტი სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობით.
6. მიღებულ კონსტიტუციურ კანონს ხელს აწერს და აქვეყნებს საქართველოს პრეზიდენტი.

### 85.3.4. 108-ე მუხლი

ამოღებულ იქნეს 108-ე მუხლი.

### 85.3.5. გარდამავალი დებულებანი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სტატუსის განსაზღვრასთან დაკავშირებით განსახორციელებელი საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვის წესი განისაზღვრება სპეციალური კონსტიტუციური კანონით.

**85.4. თამარ პაპაშვილი:**

102-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის პუნქტი:

„კონსტიტუციის გადასინჯვა შეიძლება განხორციელდეს მასში ცვლილებების შეტანის ან ახალი კონსტიტუციის მიღების მიზნით. კონსტიტუციის გადასინჯვა ხდება კონსტიტუციური კანონით“.

**86. კონსტიტუციური კანონის სტატუსის განსაზღვრის საჭიროება**

**86.1. გიორგი კვერენჩილაძე:**

კონსტიტუციური კანონის სტატუსი კონსტიტუციით უნდა განისაზღვროს.

**87. კონსტიტუციის რედაქციული ცვლილებები**

**87.1. ვახტანგ ხმალაძე:**

საჭიროა რედაქციული ცვლილებები: ნუმერაციისა და ნორმათა ადგილმდებარეობის შესწორება.

**88. 200 000 ამომრჩევლის მიერ წარდგენილი კანონპროექტის საპარლამენტო განხილვის მკაფიო მექანიზმების დადგენა**

**88.1. საკონსტიტუციო კომისიის მკვლევარები:**

საჭიროა კონსტიტუციამ რეგლამენტს დაავალოს 200 000 ამომრჩევლის მიერ წარდგენილი კანონპროექტის საპარლამენტო განხილვისა და მასში ცვლილებების შეტანის მექანიზმების დადგენა.



## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ საქართველოს კონსტიტუციური კანონი

### 89. მუხლი 5

#### მოქმედი რედაქცია:

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროშა ზომით საქართველოს სახელმწიფო დროშის სამი მეხუთედი უნდა იყოს.

#### 89.1. ავთანდილ ბერიძე:

მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

### 90. მუხლი 7

#### 90.1. ავთანდილ ბერიძე:

მე-7 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

„3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები უფლებამოსილია არიან თავიანთი ინიციატივით გადაწყვიტონ ნებისმიერი საკითხი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით არ არის ხელისუფლების სხვა ორგანოს ან/და თვითმამრთველი ერთეულის უფლებამოსილება და აკრძალული არ არის კანონით.“

### 91. მუხლი 9

#### მოქმედი რედაქცია:

2. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას არა აქვს უფლება, ნორმატიული აქტით მოაწესრიგოს საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით გათვალისწინებული საკითხები.

#### 91.1. ავთანდილ ბერიძე:

მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას არა აქვს უფლება, ნორმატიული აქტით დაადგინოს შეზღუდვები საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით გათვალისწინებულ საკითხებზე“.

### 92. მუხლი 10

#### მოქმედი რედაქცია:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო არის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს საკანონმდებლო საქმიანობას და აკონტროლებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო შედგება 4 წლის ვადით არჩეული არა უმეტეს 21 დეპუტატისგან. უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევის წესი და მათი რაოდენობა განისაზღვრება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციითა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით.

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო აირჩევა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების მიერ.

4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მორიგი არჩევნები ტარდება უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ვადის ამოწურვის კალენდარული წლის ოქტომბერში. არჩევნების თარიღს საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი წესით ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი.

### **92.1. ავთანდილ ბერიძე:**

#### **92.1.1. პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო არის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს საკანონმდებლო საქმიანობას, კონტროლს უწევს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქმიანობას და ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს“.

#### **92.1.2. მე-3 და მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო აირჩევა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეების მიერ.

4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მორიგი არჩევნები ტარდება უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ვადის ამოწურვის კალენდარული წლის ოქტომბერში. არჩევნების თარიღს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაციით, არჩევნებამდე არაუგვიანეს 60 დღისა“.

## **93. მუხლი 12**

### **მოქმედი რედაქცია:**

1. საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია საქართველოს პარლამენტის თანხმობით დაითხოვოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, თუ მისი მოქმედებით საფრთხე შეექმნა ქვეყნის სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა

კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა განხორციელებას ან/და იგი ვერ ახორციელებს ამ კანონითა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს.

2. საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია დაითხოვოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, თუ მან ზედიზედ ორჯერ არ დაამტკიცა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის კანდიდატურა.

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დათხოვნის შემთხვევაში მის უფლებამოსილებებს ახორციელებს დროებითი საპრეზიდენტო საბჭო, რომელსაც ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი. დროებითი საპრეზიდენტო საბჭოს უფლებამოსილება წყდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალარჩეული უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ცნობისთანავე.
4. დროებითი საპრეზიდენტო საბჭოს მიერ მიღებული აქტი ექვემდებარება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებას მისი უფლებამოსილების ცნობიდან 1 თვის ვადაში. თუ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო არ დაამტკიცებს დროებითი საპრეზიდენტო საბჭოს მიერ მიღებულ აქტს, ეს აქტი კარგავს იურიდიულ ძალას.
5. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დათხოვნის შემთხვევაში რიგგარეშე არჩევნები ტარდება მისი დათხოვნისა და არა უადრეს 60 და არა უგვიანეს 90 დღისა. თუ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე გამოცხადებულია საგანგებო მდგომარეობა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე არჩევნები ტარდება საგანგებო მდგომარეობის გაუქმებიდან 60 დღის ვადაში.

### **93.1. ავთანდილ ბერიძე:**

1. საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია საქართველოს მთავრობის წარდგინებით, საქართველოს პარლამენტის თანხმობით შეაჩეროს ან დაითხოვოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, თუ მისი მოქმედებით საფრთხე შეექმნა ქვეყნის სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა კონსტიტუციური უფლებამოსილებების განხორციელებას ან/და იგი ვერ ახორციელებს ამ კანონითა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს.
2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის შეჩერების ან მისი დათხოვნის შემთხვევაში, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ხორციელდება პირდაპირი სახელმწიფო მმართველობა.
3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის შეჩერების ან მისი დათხოვნის შემთხვევაში მის უფლებამოსილებებს ახორციელებს საქართველოს მთავრობის მიერ დანიშნული ორგანო, რომლის უფლებამოსილებები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტით.
4. საქართველოს მთავრობის მიერ დანიშნული ორგანოს მიერ მიღებული აქტი ექვემდებარება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებას მისი უფლებამოსილების ცნობიდან 1 თვის ვადაში. თუ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო არ დაამტკიცებს საქართველოს მთავრობის მიერ დანიშნული ორგანოს მიერ მიღებულ აქტს, ეს აქტი კარგავს იურიდიულ ძალას.
5. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დათხოვნის შემთხვევაში რიგგარეშე არჩევნები ტარდება მისი დათხოვნისა და არა უადრეს 60 და არა უგვიანეს 90 დღისა. თუ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე გამოცხადებულია საგანგებო მდგომარეობა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე არჩევნები ტარდება საგანგებო მდგომარეობის გაუქმებიდან 60 დღის ვადაში.

6. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის შეჩერების ან მისი დათხოვნის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის შესაბამისი ბრძანებულების კანონიერების საკითხი შეიძლება გასაჩივრდეს საერთო სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული საქართველოს პრეზიდენტის შესაბამისი ბრძანებულების გასაჩივრების უფლება აქვს უფლებამოსილებაშეჩერებული ან დათხოვნილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წევრთა არანაკლებ ერთ მეოთხედს“.

## 94. მუხლი 13

### მოქმედი რედაქცია:

3. საქართველოს პარლამენტი უფლებამოსილია, დადგენილების საფუძველზე, კონსტიტუციური წარდგინებით მიმართოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და მოითხოვოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აქტის გაუქმება, თუ ის ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, ამ კანონს, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს და საქართველოს კანონებს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქართველოს პარლამენტის კონსტიტუციური წარდგინების განსახილველად მიღება იწვევს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი აქტის მოქმედების შეჩერებას.

### 94.1. ავთანდილ ბერიძე:

მე-13 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. საქართველოს პარლამენტი უფლებამოსილია, დადგენილების საფუძველზე, კონსტიტუციური წარდგინებით მიმართოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და მოითხოვოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული ნორმატიული აქტის გაუქმება, თუ ის ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, ამ კანონს, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს და საქართველოს კანონებს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქართველოს პარლამენტის კონსტიტუციური წარდგინების განსახილველად მიღება იწვევს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული შესაბამისი ნორმატიული აქტის მოქმედების შეჩერებას“.

## 95. მუხლი 14

### მოქმედი რედაქცია:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო:

ა) იღებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციას, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონებს ამ კანონით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განსაკუთრებული გამგებლობისათვის მიკუთვნებულ საკითხებზე, ასევე საქართველოს საკანონმდებლო აქტებით პირდაპირ განსაზღვრულ შემთხვევებში;

- ბ) ამტკიცებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტს;
- გ) აკონტროლებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანოების მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო სახსრების ხარჯვას;
- დ) ამტკიცებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის შემადგენლობას მთავრობის თავმჯდომარის წარდგინებით;
- ე) უფლებამოსილია სრული შემადგენლობის ორი მესამედით უნდობლობა გამოუცხადოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას;
- ვ) ახორციელებს ამ კანონით, საქართველოს კანონმდებლობითა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით მის კომპეტენციას მიკუთვნებულ სხვა უფლებამოსილებებს.
2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონს ხელს აწერს და აქვეყნებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე. იგი უფლებამოსილია კანონი შენიშვნებით დაუბრუნოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს. უმაღლესი საბჭო კენჭს უყრის მთავრობის თავმჯდომარის შენიშვნებს, რომელთა მისაღებად საკმარისია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მიღებისათვის დადგენილი ხმათა უმრავლესობა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პირვანდელი რედაქციით მიღებისათვის საჭიროა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის სამი მეხუთედის მხარდაჭერა.
3. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში საკანონმდებლო პროცესთან და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის დამტკიცებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები წესრიგდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციითა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით, საქართველოს საკანონმდებლო აქტებით დადგენილი მოთხოვნების დაცვით.

### **95.1. ავთანდილ ბერიძე:**

95.1.1. პირველი პუნქტის „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ყოველწლიურად იღებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონს;“.

„ე) უფლებამოსილია სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტით უნდობლობა გამოუცხადოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას“.

95.1.2. მე-2 და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონს ხელს აწერს და აქვეყნებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე. იგი უფლებამოსილია კანონი შენიშვნებით დაუბრუნოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს. უმაღლესი საბჭო კენჭს უყრის მთავრობის თავმჯდომარის შენიშვნებს, რომელთა მისაღებად საკმარისია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მიღებისათვის დადგენილი ხმათა უმრავლესობა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პირვანდელი რედაქციით მიღებისათვის საჭიროა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტის მხარდაჭერა. თუ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ დადგენილ ვადაში არ მოაწერა ხელი და არ გამოაქვეყნა კანონი, მას ხელს აწერს და აქვეყნებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე .“

3. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში საკანონმდებლო პროცესთან და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის მიღებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები წესრიგდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციითა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით, საქართველოს საკანონმდებლო აქტებით დადგენილი მოთხოვნების დაცვით“.

## 96. მუხლი 15

### მოქმედი რედაქცია:

4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ანგარიშვალდებულია საქართველოს პრეზიდენტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წინაშე.

5. საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია შეაჩეროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აქტის მოქმედება ან გააუქმოს ეს აქტი, თუ ის ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, ამ კანონს, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, საქართველოს კანონებსა და საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივ აქტებს.

### 96.1. ავთანდილ ბერიძე:

96.1.1. მე-15 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ანგარიშვალდებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წინაშე“.

### 96.1.2. მე-5 პუნქტი

მე-5 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

## 97. მუხლი 16

### მოქმედი რედაქცია:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტა იწვევს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მთელი შემადგენლობის უფლებამოსილების შეწყვეტას.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას უფლებამოსილება ასევე უწყდება:

ა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალარჩეული უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ცნობისთანავე;

ბ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ სრული შემადგენლობის ორი მესამედით მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადებისას;

გ) ამ კანონით დადგენილ შემთხვევებში საქართველოს პრეზიდენტის მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის გადაყენებისას.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის გადადგომისას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის



მთავრობა ახორციელებს თავის უფლებამოსილებებს მთავრობის ახალი შემადგენლობის დამტკიცებამდე.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის უფლებამოსილებებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ახალი შემადგენლობის დამტკიცებამდე ახორციელებს საქართველოს პრეზიდენტის მიერ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში დანიშნული სახელმწიფო რწმუნებული და მისი ადმინისტრაცია.

5. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობასთან დაკავშირებული სხვა საკითხები წესრიგდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით.

### 97.1. ავთანდილ ბერიძე.

97.1.1. მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტით მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადებისას“;

97.1.2. „გ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

97.1.3. მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის უფლებამოსილებებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ახალი შემადგენლობის დამტკიცებამდე ახორციელებს საქართველოს მთავრობის მიერ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში დანიშნული საქართველოს მთავრობის რწმუნებული ან კოლეგიური ორგანო – საგანგებო ადმინისტრაცია“.

## 98. მუხლი 17

მოქმედი რედაქცია:

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის დამტკიცებიდან 10 დღის ვადაში იგი ამ კანონის მე-20 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი შეთანხმების პროცედურის განხორციელების შემდეგ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს თანამდებობაზე დასამტკიცებლად წარუდგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის შემადგენლობას. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის შემადგენლობა დამტკიცებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს უმაღლესი საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობა, მაგრამ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთი მესამედისა.

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ცალკეული წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის შესაბამის ახალ წევრს ნიშნავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე საქართველოს შესაბამისი სამთავრობო დაწესებულების ხელმძღვანელთან (ხელმძღვანელებთან) შეთანხმებით.

4. თუ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის შემადგენლობის დამტკიცების შემდეგ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის შემადგენლობა ნახევარზე მეტით განახლდა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს ამ მუხლის მე-2

პუნქტით დადგენილი წესით თანამდებობაზე დასამტკიცებლად წარუდგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის განახლებულ შემადგენლობას.

5. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ფორმირებასთან დაკავშირებული სხვა ურთიერთობები განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით.

### **98.1. ავთანდილ ბერიძე.**

მე-17 მუხლის მე-2-მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

- „2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის დამტკიცებიდან 10 დღის ვადაში იგი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს თანამდებობაზე დასამტკიცებლად წარუდგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის შემადგენლობას. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის შემადგენლობა დამტკიცებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ცალკეული წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის შესაბამის ახალ წევრს ნიშნავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე.
4. თუ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის შემადგენლობის დამტკიცების შემდეგ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის შემადგენლობა ნახევარზე მეტით განახლდა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს თანამდებობაზე დასამტკიცებლად წარუდგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის განახლებულ შემადგენლობას“.

## **99. მუხლი 18**

მოქმედი რედაქცია:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე:

გ) უფლებამოსილია გააუქმოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აქტი;

2. საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია შეაჩეროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის აქტის მოქმედება ან გააუქმოს ეს აქტი, თუ ის ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, ამ კანონს, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, საქართველოს კანონებსა და საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივ აქტებს.

### **99.1. ავთანდილ ბერიძე:**

99.1.1. პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

99.1.2. მე-2 პუნქტი ამოღებულ იქნეს.



## 100. მუხლი 19

### მოქმედი რედაქცია:

1. საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია გადააყენოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა, თუ:

ა) მისი მოქმედებით საფრთხე შეექმნა ქვეყნის სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას,

სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა განხორციელებას;

ბ) იგი ვერ ახორციელებს ამ კანონით ან/და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში შესაბამისი

გარემოების აღმოფხვრიდან 1 თვის განმავლობაში, ხოლო ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“

ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის

გადაყენებიდან 2 თვის ვადაში საქართველოს პრეზიდენტი უმაღლესი საბჭოს ფრაქციებთან

კონსულტაციების შემდეგ შეარჩევს მთავრობის თავმჯდომარის კანდიდატურას და მას

თანამდებობაზე დასამტკიცებლად წარუდგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს.

### 100.1. ავთანდილ ბერიძე:

მე-19 მუხლი ამოღებულ იქნეს.

## 101. მუხლი 20

### მოქმედი რედაქცია:

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის კანდიდატურას საქართველოს შესაბამისი

სამთავრობო დაწესებულების ხელმძღვანელთან (ხელმძღვანელებთან) შეთანხმებით აჭარის

ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს ამ კანონით დადგენილი წესით დასამტკიცებლად

წარუდგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე.

### 101.1. ავთანდილ ბერიძე.

მე-20 მუხლის მე-3 პუნქტი ამოღებულ იქნეს.